ევროკავშირი
საქართველოსთვის

CPR PROJECT
Care Prevention Rights

სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით



გზამკვლევი საგანმანათლებლო
დაწესებულებებისთვის

თბილისი

2022

პროექტი „ზრუნვა, პრევენცია, უფლებები“ (პროექტი CPR)
#ENI/2021/429-043

სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით

გზამკვლევი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

მომზადებულია
საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონისა“ და

სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

შინაარსი

წინათქმა

I. შესავალი

1.1. უსაფრთხო სკოლა

1.1.1 რა არის უსაფრთხო სკოლა?

1.1.2 სკოლაში ძალადობისა და ანტისოციალური ქცევის პრევენციის მოდელები

1.1.3 უსაფრთხო სკოლის მოდელი ქართულ მაგალითზე

1.2. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება და სხვა პრობლემური ქცევები ახალგაზრდებში

1.2.1 ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარება

1.2.2 აზარტული თამაშები

1.2.3 სხვა ანტისოციალური ქცევები

II. ახალგაზრდების პრობლემური ქცევა: რისკი და დაცვა

2.1. რისკზე ორიენტირებული პრევენციული მოდელი

2.2. სოციალურ-ეკოლოგიური მიდგომა პრევენციისადმი

III. ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარების პრევენცია

3.1. პრევენციის არსი

3.2. პრევენციის თანამედროვე კლასიფიკაცია

3.3. ნივთიერებათა მოხმარების პრევენცია საგანმანათლებლო სექტორში

3.4. სკოლაზე დაფუძნებული პრევენციული განათლება ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით

IV. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა

4.1 სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის არსი და მნიშვნელობა

4.2 სკოლაში ძალადობრივი და ანტისოციალური ქცევის მართვისა და პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი

4.2.1 უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფის დაკომპლექტება

4.2.2 სკოლაში არსებული უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასება

4.3 ძალადობრივი და ანტისოციალური ქცევის მართვისა და პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის სტრუქტურა

V. სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით

5.1. რას ნიშნავს სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით

5.2 პოლიტიკის დოკუმენტის ფორმატი

VI. ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვა

VII. როგორ შევიმუშავოთ სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით - სახელმძღვანელო სკოლებისთვის

VIII. გამოყენებული ლიტერატურა

IX. დანართები

დანართი 1. ტერმინთა განმარტება

დანართი 2. სკოლის ზოგადი უსაფრთხოების შემოწმების კრიტერიუმები

დანართი 3. მოსწავლის მიერ განხორციელებული დარღვევები

დანართი 4. სკოლის პერსონალის მიერ განხორციელებული დარღვევები

დანართი 5. სკოლაში დაფიქსირებული დარღვევების შედეგად პოლიციის ინფორმირება

დანართი 6. ძალადობის სახე, ძალადობრივი ქმედების ჩამდენი პირისა და მსხვერპლის განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით

დანართი 7. ძალადობრივი ქმედების მსხვერპლი არასრულწლოვნების სავარაუდო სიმპტომები

დანართი 8. განსაკუთრებით საყურადღებო ძალადობრივი ქმედებების/ ანტისოციალური ქცევის ჩამონათვალი (შესაძლოა, დაემატოს სხვა ქმედებებიც)

დანართი 9. პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის დამხმარე ცხრილი

დანართი 10. სკოლაში უსაფრთხოებისა და დაცულობის კითხვარის მაგალითი (მოსწავლეთათვის)

დანართი 11. ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტის აღრიცხვის ფორმის ნიმუში

დანართი 12. სკოლის პოლიტიკის დოკუმენტის ნიმუშები

წინათქმა

წინამდებარე გზამკვლევი შეიქმნა ევროკავშირის მხრდაჭერით მიმდინარე პროექტის „ზრუნვა, პრევენცია, უფლებები“ (პროექტი CPR) ფარგლებში. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სკოლაზე დაფუძნებული კომპლექსური პრევენციული მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა, რომელიც აერთიანებს სასკოლო გარემოზე და მოსწავლეების ცოდნისა და სოციალური კომპეტენციის ამაღლებაზე ორიენტირებულ მიდგომებს. მოცემული გზამკვლევი ამ კომპლექსური პრევენციული მეთოდოლოგიის ერთ-ერთი ნაწილია და დაეხმარება სკოლებს, უზრუნველყონ უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო სკოლის პერსონალისთვის, მოსწავლეებისთვის და სტუმრებისთვის. კვლევებზე დაფუძნებული მტკიცებულებები იმაზე მიუთითებს, რომ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის შერწყმა მოსწავლეების ინფორმირებისა და უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამებთან ეფექტურია.

სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი პასუხისმგებელია საკუთარ და სხვათა უსაფრთხოებაზე, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. სკოლამ უნდა მოახდინოს პერსონალის, მოსწავლეებისა და სტუმრების ინფორმირება ამ პასუხისმგებლობების შესახებ. ამის გაკეთების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზაა პერსონალისა და მოსწავლეების ჩართვა უსაფრთხოებას, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირებაში და ამ გამოწვევებზე რეაგირების გზების შემუშავებასა და განხორციელებაში. გზამკვლევში მოცემულია პრაქტიკული რჩევები, თუ როგორ უნდა მართონ სკოლებმა ეს პროცესი.

გზამკვლევი არ აკისრებს სკოლებს დამატებით პასუხისმგებლობებს და არც ფიქსირებულ, მზა გადაწყვეტილებებს სთავაზობს; მასში აღწერილი რეკომენდაციები და მექანიზმები არადირექტიული, დისკრეციული ხასიათისაა და მიზნად ისახავს სკოლებისთვის რეალისტური მიდგომების შეთავაზებას სკოლაზე დაფუძნებული ეფექტური პრევენციული სტრატეგიების განსახორციელებლად.

საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

I. შესავალი

1.1. უსაფრთხო სკოლა

1.1.1 რა არის უსაფრთხო სკოლა?

განათლება წარმოადგენს ყოველი ბავშვის ფუნდამენტურ უფლებას[1]. განათლების მნიშვნელობა ფასდაუდებელია ბავშვის ჩამოყალიბების, კრეატიული ტალანტების აღმოჩენის, კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და სოციალური უნარების დასწავლის პროცესში.[2] სკოლას, თავისი როლიდან გამომდინარე, აქვს შესაძლებლობა, რომ გადამწყვეტი როლი ითამაშოს ბავშვის ჩამოყალიბებაში. შეასწავლოს მას არა-ძალადობრივი ქცევის მოდელები, ასწავლოს სწორი კომუნიკაციის, მოლაპარაკებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზები.[3] სკოლამ, განათლების მიცემასთან ერთად, უნდა შეძლოს, რომ მოსწავლეს შეასწავლოს სოლიდარობის, ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის ცნებები, რასაც საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება არაძალადობრივი ქცევის ჩამოყალიბების პროცესში.

ამავდროულად, ბევრი მოსწავლისთვის, სკოლა გამოწვევებით სავსე ადგილს წარმოადგენს, სადაც ისინი შეიძლება შეეჯახონ ძალადობას ან ისწავლონ ეს უკანასკნელი. სკოლა შეიძლება იქცეს ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის, მუქარის, შეურაცხყოფისა და დასჯის ადგილად, სადაც, შესაძლოა, ცოდნის მიღებისგან გამოწვეული კმაყოფილება ჩაანაცვლოს დაუცველობის, ტკივილისა და ტრავმის გამოცდილებებმა.[4] ამას ადასტურებს არაერთი კვლევა, რომელიც სკოლის მოსწავლეებში ძალადობის გამოცდილებების შესახებ ჩატარებულა.[5] UNICEF-ის 2018 წლის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით, 13-15 წლის მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარს, 150 მილიონ ბავშვს, სკოლაში ან სკოლის მიმდებარედ განუცდია თანატოლთა მხრიდან ძალადობა.[6]

---

[1] გაეროს 1989 წლის ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 28.

[2] Office of the Special Representative of the Secretary-General on Violence Against Children, (2016), Tackling violence in Schools: A global perspective Bridging the gap between standards and practice, foreword.

[3] Ibid.

[4] ibid p. 1, ასევე იხილეთ: UNICEF (2018), An everyday lesson: End Violence in schools, p. 5.

[5] A global initiative working to end all forms of violence against children in and through school: https://www.end-violence.org/safe-to-learn, ასევე იხილეთ: World Vision, (2020), “OUR research, OUR rights: Ending violence against children through the lens of child researchers from Bosnia and Herzegovina, Brazil, Indonesia, Nicaragua, Romania and Sierra Leone; Pinheiro, Paulo Sérgio, (2006), UN World Report on Violence Against Children, p. 138; Office of the Special Representative of the Secretary-General on Violence Against Children, (2016), Ending the Torment: Tackling bullying from the schoolyard to cyberspace, p. 101.

[6] UNICEF (2018), An everyday lesson, End Violence in schools, p. 3.

ამ გამოწვევების დასაძლევად შემუშავდა უსაფრთხო სკოლის მოდელები, რომლებიც, განათლების მიცემასთან ერთად, მოსწავლისთვის უსაფრთხო და მხარდაჭერაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას ემსახურება. უსაფრთხო სკოლის კონცეფცია მრავალწახნაგოვანია. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს უსაფრთხო სკოლის შეჯერებული და ერთგვაროვანი განმარტება, ძირითადი ელემენტები ყველა შემთხვევაში უცვლელია. უსაფრთხოა სკოლა, სადაც გარანტირებულია მოსწავლის ჯანმრთელობა, დაცულობა და უსაფრთხოება, როგორც სკოლის ნორმალური ფუნქციონირებისას, ასევე გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს. უსაფრთხოა სკოლა, რომელიც სტრუქტურულად გამართულია, მედეგობას ინარჩუნებს და უმკლავდება წარმოქმნილ გამოწვევებს. უსაფრთხო სკოლა მოსწავლეში იწვევს როგორც სიმშვიდის, ისე მღელვარების შეგრძნებას. სიმშვიდის იმიტომ, რომ მოსწავლე იმყოფება ფიზიკურად, ემოციურად და კოგნიტურად დაცულ სივრცეში, რომელიც მას ავიწყებს გარეშე პრობლემებს, ხოლო მღელვარების კი იმიტომ, რომ ბავშვი შეიგრძნობს მის გარშემო არსებულ შესაძლებლობებსა და მომავლის პერსპექტივას.[7] თანამედროვე აკადემიურ ლიტერატურის მიხედვით, უსაფრთხო სკოლის კონცეფციის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის დამკვიდრება.[8]

უსაფრთხო და ჯანსაღი სკოლის მოდელი არ შემოიფარგლება მხოლოდ ძალადობისა და დანაშაულის პრევენციის მიზნებით. სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ბევრად კომპლექსური პროცესია, რომელიც სასკოლო ცხოვრების თითოეული ასპექტის მოწესრიგებას გულისხმობს. ასეთებად მიჩნეულია უსაფრთხო ფიზიკური გარემო (სკოლის ზომა, კლასის ზომა, ინფრასტრუქტურა); განათება, ხმაური და სწორი ტემპერატურის უზრუნველყოფა; ფიზიკური აქტივობებისთვის განკუთვნლილი ადგილების დაცულობა; ფიზიკური დაზიანებების პრევენცია; ჰაერის ხარისხის მონიტორინგი, სკოლაში ქიმიური ნივთიერებების შენახვის პოლიტიკა; ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული პოლიტიკა, საკვების ხარისხის უზრუნველყოფა და მონიტორინგი; სკოლამდე უსაფრთხო მისვლა ან ტრანსპორტირება, მათ შორის ექსკურსიების უსაფრთხოება; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის შექმნილი პირობები და უსაფრთხოების სტანდარტები; სასკოლო ჯანდაცვა, მათ შორის ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენცია; კრიზისული სიტუაციების მართვა (სტიქიები, მიწისძვრა, ხანძარი).

უსაფრთხო და ჯანსაღი სკოლის შექმნის დროს, ეს საკითხები გათვალისწინებული უნდა იყოს სკოლის ადმინისტრაციისა და ზემდგომი სახელმწიფო დაწესებულებების მიერ.[9] მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ძალადობის, დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედებების პრევენცია სასკოლო უსაფრთხოების მხოლოდ ერთ

---

[7] UNESCO International Institute for Capacity-Building in Africa, (2017). School Safety Manual – Tools for teachers, p. 6., ასევე იხილეთ: სოფიო გორგოძე კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე (2011) გვ. 17.

[8] Ibid; ასევე იხილეთ: Thapa, A., Cohen, J., Guffey, S., & Higgins-D'Alessandro, A. (2013). A review of school climate research. Review of educational research, 83(3), 357-385, p. 1-2.

[9] დეტალურად იხილეთ: Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). *Safe and healthy school environments*. Oxford University Press, 251-269.

კონკრეტულ ასპექტს წარმოადგენს, აღნიშნულ თავში ყურადღება სწორედ ამ უკანასკნელზე გამახვილდება და მოკლედ მიმოვიხილავთ სკოლაში ძალადობისა და ანტისოციალური ქცევის პრევენციის ყველაზე გავრცელებულ მოდელებს.

1.1.2 სკოლაში ძალადობისა და ანტისოციალური ქცევის პრევენციის მოდელები

შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ძალადობისა და ანტისოციალური ქცევის პრევენციის სამი ძირითადი მოდელია შემუშავებული.

- პირველი, რომელიც შეგვიძლია მოვიხსენიოთ როგორც პროდუქტზე დაფუძნებული მოდელი,[10] სკოლაში უსაფრთხოების მიღწევის საშუალებად, სკოლის პერიმეტრზე ვიზუალურ-ტექნოლოგიურ მეთვალყურეობას, კონტროლს და დისციპლინურ სახდელებს მოიაზრებს.

- მეორე მოდელი გარდამავალ მიდგომას წარმოადგენს და სკოლაში უსაფრთხოების მიღწევისთვის დისციპლინისა და მეთვალყურეობის არსებობასა და პოზიტიური გარემოს შექმნას თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს, ამ მოდელს აკადემიურ ლიტერატურაში გარემოზე დაფუძნებული პრევენციის[11] მიდგომას უწოდებენ, რომელიც თავდაპირველად აქცენტს უფრო მეტად კონტროლის საშუალებებზე სვამდა, თუმცა, მოგვიანებით ზრუნვის კომპონენტის გაძლიერებით, ძირითად მიდგომად ჩამოყალიბდა.

- მესამე, ყველაზე თანამედროვე მიდგომა სკოლაში უსაფრთხოების მიღწევის საშუალებად პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნას ანიჭებს უპირატესობას, სადაც, არა დისციპლინაზე მთავარი აქცენტით, არამედ სასკოლო საზოგადოების (დირექცია, მასწავლებლები, სკოლის ტექნიკური პერსონალი, სკოლის ფსიქოსოციალური პერსონალი, მოსწავლეები, მშობლები, სამეზობლო) თითოეული რგოლის გუნდური მუშაობით ცდილობს სკოლაში ანტისოციალური ქცევის პრევენციას.

როგორც უკვე აღინიშნა, პროდუქტზე დაფუძნებული უსაფრთხოების მოდელი, ყურადღებას სკოლის ტერიტორიაზე დისციპლინის დამყარებაზე ამახვილებს და სკოლაში უსაფრთხოების მიღწევის საშუალებად ზედამხედველობისა და კონტროლის მექანიზმებს მოიაზრებს. ამ მიდგომის მიხედვით, სკოლაში ანტისოციალური ან დანაშაუალებრივი ქცევის პრევენცია სტრუქტურიზებული უსაფრთხოების არქიტექტურის მეშვეობით უნდა მიიღწეს. ამ არქიტექტურის ნაწილად მიიჩნევა სკოლაში ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების, უსაფრთხოების პერსონალის, მეტალოდეტექტორებისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების ელექტრონული სისტემების დანერგვა.[12] აღსანიშნავია, რომ სასკოლო უსაფრთხოების ეს მიდგომა, იმეორებს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის

---

[10] სოფიო გორგოძე კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე. (2011), გვ. 21.
[11] Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). *Safe and healthy school environments*. Oxford University Press, p. 253.
[12] იქვე,

ლოგიკას, შესაბამისად, ჟღერდება კრიტიკა მისი აღსრულების მეთოდებთან დაკავშირებით.[13] უსაფრთხოების ფილოსოფიით სკოლის მართვა, სხვა მახასიათებლებთან ერთად, მოიაზრებს მკაცრ და სავალდებულო დისციპლინურ სახდელებს, როგორიცაა მოსწავლის დროებითი დათხოვნა, ან სკოლიდან გარიცხვა, რაც, კარგი დისციპლინის ბავშვის მიერ გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, ზედმეტად მკაცრი სანქციაა. ხოლო პრობლემური ქცევის მქონე მოსწავლის მიმართ, რომელსაც უფრო მეტად მხარდაჭერა სჭირდება, მკაცრი სანქციები არათუ ამცირებს მის მიერ ანტისოციალური ქცევის დაძლევის ალბათობას, პირიქით, ამძაფრებს მის მიერ ძალადობრივი ქცევის ჩამოყალიბების რისკს.[14] ამასთან, მოსწავლე, რომელიც მისი ქცევის გამო აღარ დაიშვება სკოლაში, იმყოფება სკოლის პერსონალის დაკვირვების მიღმა, რაც სკოლას ართმევს მისი მხარდაჭერისა და პოზიტიური გარდაქმნის შესაძლებლობას.[15] აქედან გამომდინარე, მიიჩნევა, რომ პროდუქტზე დაფუძნებული უსაფრთხოების კონცეფცია, სკოლაში არ ზრდის დაცულობის შეგრძნებას, პირიქით, აუარესებს სასკოლო კლიმატს და ხელს უწყობს მოსწავლეთა სასკოლო სივრცისგან გაუცხოვებას, ვინაიდან, ეს უკანასკნელი აღიქმება ზედამხედველობისა და კონტროლის სივრცედ.[16]

მეორე, გარემოზე დაფუძნებული უსაფრთხოების მოდელის მიხედვით, უსაფრთხო სკოლა უნდა უზრუნველყოფდეს როგორც უსაფრთხოების ინფრასტრუქტურის, ისე პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნას. აღნიშნული მიდგომა ყურადღებას ამახვილებს სკოლის არქიტექტურაზე, ინფრასტრუქტურაზე, ხილვადობასა და ფორმალური კონტროლის გავრცელებაზე. პროდუქტზე დაფუძნებული მოდელისგან განსხვავებით, რომელიც დისციპლინის დამყარებისა და დანაშაულის პრევენციის მიღწევის საშუალებად ტექნოლოგიებსა და უსაფრთხოების პერსონალს მოიაზრებს, გარემოზე დაფუძნებული მოდელი, სკოლის არქიტექტურულ და ინფრასტრუქტურულ მოწყობაზე ამახვილებს ყურადღებას. აღნიშნული გულისხმობს სკოლის სრულ ტეროტორიაზე ვიზუალური მეთვალყურეობის განხორციელების შესაძლებლობას. მაგალითისთვის, სკოლის შესასვლელების ხილვადობა სკოლის შენობის სხვადასხვა წერტილიდან, სკოლაში ან სკოლის გარეთ ისეთი ბუნებრივი თუ ხელოვნური ბარიერების (ხე, ბუჩქი, ტიხარი) აღმოფხვრას, რაც ვიზუალურ მეთვალყურეობას აბრკოლებს. ხილვადობა და ღიაობა შესაძლოა იქცეს კრიმინალური ან ანტისოციალური აქტის პრევენციის მნიშვნელოვან მექანიზმად. მოსწავლეები დიდი ალბათობით, თავს შეიკავებენ არასასურველი ქცევისგან, თუ მათ იციან, რომ მას შეიძლება აკვირდებოდნენ.[17]

გარდა არქიტექტურული კრიტერიუმისა, მოდელი ყურადღებას ამახვილებს ტერიტორიის მკაცრად განსაზღვრულობის საკითხზე. სკოლის პერიმეტრი უნდა იყოს მკაფიოდ მონიშნული, რაც ეხმარება სკოლას იმის ჩვენებაში, რომ ამ ტერიტორიაზე

---

[13] იქვე,
[14] Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). *Safe and healthy school environments*. Oxford University Press, p. 264.
[15] Ibid,
[16] სოფიო გიორგაძე გვ. 21 „ უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე“, ასევე, იხილეთ Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). *Safe and healthy school environments*. Oxford University Press, p. 264.
[17] Ibid, p. 255.

ვრცელდება მისი იურისდიქცია. ეს მოდელი ასევე მოიაზრებს სკოლაში შესასვლელი და გასასვლელი კარების ზედმიწევნით კონტროლს, შემსვლელი და გამსვლელი ვიზიტორების აღრიცხვას და ა.შ.[18] სკოლის შენობისა და ეზოს გარდა, გარემოზე დაფუძნებული მოდელი ითვალისწინებს სკოლამდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობის საკითხს. მაგალითად, სკოლამ უნდა უზრუნველყოს, რომ სკოლისკენ მიმავალ გზაზე არ იყოს არასასურველი შინაარსის ქუჩის „გრაფიტი", ან, არსებობის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი, თავად მოსწავლეთა მიერ შექმნილი პოზიტიური შეტყობინების მქონე ნამუშევრებით ჩანაცვლდეს. ამასთან, ამ მოდელის მიხედვით, სკოლის შენობასა და მის გარშემო არ უნდა არსებობდეს ე.წ უხილავი სივრცეები[19], სადაც მოსწავლეთა მიერ თავშეყრისა და არასასურველ ქცევაში ჩართვის მომეტებული საფრთხეა. განსაკუთრებით პროგრესულად მიიჩნევა გარემოზე დაფუძნებული უსაფრთხოების მოდელის გვიანდელი ფორმა, რომელიც დაცულ ფიზიკურ გარემოსთან ერთად, სკოლაში პოზიტიური კლიმატის არსებობაზე ამახვილებს ყურადღებას. აღსანიშნავია, რომ UNICEF-ის მიერ შექმნილი გზამკვლევი, მეგობრული სკოლა, სწორედ გარემოზე დაფუძნებული პრევენციის პრინციპებს ეყრდობა, როგორიცაა სკოლის არქიტექტურა და დიზაინი, გამჭვირვალეობა, ინფრასტრუქტურა, უხილავი სივრცეების არარსებობა, სკოლის შემოსაზღვრა და ა.შ.[20]

გვიანდელი, ე.წ. მეორე თაობის გარემოზე დაფუძნებული უსაფრთხოების მოდელი თანაბარი პრიორიტეტულობით აყენებს სკოლაში პოზიტიური კლიმატისა და დაცული გარემოს საკითხს. მაგალითად, იღებს თუ არა მოსწავლე ხარისხიან განათლებას, როგორია სკოლის ფუნქციონირების მოდელი, როგორც აკადემიურად, ისე სოციალურად. როგორ აფასებენ მოსწავლეები საკუთარ როლს და მიკუთვნებულობას სასკოლო თანაცხოვრებაში, თვლიან თუ არა, რომ იღებენ რელევანტურ განათლებას და ეუფლებიან საჭირო უნარებს[21].

გვიანდელი მოდელის მიხედვით, სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლის სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული ისეთი რისკ ფაქტორების იდენტიფიცირება, როგორიცაა ხშირი ანტისოციალური ქცევა, მოსწავლის ადრეული აკადემიური გამოწვევები, სკოლისადმი არაგულისხმიერი მიდგომა, მოსწავლის მეგობრობა ასევე არასასურველი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან. ასეთი შემთხვევებისთვის, სკოლას შემუშავებული უნდა ჰქონდეს ინტერვენციისა და პრობლემასთან გამკლავების სრულყოფილი გეგმა. გეგმა, სიტუაციის შესაბამისად, განსხვავებული შეიძლება იყოს და მოიცავდეს პრობლემის მოგვარების მშვიდობიანი გზების სწავლებას, მოსწავლის ჯგუფურ პროექტში ჩართვას, სასკოლო კვლევის მომზადების დავალებას. მთავარია, რომ მოსწავლეს შეექმნას განცდა, რომ იგი სასკოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.[22] რომ შევაჯამოთ, გარემოზე დაფუძნებული პრევენციისა და სასკოლო უსაფრთხოების გვიანდელი მიდგომა ყურადღებას ამახვილებს სკოლაში მხარდაჭერის, ურთიერთპატივისცემისა და

[18] Ibid. p. 257.
[19] Ibid. p. 258-259.
[20] იხ.: Unicef, (2009), Child-friendly schools' manual, Chapter 3.
[21] Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). *Safe and healthy school environments*. Oxford University Press, p. 264.
[22] Ibid p. 265.

პოზიტიური კლიმატის შექმნაზე, იმისათვის, რომ სკოლაში ტრადიციული უსაფრთხოების ზომების გამოყენების საჭიროება აღარ არსებობდეს.[23]

არსებული პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, ეჭვგარეშეა, რომ მოსწავლის როგორც პროსოციალური, ისე ანტისოციალური ქცევის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს ის სოციალური გარემო, კერძოდ ოჯახი, სამეზობლო და გარემოცვა, სადაც იგი დროის უმეტეს ნაწილს ატარებს. შესაბამისად, სასკოლო უსაფრთხოების საკითხში, მოსწავლეთა მშობლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა, სკოლაში პოზიტიური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის ყველაზე თანამედროვე მიდგომაა.

უსაფრთხო სკოლის ეს მიდგომა, შეგვიძლია მოვიხსენიოთ, როგორც პროცესზე დაფუძნებული მოდელი.[24] აღნიშნული მიდგომა სასკოლო საზოგადოების სწავლისა და თანაარსებობის პროცესში პოზიტიური გარდაქმნის, შესაბამისად ჯანსაღი სასკოლო კლიმატის მიღწევას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, სკოლაში ძალადობისა და ანტისოციალური ქმედებების აღმოფხვრას არა მოკლევადიანი, შედეგებზე ორიენტირებული ხისტი ინტერვენციებით, არამედ მომავალზე მიმართული ცვლილებების ხელშეწყობითა და სკოლაში პოზიტიური კლიმატის შექმნის გზით ითვალისწინებს. პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნისთვის, არაერთი სხვადასხვა მეთოდი დაინერგა, რომელთაგან, ყველაზე ხშირად აპრობირებული, ეგრეთწოდებული „ერთიანი-სკოლის მიდგომაა“ (whole-school approach). ამ მიდგომით, სრული სასკოლო საზოგადოება იზიარებს სკოლაში ძალადობის შემცირების საერთო მიზანს და შესაბამისად, სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, სკოლის ტექნიკური პერსონალი, სამედიცინო პერსონალი და მიმდებარე სამეზობლო/თემი, მზად არიან, გაერთიანდენენ დასახული მიზნების მისაღწევად.[25]

სკოლა ცოცხალი და კომპლექსური სოციალური სისტემაა, სადაც უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის არ კმარა სკოლის რამდენიმე წევრის ჩართულობა. აქედან გამომდინარე, სკოლის სრული საზოგადოება, ისეთებიც, როგორიცაა კაფეტერიის თანამშრომელი, ან სკოლის ტექნიკური თანამშრომელი, უნდა იღწვოდნენ სკოლაში უსაფრთხო გარემოს დამკვიდრებისთვის.[26] გარდა ამისა, სასკოლო ძალადობა, სკოლის რეაგირების საზღვრებში არსებული საკითხია, თუმცა, წარმოადგენს საზოგადოების სოციალურ-კულტურილი პრაქტიკების რეფლექსიას და დაკავშირებულია მათ შორის პოლიტიკურ დღის წესრიგთან, საგანმანათლებლო სისტემის სისუსტეებთან და საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებთან.[27] სწორედ ამიტომ, ერთიანი სკოლის მიდგომა ორიენტირებულია ყველა დაინტერესებული

[23] Ibid, p. 267.
[24] სოფიო გორგოძე, (2011) კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე, გვ. 21.
[25] World Health Organization (2019), School-based violence prevention, a practical handbook, p. 3; ასევე იხილეთ.: Office of the Special Representative of the Secretary-General on Violence Against Children, (2016), Tackling violence in Schools: A global perspective Bridging the gap between standards and practice p. 16.
[26] იხილეთ: Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). *Safe and healthy school environments*. Oxford University Press, p. 5.
[27] Office of the Special Representative of the Secretary-General on Violence Against Children, (2016), Tackling violence in Schools: A global perspective Bridging the gap between standards and practice p. 25.

მხარესთან, მათ შორის პოლიტიკურ აქტორებთან, საზოგადოების ფართო წრესთან თანამშრომლობაზე.

“ერთიანი სკოლის მიდგომის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ნორვეგიის მთავრობის მიერ, 2001 წელს, დაწყებული „ოლვეუსის ბულინგის პრევენციის პროგრამა“. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება ოთხ - სასკოლო, საკლასო ოთახის, ინდივიდუალურ და სამეზობლოს/თემის - დონეზე. პროგრამა მოიაზრებს სკოლაში ბულინგის წინააღმდეგ ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავებას, ბულინგის პრევენციის საკოორდინაციო კომიტეტის შექმნას და სკოლაში შესაბამისი ტრენინგის ჩატარებას „ოლვეუსის კითხვარის“ მიხედვით. ამ პროგრამის მიხედვით, სწორედ აღნიშნული მოსამზადებელი პროცესის შემდგომ, სკოლა მზადაა, რომ განახორციელოს პროგრამა და იმუშაოს ოთხივე დონეზე, რაც გულისხმობს ჩართულ მხარეებთან წინასწარ დაგეგმილი, პროგრამით გაწერილი აქტივობების განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ ოლვეუსის პრევენციის პროგრამის წარმატება სხვადასხვა ქვეყანაში არაერთი კვლევით გაიზომა და დაგროვდა მტკიცებულებები მისი ეფექტიანობის შესახებ.[28] აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნის მიზნით შემუშავებულ ერთ კონკრეტულ მაგალითს, რომელიც „ერთიანი სკოლის მიდგომას“ ეფუძნება. სწორედ მსგავსი მიდგომა შესაძლოა განვითარდეს სკოლაში უსაფრთხო და დაცული გარემოს შემადგენელი სხვადასხვა ასპექტის მიმართ. სკოლაში პოზიტიური კლიმატის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებს ჰქონდეს საჭირო ცოდნა და უნარები, რათა შეძლონ სკოლაში დისციპლინის პოზიტიური მეთოდებით დამყარება, როგორიცაა, კონსტრუქციული კრიტიკა, მკაფიო ქცევის წესების განსაზღვრა, რისთვისაც აუცილებელია მასწავლებელთა გაძლიერება „ალტერნატიული დისციპლინის მეთოდების“ სწავლების კუთხით. მასწავლებლები, რომლებიც თავად პროსოციალური, კონსტრუქციული სწავლების მეთოდებით არიან აღჭურვილნი, ზრდიან მოსწავლეთა მედეგობასა და ცხოვრებისეულ სირთულეებთან ალტერნატიული მეთოდებით გამკლავების შანსებს.[29]

ნიშანდობლივია, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნა მიზნად არ ისახავს მხოლოდ სასკოლო ძალადობასთან გამკლავებას. 2013 წლის კვლევის (Thapa et al.) მიხედვით, სკოლის კლიმატს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოსწავლის ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, თვითშეფასებაზე, თვითკრიტიკაზე. სკოლაში პოზიტიური და ჯანსაღი სოციო-ეკონომიური კლიმატი კავშირშია მოსწავლის მიერ არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენებასთან და ფსიქიკურ პრობლემებთან. უფრო კოკრეტულად კი, ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ პოზიტიური სასკოლო ატმოსფეროს არსებობა ამცირებს სკოლაში მოსწავლეებში ნარკოტიკების მოხმარებას, სკოლის ხშირ გაცდენას. მეტიც, პოზიტიური კლიმატი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აკადემიურ მოსწრებაზე, მოსწავლის მოტივაციის ზრდის გზით, ასევე, ამცირებს მოსწავლის სოციო-ეკონომიური სიძნელეების გავლენას სასწავლო

[28] Ibid. pp. 16-17.
[29] UNESCO International Institute for Capacity-Building in Africa, (2017), School Safety Manual – Tools for teachers, p. 19.

პროცესზე, ხელს უწყობს ნაკლებ აგრესიასა და ძალადობას და წარმოადგენს დამცავ ფაქტორს, სწავლისა და ცხოვრების პოზიტიური წარმართვის კუთხით.[30]

ამავდროულად, პოზიტიური კლიმატის შექმნა არ გამორიცხავს და, პირიქით, მოითხოვს სკოლაში კონკრეტული წესების და ამ წესების დარღვევის შემთხვევაში, მოსალოდნელი საპასუხო რეაქციის არსებობას.[31] აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ წესების დარღვევაზე საპასუხო რეაქცია მიზნად არ უნდა ისახავდეს დარღვევის ჩამდენი პირის დასჯას და უპირველეს ყოვლისა, სკოლა უნდა ეცადოს სკოლაში აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპების გამოყენებას, სადაც ყურადღება ზიანის აღმოფხვრა-გამოსწორებაზე იქნება მიმართული.[32] მიუხედავად ამისა, წესებისა და პოტენციური საპასუხო რეაქციის არსებობა, ემსახურება სკოლაში სამართლიანობის და ერთიანი მიდგომის დამკვიდრების მიზნებს. კვლევა აჩვენებს, რომ ის სკოლები, რომლებშიც წესების აღსრულება ეფექტიანად ხდება, და სადაც სასკოლო დისციპლინის მართვა წარმატებულად მიმდინარეობს, სტუდენტთა ვიქტიმიზებისა და სტუდენტების მიერ დანაშაულების ჩადენის მაჩვენებლები შედარებით დაბალია.[33]

რომ შევაჯამოთ, თანამედროვე მიდგომები უსაფრთხო სკოლის მრავალკომპონენტიან, მრავალსექტორულ, „ერთიანი სკოლის მიდგომას“ ეყრდნობა, რომელშიც უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის პროცესი, სხვადასხვა აქტორების ჩართულობაზეა დამოკიდებული. ამით თანამედროვე მიდგომები განსხვავდება სკოლაში უსაფრთხოების მიღწევის ადრინდელი საშუალებებისგან, სადაც სკოლაში უსაფრთხო გარემოს მიღწევა უსაფრთხოების ინფრასტრუქტურით და პერსონალით, სანქციებითა და მკაცრი დისციპლინის დანერგვით მოიაზრებოდა. სკოლაში უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველსაყოფად, სკოლამ უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი: სკოლის შენობის არქიტექტურული და ინფრასტრუქტურული მოწყობის საკითხები, სკოლის ტერიტორიის ხილვადობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად; სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნა, რომელიც დაფუძნებულია მოსწავლეთა თანამონაწილეობასა და თანასწორობაზე; სასკოლო საზოგადოების სკოლის მართვაში ჩართვის მექანიზმები, სკოლაში ქცევის მკაფიო წესების შედგენა და სკოლის ყველა რგოლის ინფორმირება; პროსოციალური სწავლების მეთოდების დანერგვა და ამ მიზნით მასწავლებელთა მხარდაჭერა.

1.1.3 უსაფრთხო სკოლის მოდელი ქართულ მაგალითზე

საქართველოში მოქმედი სასკოლო უსაფრთხოების კონცეფციით, სკოლაში უსაფრთხოების დაცვასა და განმტკიცებაზე პასუხისმგებელი მთავარი რგოლი

---

[30] Thapa, A., Cohen, J., Guffey, S., & Higgins-D'Alessandro, A. (2013). A review of school climate research. Review of educational research, 83(3), 357-385, p. 4.
[31] World Health Organization (2019), School-based violence prevention: a practical handbook, p. 42.
[32] Ibid,
[33] Thapa, A., Cohen, J., Guffey, S., & Higgins-D'Alessandro, A. (2013). A review of school climate research. Review of educational research, 83(3), 357-385 p. 6.

მანდატურის სამსახურია.[34] მანდატურის სამსახური სკოლებში წარმოდგენილია სასკოლო მანდატურების სახით. 2022 წლის ივლისის მდგომარეობით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულია 1557 მანდატური. მანდატურები განაწილებული არიან 607 საჯარო სკოლაში, რითიც დაფარულია მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 80%.[35]

მანდატურის ფუნქციებში, მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის გარდა, სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნაც შედის, რომელიც ეფუძნება „პატივისცემაზე დამყარებულ ურთიერთობებს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური საჭიროებები და დაცულია სასწავლო პროცესში ჩართული ყველა სუბიექტის უფლებები.“[36] ამასთან, მანდატურის სამსახურის პრიორიტეტად მოიაზრება სკოლაში მზრუნველი გარემოს შექმნა და ანტისოციალური ქმედებების პრევენია.[37]

აღსანიშნავია, რომ მანდატურის სამსახურში შექმნილია ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი.[38] ცენტრი შესაბამის მომსახურებას უწევს როგორც ქცევითი ან ემოციური გამოწვევების მქონე ბავშვებს, ასევე სკოლის პერსონალს. ცენტრში მოსწავლე შესაძლოა მოხვდეს სკოლიდან გადამისამართების შედეგად, ან თავადვე მიმართოს. ცენტრის ფუნქციებში შედის სკოლის ადმინისტრაციის, დირექციისა და მასწავლებლებისთვის, მოსწავლეების და მათი მშობლებისთვის საგანმანათლებლო ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება და სხვა მხარდამჭერი ფუნქციების შესრულება.[39] მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში, 2022 წლის ივლისის მდგომარეობით, დასაქმებულია 39 ფსიქოლოგი. ამავე ცენტრში დასაქმებულია 54 სოციალური მუშაკი, რომლებიც 49 საჯარო სკოლაში არიან წარმოდგენილი.[40]

თუმცა, მანდატურის სამსახური არ წარმოადგენს სკოლაში უსაფრთხოების დაცვის ერთადერთ გარანტს. სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი დირექტორსა და სკოლის დირექციას აქვს მინიჭებული. კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე, სასკოლო დროს, უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ მანდატური და სკოლის დირექცია, ხოლო იმ სკოლაში, რომელშიც არ

---

[34] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №141/ნ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

[35] მანდატურის სამსახურის 21/07/2022 წლის ნრ. MES 6 22 0000828469 წერილი.

[36] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №141/ნ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3nUkBHv, წვდომის თარიღი: 10.07.2022.

[37] სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, 2019-2020 წლებში მიღწეული პროგრესი და 2021 წლის განვითარების გეგმა, გვ. 2.

[38] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №141/ნ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“, მე-5 და მე-12 მუხლები.

[39] იქვე.

[40] მანდატურის სამსახურის 21/07/2022 წლის ნრ. MES 6 22 0000828469 წერილი.

არის მანდატური – უფლებამოსილი პირი და დირექცია.[41] ამასთან, კანონმდებლობა ასევე გამოკვეთს სკოლის ადმინისტრაციისა[42] და მასწავლებლების, მათ შორის კლასის დამრიგებლის როლს სასკოლო უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად. სკოლაში უსაფრთხოებაზე ზრუნვა მასწავლებლის მოვალეობების განუყოფელი ნაწილია. მასწავლებელმა სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასალახად მოსწავლის მრჩევლის ფუნქცია უნდა იკისროს და დაეხმაროს მას სირთულეების მოგვარებაში. პროფესიული ეთიკის კოდექსის თანახმად, მასწავლებელი ვალდებულია, ზრუნავდეს მოსწავლის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე.[43]

გარდა ამისა, სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომელიც დირექტორის მიერ კომპლექტდება. მრჩეველთა საბჭოს მიზანია მანდატურსა და სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა. ამასთან, უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის დირექციას შემდგეგი რეაგირებისთვის.[44] მრჩეველთა საბჭო ვალდებულია, რომ წლის მანძილზე შეიკრიბოს მინიმუმ ოთხჯერ და განიხილოს სკოლაში უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება.[45] უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან:



[41] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3PbIc1Q, წვდომის თარიღი: 10.07.2022.

[42] სკოლის ადმინისტრაციაში იგულისხმება სკოლის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული პირები (გარდა მასწავლებლისა), ასევე სკოლაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები. ბრძანება, მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

[43] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №57/ნ „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“, მე-4 მუხლი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ON18nv, წვდომის თარიღი: 28.06.2022.

[44] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მე-11 მუხლი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3PbIc1Q, წვდომის თარიღი: 10.07.2022.

[45] იქვე,

შესაბამისი რესურს-ცენტრის უფროსი ან თანამშრომელი	მანდატური / უფლებამოსილი პირი	მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე

სასკოლო უსაფრთხოების არქიტექტურის ნაწილს წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ნაწილში სამინისტროს უფრო მეტად კოორდინაციისა და საკანონმდებლო ბაზის სისტემური მოწყობისა ფუნქცია აკისრია. ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, სამინისტრო ახორციელებს ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცება; შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ინფორმაციის გაცვლისა და პრევენციული ღონისძიების დაგეგმვის მიზნით თანამშრომლობა; შსს-ს, განათლების სამინისტროსა და მანდატურის სამსახურს შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცება და სხვ.[46]

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მოქმედ სასკოლო უსაფრთხოების მოდელში გათვალისწინებულია უსაფრთხო სკოლის კონცეფციის სხვადასხვა პოზიტიური ელემენტი, როგორიცაა სკოლის ტერიტორიაზე ზედამხედველობის დამყარება, რასაც სასკოლო მანდატური უზრუნველყოფს; ასევე, მოქმედ ნორმატიულ აქტებში, მეტნაკლებად გაწერილია სკოლის დირექციის, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ფუნქციებიც სასკოლო უსაფრთხოების მიმართულებით. მიუხედავად ამისა, ქართული უსაფრთხო სკოლის მოდელი საჭიროებს თანამედროვე მიდგომების უფრო ინტენსიურად ადაპტირებას, რაც სასკოლო უსაფრთხოების ცენტრალურ კომპონენტად პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ მანდატურის სამსახურის ყველაზე ცენტრალური და მრავალრიცხოვანი რგოლი სასკოლო მანდატურები არიან, რომელთა ძირითადი ფუნქცია, სკოლაში დისციპლინისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაა. მათ ფუნქციებში შედის სასკოლო პერიმეტრის კონტროლი, კონფლიქტური სიტუაციების, მათ შორის ჩხუბის, ძალადობის, ბულინგის პრევენცია და მათზე რეაგირება. ამასთან, მანდატურის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგებს სკოლაში აკრძალული ნივთების შეტანის პრევენცია და კონტროლი. ამ მიზნების მისაღწევად, მანდატური ადმინისტრირებას უწევს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემას,[47] უფლებამოსილია მოსწავლეს ჩაუტაროს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება მეტალოდეტექტორის გამოყენებით[48], საჭიროების შემთხვევაში, განაცალკევებს მოსწავლეებს,[49] ასევე, უკიდურეს შემთხვევებში, უფლებამოსილია გამოიყენოს ფიზიკური ძალა.[50]

---

[46] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ჰ[11],“ „ჰ[12]“ და „ჰ[13]“ ქვეპუნქტები.
[47] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 42,
[48] იქვე, მუხლი 21,
[49] იქვე, მუხლი 32,
[50] იქვე, მუხლი 48,

მანდატური სკოლაში გამოვლენილ დარღვევებს ან სავარაუდო დარღვევის ფაქტებს ასახავს დარღვევის აღრიცხვის ფურცელში, რომელიც მართვის ავტომატური საშუალებით (erofficers.emis.ge – ელექტრონული პროგრამა) შედგენილ დოკუმენტს წარმოადგენს და სადაც თავმოყრილია ინფორმაცია თითოეულ დარღვევასთან დაკავშირებით.[51] საგულისხმოა, რომ საქართველოს განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრძანების[52] თანახმად, მანდატურის სამსახურსა და შსს-ის შორის ხორციელდება ინფორმაციის გაცვლა და კოორდინაცია ორი გზით:

1. მანდატურის სამსახურის მიერ ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში დაცული ინფორმაციის რეალურ დროში კოპირებითა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის მონაცემთა ბაზაში ასახვით;
2. შსს-ის, განათლების სამინისტროსა და მანდატურის სამსახურს შორის ინფორმაციის ზეპირად ან წერილობითი ფორმით გაცვლით.[53] შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს სრული წვდომა ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში არსებულ მონაცემებზე.

სასკოლო მანდატურის ჩამოთვლილი ფუნქციები და მოვალეობები ცხადყოფს, რომ მანდატურის პირველად დანიშნულებას სკოლაში დისციპლინის უზრუნველყოფა და დარღვევებსა და დანაშაულებზე რეაგირება წარმოადგენს, რასაც უპირველესად ტექნოლოგიური საშუალებებით ახორციელებს. აღნიშნული მახასიათებელი მიუთითებს, რომ ქართულ რეალობაში, სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, ზემო თავში ნახსენები, პროდუქტზე ორიენტირებული უსაფრთხოების მოდელისთვის დამახასიათებელი მექანიზმები ჭარბად გამოიყენება. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს მანდატურის სამსახურის ელექტრონულ სისტემაზე სამართალდამცავი ორგანოების წვდომის ფაქტი, რაც სკოლაში უსაფრთხოების დაცვის საკითხს, კვლავ დანაშაულთან ბრძოლისა და უსაფრთხოების ლოგიკას უქვემდებარებს.

საკმარისი ყურადღება არ ეთმობა სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის შექმნით ანტისოციალური ქცევის პრევენციისა და მასთან გამკლავების საკითხს. როგორც აღინიშნა, მხარდაჭერის, ურთიერთპატივისცემისა და პოზიტიური კლიმატის შექმნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სკოლაში ტრადიციული უსაფრთხოების ზომების გამოყენების საჭიროება აღარ, ან ნაკლებად არსებობდეს. თუმცა, ქართული მოდელით, სკოლაში მანდატურის სამსახური მოაზრებულია უსაფრთხოების არქიტექტურის ცენტრალურ ნაწილად, ხოლო სასკოლო უსაფრთხოება გაგებულია უმეტესად ფიზიკური უსაფრთხოებისა და ძალადობის აღმოფხვრის კონტექსტში. სკოლაში უსაფრთხოების დამკვიდრების სხვა, ალტერნატიული მეთოდები, ქართულ რეალობაში, მხოლოდ დამატებით, დამხმარე მექანიზმებად და ფრაგმენტულად გვევლინება.

---

[51] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[52] ბრძანება №40/ნ / №18 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცების შესახებ.“

[53] იქვე, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევა ბავშვზე ძალადობის შესახებ ასკვნის, რომ სკოლაში ძალადობასთან გამკლავების ყველაზე ეფექტინი მიდგომა ინდივიდუალური, სკოლის საჭიროებებზე მორგებული სასკოლო უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებას გულისხმობს.[54] ამასთან, ეს არ ნიშნავს სკოლების მიერ ძალადობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომების დამკვიდრებას. სკოლებში მათთვის განსაკუთრებით პრიორიტეტული მიმართულების გამოკვეთა, ან კონკრეტული სამოქმედო გეგმის დასახვა, თავად სასკოლო საზოგადოების მიერ უნდა განხორციელდეს, სკოლის უნიკალური გამოწვევებისა თუ ძლიერი მხარეების გათვალისწინებით. ამ სახელმძღვანელოს მე-4 თავში, სწორედ სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხს შევეხებით და განხილული იქნება ის პრაქტიკული ნაბიჯები, რომლებიც სკოლის ადმინისტრაციამ სასკოლო საზოგადოებასთან ერთად უნდა გადადგას სკოლაში უსაფრთხოების დაგეგმვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებისა და აღსრულების მიზნით.

1.2 ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება და სხვა პრობლემური ქცევები ახალგაზრდებში

მოზარდობის ასაკი პიროვნების განვითარების არსებითი პერიოდია. ამ დროს ადამიანი ყალიბდება დამოუკიდებელ ინდივიდად, ამყარებს ახალ ურთიერთობებს, ივითარებს სოციალურ უნარებს და სწავლობს ქცევებს, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვება. ეს პერიოდი ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება გამოწვევებითაც იყოს სავსე. ბავშვობიდან ზრდასრულობისკენ გარდამავალ პერიოდში მიმდინარე სწრაფი ნევროლოგიური, ფიზიკური და ემოციური ცვლილებები ახალგაზრდებს უფრო მოწყვლადს ხდის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების მიმართ. მოზარდები ხშირად მოიხმარენ ისეთ მავნე ნივთიერებებს, როგორიცაა თამბაქო, ალკოჰოლი და ნარკოტიკები; ამ პერიოდში იზრდება ძალადობასთან და სხვა ანტისოციალურ ქცევებთან დაკავშირებული რისკები.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კუთხით, დღეისათვის ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმოხმარება და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური შედეგები. ბოლო რამდენიმე წელია შეინიშნება ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმოხმარების შემთხვევების საგანგაშო ზრდის ტენდენცია, მათ შორის, ახალგაზრდებშიც.

1.2.1 ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარება

მოზარდთა მიერ ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარების შესახებ მეცნიერული ცოდნის შესაგროვებლად, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი (დკსჯეც) 16 წლის მოზარდებში მთელი ქვეყნის მასშტაბით პერიოდულად ატარებს რაოდენობრივ კვლევას **ESPAD-ის მეთოდოლოგიით**. თექვსმეტი წლის 3092 მოსწავლეზე

[54] Pinheiro, Paulo Sérgio, (2006), UN World Report on Violence Against Children p. 138.

ჩატარებული ბოლო, 2019 წლის კვლევის[55] თანახმად, სიცოცხლის განმავლობაში თამბაქოს მოხმარების მაჩვენებელი 36%-ია (ბიჭებში 46%, გოგოებში 27%). მოსწავლეთა 12%-მა განაცხადა, რომ სიგარეტი მოწია უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. მაჩვენებელი ბიჭებში (17%) ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე გოგონებში (7%). მოსწავლეთა 21%-მა მოწევა (ბიჭების 28% და გოგონების 14%) 13 წლის ან უმცროს ასაკში სცადა. გამოკითხული მოსწავლეებიდან 7% არის რეგულარული მწეველი (ვისაც სიცოცხლის განმავლობაში 40-ჯერ ან მეტჯერ მოუწევია სიგარეტი). მოსწავლეთა 33%-ს (ბიჭების 43% და გოგოების 25%) სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც მოუწევია ელექტრონული სიგარეტი, ხოლო 7%-ს ელექტრონული სიგარეტი მოუწევია უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. მოსწავლეთა 8%-ს ოდესმე მოუხმარია გახურებადი თამბაქო. 3%-მა (ბიჭების 3% და გოგონების 2%) გახურებადი თამბაქო მოიხმარა უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში.

ამავე კვლევაში ალკოჰოლთან დაკავშირებით შემდეგი მონაცემები დაფიქსირდა: გამოკითხულ მოსწავლეთა 85%-ს სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლური სასმელი (ბიჭების 87%, გოგოების 81%). მიღებული სასმელის ყველაზე გავრცელებული სახეობებია ლუდი და ღვინო, შემდეგ სპირტიანი სასმელები. მოსწავლეთა 75%-მა (ბიჭების 78% და გოგონების 72%) ალკოჰოლი მიიღო უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. 2015 წელთან შედარებით, სტატისტიკურად მნიშვნელოვნად გაიზარდა გოგონებში ალკოჰოლური სასმელის მიღების სიხშირე უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. გოგონებში ყველაზე ხშირად მიღებული სასმელია ღვინო და ბიჭებში კი ლუდი. სასმელის ხუთი ან მეტი ულუფის მიღება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში დაადასტურა მოსწავლეების 44%-მა (ბიჭები - 51%, გოგონები -39%); 13 წლის ან უმცროს ასაკში ალკოჰოლის მიღება - 59%-მა (ბიჭები 69%; გოგონები 52%); თრობა - 24% (ბიჭები 32% და გოგონები 18%).

გამოკითხვის დროს მოსწავლეებს დაესვათ შეკითხვა ინჰალანტების შესახებ. გამოკითხულთა 5%-ს (ბიჭები 5% და გოგოები 4%) სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც გამოუყენებია ინჰალანტები. 3%-მა (ბიჭების 3% და გოგოების 2%) ინჰალანტები გამოიყენა უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში.

რაც შეეხება მარიხუანას და სხვა არალეგალურ ნარკოტიკებს, ასეთი სურათი გამოვლინდა: გამოკითხულთა 25%-ისთვის (ბიჭები 28% და გოგოები 22%) მარიხუანას/ჰაშიშის/კანაფის/„პლანის“ მოპოვება საკმაოდ ადვილი ან ძალიან ადვილია. აღნიშნული მაჩვენებლები 2015 წლის შედეგებთან (21%) შედარებით გაზრდილია. 2015 წელთან შედარებით, სტატისტიკურად მნიშვნელოვნად გაიზარდა მარიხუანას მოხმარების პროცენტული მაჩვენებელი უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში (4.9%). ზრდა შესამჩნევია როგორც გოგონებში (4.7%), ისე ბიჭებში (6.5%). ასევე, სტატისტიკურად მნიშვნელოვნად გაიზარდა მარიხუანას გასინჯვის შესაძლებლობა. ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გოგონებში, თუმცა იგი ბიჭებშიც აღინიშნება. გამოკითხულთა 3%-მა (ბიჭების 4% და გოგონების 2%) მარიხუანა პირველად 13 წლის ან უმცროს ასაკში მოიხმარა; 2015 წელს ეს

[55] ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის პროექტი ESPAD 2019, საქართველო

მაჩვენებელი 2% (ბიჭების 4% და გოგონების 1%) იყო. რესპონდენტთა 10% (ბიჭების 16% და გოგონების 5%) მოიხმარს თამბაქოში გარეულ „პლანს“.

კითხვაზე, თუ რამდენად რთული იქნებოდა მოსწავლეთათვის, სურვილის შემთხვევაში, ჩამოთვლილი შვიდი ნივთიერების შოვნა (ამფეტამინები, მეტამფეტამინები, ტრანკვილიზატორები/სედაციური საშუალებები, ექსტაზი, კოკაინი, კრეკი და „ბიო“ სპაისი), პასუხები ასე გადანაწილდა: ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომია ტრანკვილიზატორები/ სედაციური საშუალებები (12%), შემდეგ ექსტაზი (7%), „ბიო“ სპაისი (6%), კოკაინი (4%), ამფეტამინები (3%), მეტამფეტამინები (3%) და კრეკი (3%). ბიჭებისათვის ყველა ნივთიერების შოვნა უფრო ადვილია, ვიდრე გოგოებისათვის, გარდა ტრანკვილიზატორების/სედაციური საშუალებებისა.

მოსწავლეებს ცალკე დაესვათ შეკითხვა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებით. 2,8%-მა აღნიშნა (ბიჭები 4.6% და გოგოები 1.2%), რომ მოუხმარია სიცოცხლის მანძილზე, ხოლო 1,8%-ს (ბიჭები 3.0% და გოგოები 0.8%) უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. მნიშვნელოვნად გაიზარდა ბალახოვანი მოსაწევი ნარევის მიღება (5.9%), განსაკუთრებით გოგონებში (8.7%); გოგონებში ასევე გაზრდილია სითხის (6.7%) და ფხვნილის, კრისტალის ან ტაბლეტის (6.6%) მიღების სიხშირე.

ამავე პერიოდში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, 14-24 წლის 4000 ახალგაზრდაზე (სკოლის მოსწავლეები და პროფესიული კოლეჯების/უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები) ჩატარდა **ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების რაოდენობრივი კვლევა**[56]**.** კვლევის შედეგების თანახმად, სკოლის მოსწავლეების დაახლოებით ნახევარს (49%) და კოლეჯის/უნივერსიტეტის სტუდენტების ორ მესამედს (61.5%) ოდესმე მოუხმარია თამბაქო. ყოველი მეოთხე სკოლის მოსწავლე (24.3%) და სტუდენტების თითქმის ორი მესამედი (60.7%) ყოველდღე ეწეოდა სიგარეტს ბოლო 30 დღის განმავლობაში. ბოლო 30 დღეში ყოველდღიურად მოიხმარდა სიგარეტს მოსწავლე ვაჟების 30,2% და მოსწავლე გოგონების - 20%; სტუდენტი ვაჟების 74,8% და სტუდენტი გოგონების 53,4%. საკმაოდ მაღალია თამბაქოს ადრეულ ასაკში მოხმარების მაჩვენებელი. ადრეულ ასაკში (14 წლამდე) სიგარეტი მოწეული აქვს ყოველ მეოთხე ახალგაზრდას, ხოლო 10 წლამდე ასაკში - ყოველ მეათეს.

მოზარდებისა და ახალგაზრდების დიდ უმრავლესობას, მოსწავლეების 89.3%-ს და სტუდენტების 94.3%-ს ოდესმე მოხმარებული აქვს ალკოჰოლური სასმელი (ლუდი, ღვინო ან მაგარი ალკოჰოლური სასმელები). მაღალია ბოლო თვეში სასმელის მიღებისა და გადამეტებული სმის მაჩვენებლები - ყოველმა მეოთხე მოსწავლემ დაადასტურა ზედიზედ 5 ან მეტი ჭიქა ალკოჰოლური სასმელის დალევა ბოლო თვეში ერთხელ ან ორჯერ. ალკოჰოლის ადრეულ (14 წლამდე) ასაკში მოხმარებას ადასტურებს ახალგაზრდების დაახლოებით ნახევარი, 10 წლამდე ასაკში ალკოჰოლური სასმელი დალეული აქვს ყოველ მეხუთე ახალგაზრდას და თითქმის

[56] სირბილაძე თ., ჯავახიშვილი მ., კობაიძე მ., ჭიჭინაძე თ., ბენაშვილი მ. (2019). ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების კვლევა საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში. თბილისი, საზოგადოებრივი გაერთიანება ბემონი

ამდენივე ახალგაზრდას ალკოჰოლური სასმელების რეგულარული მიღება დაწყებული აქვს 14-17 წლის ასაკში.

კვლევამ გამოავლინა, რომ სკოლის მოსწავლეების 17.5%-ს (მათ შორის, ვაჟები 65% და გოგონები - 35%) ცხოვრების მანძილზე თუნდაც ერთხელ მოუხმარია კანაფი (მარიხუანა). სკოლის მოსწავლეების 9.3%-ს (მათ შორის ვაჟები 61.2% და გოგონები - 38.8%) მოხმარებული აქვს მარიხუანა ბოლო 30 დღის განმავლობაში. მარიხუანას პირველად მოხმარების ასაკად ყველაზე ხშირად დასახელდა 14-17 წელი. იმ მოსწავლეებსა და სტუდენტებში, ვინც მარიხუანას რეგულარულ მოხმარებას ნაკლებად საფრთხის შემცველად აღიქვამს, უფრო მაღალია ბოლო თვეში მარიხუანას მოხმარების მაჩვენებელი.

ყველაზე გავრცელებული არალეგალური ნარკოტიკი მარიხუანაა. რაც შეეხება სხვა არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას, ვაჟებს ყველაზე მეტად მოუხმარიათ LSD, სპაისები („ბიო“) და ექსტაზი. გოგონებს - საძილე საშუალებები, LSD და ინჰალანტები.

საინტერესო მონაცემები დაფიქსირდა ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული რისკის აღქმის თვალსაზრისით - მოსწავლეები, ძირითადად, სწორად აფასებენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების სისტემატურ და ხშირ მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებს; მაგრამ აღსანიშნავია, რომ მოსწავლეების დიდი ნაწილი ადეკვატურად ვერ აფასებს იმ ნივთიერებების ეპიზოდური მოხმარების საფრთხეს, რომელთა ერთჯერადი მოხმარებაც კი მაღალი რისკის შემცველია (LSD, ბიო, ექსტაზი, ამფეტამინი). ასევე, არასათანადოდ აფასებენ მარიხუანას მოხმარების საფრთხეს - ყოველი მეხუთე მოსწავლე თვლის, რომ მარიხუანას ყოველდღიური მოხმარება არ არის სახიფათო. ასევე, გამოვლინდა კავშირი ე.წ „კლუბური ნარკოტიკების“ მოხმარების საფრთხის ნაკლებად აღქმასა და მათ მოხმარებას შორის.

საყურადღებოა ისიც, რომ სკოლის მოსწავლეების მიერ ნარკოტიკების შესახებ ინფორმაციის ყველაზე სანდო წყაროდ დასახელდნენ მშობლები და მასწავლებლები, ხოლო თანატოლებისგან მიღებულ ინფორმაციას ახალგაზრდები ნაკლებად ენდობიან. კვლევის თვისობრივი კომპონენტის ფარგლებში გამოკითხული მასწავლებელები კი მიიჩნევენ, რომ ამ საკითხებზე სასაუბროდ არ ყოფნით კომპეტენცია და იმისათვის, რომ შეძლონ მოსწავლეებთან ნარკოტიკების მოხმარების პრობლემაზე საუბარი, ესაჭიროებათ გადამზადება.

2019 წელს, საქართველოს ადიქტოლოგთა ასოციაციამ თბილისში, 30 რესპონდენტზე ჩაატარა **ელექტრონული მუსიკის ფესტივალებისა და ღამის კლუბების ვიზიტორებში კლუბური ნარკოტიკების შესახებ ინფორმირებულობის თვისობრივი კვლევა,** რომელიც მიზნად ისახავდა ღამის ცხოვრების კონტექსტში გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული ქცევითი თავისებურებების შეფასებასა და კლუბების/ფესტივალების ვიზიტორთა ცოდნის დადგენას ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული საზიანო შედეგებისა და პირველადი დახმარების შესახებ. ამ თვისობრივი კვლევის თანახმად, რესპონდენტების მიერ კლუბში/ფესტივალზე პირველი ვიზიტის მინიმალური ასაკი 14 წელია, ხოლო მაქსიმალური - 21 წელი. რესპონდენტთა აბსოლუტური

უმრავლესობისთვის კლუბში/ფესტივალზე სიარულის მთავარი მოტივაცია არის გართობა, ცეკვა და მუსიკის მოსმენა. რესპონდენტების მიერ ნარკოტიკების პირველად მოხმარების მინიმალურ ასაკად 13 წელი დასახელდა, ხოლო პირველად მოხმარებულ ნარკოტიკად ძირითადად სახელდებოდა MDMA/ექსტაზი, მარიხუანა და LSD. რესპონდენტების მიერ ყველაზე ხშირად მოხმარებულ ნარკოტიკულ საშუალებებია: MDMA/ექსტაზი, ამფეტამინი, მარიხუანა/ჰაშიში, LSD, კეტამინი, ენბოუმი (Nbome), ბიო-მარიხუანა, ფსიქოტროპული მედიკამენტები. ნარკოტიკების ერთმანეთში შერევის ან/და ალკოჰოლთან ერთად მოხმარების პრაქტიკა ასევე გავრცელებულია. რესპონდენტების ნახევარი (N=15) აღნიშნავს, რომ ჰქონია ნარკოტიკით ინტოქსიკაციის - ზედოზირების გამოცდილება, რომელიც უპირატესად ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებებით იყო გამოწვეული. რესპონდენტთა უმრავლესობას აქვს მინიმალური ინფორმაცია ნარკოტიკების ეფექტებზე, გვერდით მოვლენებსა თუ ზედოზირების დროს დახმარების თაობაზე. მინიმალურია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ნარკოტიკების და ზედოზირების მართვის შესახებ ინფორმაციის მოძიებას ცდილობს.

1.2.2 აზარტული თამაშები

ESPAD-ის მეთოდოლოგიით 2019 წელს ჩატარებული კვლევის (იხ. ზემოთ) თანახმად, უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ფულზე თამაშის სიხშირის მაჩვენებლები ასეთია: (1) მოსწავლეების 8% (ბიჭები 11%, გოგონები 6%) თამაშობს ბანქოთი ან კამათლებით; (2) 6% (ბიჭები 10% და გოგონები 2%) ინტერნეტით დებს ფსონს სპორტზე ან ცხოველებზე; (3) მოსწავლეების 5% (ბიჭები 9% და გოგონები 1%) თამაშობს სათამაშო ავტომატებით; (4) 3% (ბიჭები 6% და გოგონები 1%) თამაშობს ლატარიას; (5) ბიჭები გოგონებთან შედარებით უფრო ხშირად თამაშობენ ყველა სახის აზარტულ თამაშს; (6) მოსწავლეთა 7% თამაშობს ინტერნეტით, 21% - ინტერნეტის გარეშე, ხოლო 66%-მა განაცხადა, რომ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ფულზე არ უთამაშია; (7) ქართველ მოსწავლეთა შორის ყველაზე პოპულარულია ბანქოთი ან კამათლებით თამაში (65%) და სპორტზე ან ცხოველებზე ფსონის დადება (44%); შემდეგ მოდის სლოტ-მანქანა (40%) და ლატარეა (27%).

2022 წელს გამოქვეყნდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მხარდაჭერილი **აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით მოზარდების ცოდნის, შეხედულებებისა და პრაქტიკის კვლევის**[57] ანგარიში. მოზარდებს შორის აზარტული თამაშების და ლუდომანიის შესახებ ცოდნის, დამოკიდებულებისა და აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული პრაქტიკის შესწავლის მიზნით, რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა 14-17 წლის 1,000 მოზარდზე საქართველოს 10 სხვადასხვა ქალაქში.

კვლევის თანახმად, გამოკითხული 14-17 წლის მოზარდების ჩართულობა აზარტულ თამაშებში საკმაოდ მაღალია: (1) მოზარდების 61% აცხადებს, რომ იცნობს ერთ ადამიანს მაინც, ვინც აზარტულ თამაშებს თამაშობს. ამასთან, მოზარდების ერთ მესამედზე მეტს (38%) ნაცნობი, რომელიც აზარტულ თამაშს თამაშობს ახლო

[57] აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით მოზარდების ცოდნის, შეხედულებებისა და პრაქტიკის კვლევა. გაეროს ბავშვთა ფონდი, კვლევითი კომპანია ანოვა, აზარტული თამაშების კვლევის და ლუდომანიის პრევენციის ცენტრი. 2022

გარემოცვაში ჰყავს: მეგობარი/ თანატოლი - 24%, ოჯახის წევრი - 21%; (2) მოზარდების ნახევარზე მეტს უყურებია სხვისი თამაშისთვის (53%); 30% თავადაც დაინტერესებულა აზარტული თამაშებით, თუმცა არ უთამაშია; (3) მოზარდების 13% კი აზარტულ თამაშებს სხვადასხვა სიხშირით თავადაც თამაშობს. მათ შორის, მოზარდების ერთ მეოთხედზე მეტი აქტიური მოთამაშეა და აზარტულ თამაშებს ფულზე კვირაში რამდენიმე დღე ან უფრო ხშირად (27%) თამაშობს. ასევე, 5-დან ერთი მოზარდი თითოულ ჯერზე თამაშს 2 საათს ან მეტს უთმობს.

თამაშის გამოცდილებასა და მოტივატორებთან დაკავშირებით კვლევის შედეგები ასე გამოიყურება: (1) ასაკი, როდესაც მოზარდები აზარტულ თამაშებს პირველად თამაშობენ დაბალია - კვლევაში მონაწილე მოზარდების 22% აღნიშნავს, რომ პირველად 11 წლის ან უფრო პატარა ასაკში ითამაშა, უმრავლესობამ კი თამაში 12 წლის ან უფრო დიდ ასაკში დაიწყო (78%); (2) მოზარდების 40% აღნიშნავს, რომ პირველად თანხის მოგების სურვილის გამო ითამაშა, 19% კი დიდი თანხის მოგების სურვილს ზოგადად თამაშის მოტივატორად ასახელებს; დროის გასაყვანად პირველად მოზარდების ერთმა მესამედმა ითამაშა (32%), გამოკითხულთა ნახევარისთვის კი თავისუფალი დროის გაყვანა ზოგადად აზარტული თამაშების ფულზე თამაშის მთავარი მოტივატორია (51%). კვლევაში მონაწილე მოზარდებისთვის თამაშის დაწყების სხვა მნიშვნელოვან მოტივატორებს მოწყენა/გაბრაზება (28%) და აზარტული თამაშების თანატოლებში პოპულარულად აღქმა (17%) წარმოადგენს. (3) კვლევის თანახმად, მოზარდების მიერ აზარტული თამაშებში ჩართვაზე გავლენას თანატოლებიც ახდენენ - კვლევის მონაწილეთა ერთი მეოთხედი აღნიშნავს, რომ თამაშობს იმის გამო, რომ აზარტულ თამაშებს თამაშობენ მისი მეგობრები, 16%-ს კი მიაჩნია, რომ აზარტული თამაშები პრესტიჟულია/მოდურია. მეგობრებისგან განსხვავებით, მოზარდები აზარტული თამაშის მოტივატორებად ნაკლებად ასახელებენ ოჯახის წევრების თამაშს (5%).

კვლევაში მონაწილე მოზარდების ერთი მეოთხედი, რომელსაც აზარტული თამაში უთამაშია, აღნიშნავს, რომ პირველად აზარტული თამაშები კაზინოში, სლოტ კლუბში ან კაზინოს ვებ. გვერდზე ითამაშა. კაზინოს გარდა, კვლევაში მონაწილე 14-17 წლის მოზარდებში მაღალია ხელზე თამაშის მაჩვენებელიც. მოზარდების 16%-მა, ვინც აზარტულ თამაშებს თამაშობს, პირველად ხელზე ითამაშა. ზოგადად, ხელზე უთამაშია მოზარდების 24%-ს, ხოლო ყველაზე ხშირად 17% თამაშობს.

კვლევაში მონაწილე მოზარდებში, რომლებიც ფულზე თამაშობენ აზარტულ თამაშებს, ყველაზე პოპულარულია ბანქოს თამაშები (ჯოკერი, ბურა და ა. შ). გარდა ბანქოს თამაშებისა, მოზარდების დიდი ნაწილი კაზინოს თამაშებსაც თამაშობს, მათ შორის ყველაზე ხშირად თამაშობენ სლოტებს (25%), სპორტს / ტოტალიზატორს (18%), პოკერს (15%) ან რულეტკას (8%).

რაც შეეხება თამაშის სიხშირეს, რესპონდენტების ერთი მეოთხედი, ვინც აზარტულ თამაშებს თამაშობს, აქტიური მოთამაშეა და აზარტულ თამაშებს კვირაში რამდენიმე დღე ან უფრო ხშირად თამაშობს. ასევე, 5-დან ერთი მოზარდი თითოეულ ჯერზე თამაშს 2 საათს ან მეტს უთმობს. თუმცა, მოზარდების უმრავლესობა აზარტული თამაშებს დღეში საშუალოდ 1 საათს ან უფრო ნაკლებ დროს უთმობს.

მოზარდების ინფორმირების დონე ლუდომანიის დაძლევის გზებზე დაბალია. გამოკითხული მოზარდები ნაკლებად არიან ინფორმირებული აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებასა და მასთან დაკავშირებულ რისკებზე. ყოველი 5-დან 4 მოზარდისთვის ინფორმაცია აზარტული თამაშდამოკიდებულების შესახებ არავის მიუწოდებია, ხოლო მეორე მხრივ, თავადაც არ გასჩენიათ სურვილი, მეტი გაეგოთ ლუდომანიაზე (90%). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას (81%) ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არასრულწლოვნებს ფულზე აზარტული თამაში და ონლაინ აზარტული თამაშების ვებ-გვერდზე რეგისტრაცია ეკრძალებათ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. მოზარდების ნახევარი, რომელიც აზარტულ თამაშებს თამაშობს, აღნიშნავს, რომ მათი თამაშის შესახებ მშობლებმა არ იციან (46%), 18%-ის მშობლებს კი აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათი შვილი აზარტულ თამაშებს თამაშობს, თუმცა ამ საკითხზე შვილებთან არ უსაუბრიათ.

მოზარდებს, რომლებიც თავადაც თამაშობდნენ აზარტულ თამაშებს, უფრო ხშირად უსაუბრიათ თამაშდამოკიდებულებაზე მეგობრებთან (23%), მშობლებთან (13%) და მასწავლებლებთან (7%), ვიდრე მათ, ვინც აზარტული თამაშებით არ დაინტერესებულა. კვლევის თანახმად, 14-17 წლის მოზარდების ერთი მესამედი ფიქრობს, რომ თამაშდამოკიდებულებასთან დაკავშირებით დახმარების მისაღებად ადამიანმა ფსიქოლოგს (35%) და/ან მშობლებს (30%) უნდა მიმართოს. გამოკითხულთა 15%-ის აზრით, პრობლემის დაძლევაში თამაშდამოკიდებულ ადამიანს მეგობარი დაეხმარება; მოზარდების 9% მოძღვარს, ხოლო 5% სამართალდამცავებს ასახელებდა.

1.2.3 სხვა ანტისოციალური ქცევები

ზემოთ აღნიშნული **ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების კვლევის** თანახმად, მოსწავლეებსა და სტუდენტებში გავრცელებულია შემდეგი ანტისოციალური ქცევები:

- → დანის ან სხვა ცივი იარაღის ტარება - მოსწავლეები (8.9%), სტუდენტები (11%)
- → რაიმე ნივთის მოპარვა - მოსწავლეები(10.7%), სტუდენტები (8.1%)
- → სკოლაში/სასწავლებელში მისვლა ნასვამ მდგომარეობაში ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ - მოსწავლეები (7.6%), სტუდენტები (11.8%)
- → მაღაზიიდან რაიმეს მალულად წამოღება ფულის გადაუხდელად - მოსწავლეები (9.9%)

ამ კვლევის თვისობრივი კომპონენტის ფარგლებში გამოკითხული მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სკოლაში ცივი იარაღის ტარების შემთხვევები პრაქტიკულად არ არის - მანდატურები აკონტროლებენ მოსწავლეებს და თუ ოდესმე მსგავსი ფაქტი ყოფილა, მკაცრი რეაგირება მოჰყოლია. დისციპლინის დარღვევებიდან მასწავლებლები ასახელებენ მხოლოდ დაგვიანებას და გაკვეთილების თვითნებურად მიტოვებას, თუმცა ზოგი მასწავლებელი ხაზს უსვამს მოსწავლეების მომატებულ აგრესიულობას.

რაც შეეხება ანტისოციალური ქცევის დაწყების ასაკს, კვლევის თანახმად, დანის ტარებას მოზარდები და ახალგაზრდები უფრო ხშირად 14-17 წლის ასაკში იწყებენ.

მოსწავლეების 2.4%-მა და სტუდენტების 2.9%-მა დაადასტურა სხვებზე თავდასხმა ზიანის მიყენების მიზნით 10 წლის ასაკში ან უფრო ადრე.

გამოვლინდა საინტერესო ურთიერთკავშირი ნივთიერებათა მოხმარებასა და სხვა ანტისოციალურ ქცევებს შორის: ის ახალგაზრდები, რომელთაც ოდესმე მოუხმარიათ ფსიქოაქტიური ნივთიერებები, უფრო ხშირად აღნიშნავდნენ სხვა ანტისოციალურ ქცევებში ჩართვას, ვიდრე ისინი, ვინც უარყოფდნენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას. მოსწავლეებში არალეგალური ნარკოტიკების მოხმარება კორელაციაშია ისეთ ანტისოციალურ ქცევებთან, როგორიცაა მანქანის ან მოტოციკლის მოპარვა, მაღაზიიდან ფულის გადაუხდელად მალულად რაიმეს წამოღება, ზიანის მიყენების მიზნით ვინმეზე თავდასხმა. სტუდენტებში მაღალი კორელაცია გამოვლინდა საინექციო ნარკოტიკების მოხმარებასა და ნარკოტიკების გაყიდვას/ ქურდობას შორის.

ასევე, საყურადღებოა კავშირი სკოლის/ საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულებასა და ნივთიერებათა მოხმარებას შორის: საკმაოდ მაღალია იმ მოსწავლეების რაოდენობა, ვისაც სიამოვნებს სკოლაში ყოფნა და შედარებით ნაკლებია იმ მოსწავლეების რიცხვი, ვინც თვლის, რომ საინტერესოა ის, რაც სკოლაში ისწავლება. ყოველ მეათე მოსწავლეს არ სიამოვნებს სკოლაში ყოფნა; ყოველმა მეოთხემ აღნიშნა, რომ ბოლო თვის განმავლობაში სკოლა გააცდინა იმიტომ, რომ არ უნდოდა სკოლაში ყოფნა; ამდენივესთვის არ აღმოჩნდა საინტერესო ის, რასაც სკოლაში სწავლობს. მოსწავლეებთან შედარებით, ბევრად მეტია იმ სტუდენტების რიცხვი, ვისთვისაც სასიამოვნოა სასწავლებელში ყოფნა და საინტერესოა ის, რასაც სწავლობს.

მოსწავლეებთან გამოჩნდა, რომ არსებობს უკუპროპორციული კავშირი სკოლისადმი მიკუთვნებულობასა და ნივთიერებების მოხმარებას შორის და ეს მიკუთვნებულობა ხელს უწყობს მოზარდების ჩართვას პროსოციალურ ქცევებში. სტუდენტებში სასწავლებლისადმი მიკუთვნებულობის განცდა უკუპროპორციულ კავშირშია მაგარი ალკოჰოლური სასმელების, მარიხუანას და სხვა ნარკოტიკების მოხმარებასთან.

ამავე კვლევის თანახმად, მოსწავლეების უმრავლესობა სკოლაში თავს უსაფრთხოდ გრძნობს. მოსწავლეების დიდი უმრავლესობა უარყოფს სკოლაში თანატოლების მხრიდან ძალადობას ბოლო ერთი წლის მანძილზე; თანატოლების მხრიდან ძალადობის ყველაზე ხშირი ფორმა, რომელიც ყოველმა მესამე მოსწავლემ დაასახელა, არის: „დამცინა, შემარცხვინა ან უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო სხვების თანდასწრებით“.

მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეებთან უხეში მოპყრობის გამოვლინებებიდან ყველაზე ხშირად დასახელდა ყვირილი ძალიან ხმამაღლა და აგრესიულად, დამამცირებელი სიტყვით ან სახელით მიმართვა და გალანძღვა. მოსწავლე ვაჟების ორი მესამედი ადასტურებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მასწავლებელს უყვირია მისთვის და გაულანძღავს, ხოლო ერთი მესამედი აღიარებს, რომ მასწავლებელმა მიმართა დამამცირებელი სიტყვებით.

როგორც თვისებრივმა კვლევამ გამოავლინა, მასწავლებლები უარყოფენ სკოლაში თანატოლების მხრიდან მოსწავლეთა ბულინგის არსებობას. საუბარში ირკვევა, რომ

ბულინგად მიიჩნევენ მხოლოდ სერიოზულ ფიზიკურ ძალადობას. ჩაგვრის სხვა ფორმები შეუმჩნეველი რჩებათ ან არ მიაჩნიათ ჩაგვრად.

სკოლებში ბულინგთან დაკავშირებული, თანასწორობის მოძრაობის მიერ 2020 წელს თბილისის 8 სკოლაში 12–18 წლის 450 მოსწავლეზე ჩატარებული კიდევ ერთი კვლევის - **ქვიარ ბულინგი სკოლაში** თანახმად, კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა (69%) სკოლაში თავს ძირითადად უსაფრთხოდ გრძნობს, 17% – ზოგჯერ, ხოლო 14% კი - არასოდეს. ისინი, ვინც ნაკლებად კეთილგანწყობილია სკოლის მიმართ, საკუთარ დამოკიდებულებას შემდეგნაირად ხსნიან: ხშირია ჩხუბი ბავშვებში (23,4%), ზოგიერთი ბავშვი ძალიან აგრესიულია (10,8%), ბავშვები იჩაგრებიან (6,3%), ბიჭები "ძველბიჭობენ" (5,7%), დასცინიან ჩემს მეგობარს (2,8%), სულ თავის დაცვაზე ვფიქრობ (1,2%). როგორც ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ასევე ადრეულ პერიოდში, გამოკითხულთა ნაწილის თქმით, ყველაზე გავრცელებულია უხეში, საწყენი სიტყვებით მიმართვა (26,5%), მუქარა (27,7%), სწავლის შედეგების გამო დაცინვა (30,5%), მხარდაჭერის, დახმარების დეფიციტი სასკოლო საზოგადოებისგან (23,9%). ასევე, ხშირია ნივთების გამოძალვა და სხვა მოსწავლეებისგან მიზანმიმართულად გარიყვა, რომ ბავშვმა ცუდად იგრძნოს თავი. გამოკითხულთა 27,7% მიიჩნევს, რომ სკოლებში ხშირია გენდერული იდენტიფიკაციის გამო მოსწავლეთა ჩაგვრის/შევიწროების ფაქტები, 30,3%–ის აზრით, „არც ხშირია, არც იშვიათი“, 39.7% კი მიიჩნევს, რომ მსგავსი ფაქტები იშვიათია.

II. ახალგაზრდების პრობლემური ქცევა: რისკი და დაცვა

2.1. რისკზე ორიენტირებული პრევენციული მოდელი

მტკიცებულებების მზარდი რაოდენობა მიუთითებს, რომ ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, განსაკუთრებით მოზარდობის პერიოდში, ხელს უწყობს სხვადასხვა ფსიქოლოგიური, სოციალური და ქცევითი ფაქტორი (ჯანმო 2002). პრევენციული მეცნიერების ინტერესის საგანი თანდათან უფრო მეტად ხდება ჯანმრთელობისთვის ზიანის მომტანი მიზეზები, რაც გულისხმობს პიროვნებასა და მის გარემოში არსებული რისკის შემცირებას და დამცავი ფაქტორების გაძლიერებას. ახალგაზრდების მიკროსოციალურ გარემოცვაში არსებული რისკისა და დამცავი ფაქტორების შეფასება საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ მოცემული გარემოცვისთვის დამახასიათებელი კონკრეტული ფაქტორები და სწორედ მათზე მივმართოთ პრევენციული მუშაობა[58].

რისკის ფაქტორი არის გარემოში არსებული მოვლენა ან პიროვნების მახასიათებელი, მდგომარეობა ან ქცევა, რომელიც ზრდის უარყოფითი შედეგების შესაძლებლობას. დამცავი ფაქტორი არის გარემოში არსებული მოვლენა ან პიროვნების მახასიათებელი, მდგომარეობა ან ქცევა, რომელიც ამცირებს სტრესული მოვლენების ზემოქმედების შედეგებს; ზრდის ინდივიდის უნარს, თავი აარიდოს რისკებს ან საფრთხეებს; ხელს უწყობს სოციალური და ემოციური კომპეტენციის ჩამოყალიბებას[59]. ტერმინის „დამცავი ფაქტორის“ ნაცვლად, ზოგჯერ, იგივე მნიშვნელობით გამოიყენება შემდეგი ტერმინები: მედეგობა (Resiliency), განვითარების აქტივები (Developmental Assets) ან ახალგაზრდების პოზიტიური განვითარება (positive youth development). ყველა ეს ტერმინი გულისხმობს ძლიერი მხარეების განვითარებაზე მიმართული მიდგომის გამოყენებას ბავშვებთან, ახალგაზრდებთან და მათ გარემოცვასთან მუშაობის დროს.

ახალგაზრდების პოზიტიური განვითარების მიდგომის ეფექტურობას მრავალი კვლევა ადასტურებს. ეს არის თანამედროვე მიდგომა, რომელიც აღიარებს, რომ ყველა მოზარდს გააჩნია გარკვეული ძლიერი მხარეები და, როდესაც ხდება ამ ძლიერი მხარეების შერწყმა ჯანსაღი განვითარებისთვის საჭირო რესურსებთან, მოზარდი/ახალგაზრდა პოზიტიური მიმართულებით ვითარდება.

პრევენციული მეცნიერება ხაზს უსვამს იმ ინდიკატორების ანუ პრედიქტორების (კერძოდ, რისკისა და დამცავი ფაქტორების) გამოვლენის მნიშვნელობას, რომლებიც ადგენენ მოზარდის პრობლემური ქცევის ალბათობას (Catalano et al., 2012; Coie et al., 1993; Fraser, 2004), რათა ეფექტურად მოხდეს ამ ქცევების თავიდან აცილება (Hawkins, Catalano, & Miller, 1992). მას შემდეგ, რაც კვლევებმა დაადასტურა პრობლემური ქცევების განმაპირობებელი მთელი რიგი რისკ ფაქტორების არსებობა, შემუშავდა პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომლებიც წარმატებით ამცირებენ რისკებს

[58] 2016 Montana Prevention Needs Assessment Survey. Montana Department of Public Health and Human Services
[59] Kipke M, ed. Risks and Opportunities: Synthesis of Studies on Adolescence. Washington, DC: National Academies Press; 1999.

(Fraser, 2004; Hawkins et al., 1992; Welsh & Farrington, 2007). კვლევებით ასევე დადასტურებულია, რომ მოზარდებში პრობლემური ქცევების განმაპირობებელი რისკის შემცირება ამ ქცევების თავიდან აცილების ეფექტური სტრატეგიაა (Farrington, 2000; Welsh & Farrington, 2007) და სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, მოზარდები ყველაზე ადვილად ექცევიან რისკების ზემოქმედების ქვეშ (Catalano et al., 2012; Masten & Cicchetti, 2010). წლების განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ დამცავი ფაქტორები, პირიქით, აფერხებენ პრობლემური ქცევების განვითარებას (Bowers et al., 2011; Hartman, Turner, Daigle, Exum, & Cullen, 2009; Hawkins et al., 1992; Lösel & Farrington, 2012; O'Donnell, Hawkins, & Abbott, 1995). უამრავი კვლევაა ჩატარებული მოზარდებზე რისკ და დამცავი ფაქტორების ზემოქმედების შესახებ, მაგრამ მწირი მონაცემები არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იცვლება ეს ფაქტორები შემდგომ პერიოდში, ახალგაზრდების განვითარების კვალდაკვალ (Fraser, 2004; Van Der Put et al., 2011)[60].

პრევენციული კვლევების თანახმად, მოზარდებისა და ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მოხმარებასა და სხვა პრობლემურ ქცევებთან დაკავშირებულია შემდეგი რისკ და დამცავი ფაქტორები:

ახალგაზრდების პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორები[61]

დამცავი ფაქტორები		რისკ ფაქტორები
პიროვნული მახასიათებლები ან პირობები ოჯახში, სკოლაში ან საზოგადოებაში, რომლებიც ხელს უწყობენ ახალგაზრდებს, წარმატებით გაუმკლავდნენ ცხოვრებისეულ გამოწვევებს და არსებულ რისკ ფაქტორებს		პიროვნული მახასიათებლები ან პირობები ოჯახში, სკოლაში ან საზოგადოებაში, რომლებიც ზრდიან იმის ალბათობას, რომ ახალგაზრდები ჩაერთვებიან პრობლემურ ქცევებში
ოჯახი → ოჯახისადმი მიკუთვნებულობის განცდა → აღზრდის პოზიტიური სტილი → ორივე მშობელი ოჯახში → მშობლების განათლების მაღალი დონე → სკოლის მიმართ მშობლების მაღალი მოლოდინები		ოჯახი → პრობლემური ქცევის ოჯახური ისტორია → ოჯახის მართვის პრობლემები → ოჯახური კონფლიქტი → ოჯახის წევრის ან ახლობლის თვითმკვლელობა → მშობლების ჩართულობა პრობლემურ ქცევებში → ფსიქოაქტიური ნივთიერებების ან იარაღის ხელმისაწვდომობა ოჯახში
სკოლა → სკოლისადმი მიკუთვნებულობა → მზრუნველი სასკოლო გარემო → ახალგაზრდების მონაწილეობა კლასგარეშე საქმიანობაში		სკოლა → აკადემიური ჩამორჩენილობა → მოსწავლესა და სკოლას შორის ჯანსაღი ურთიეთკავშირის არარსებობა

[60] B. K. Elizabeth Kim, Sabrina Oesterle, Richard F. Catalano, and J. David Hawkins. Change in Protective Factors Across Adolescent Development. J Appl Dev Psychol. 2015.
[61] Risk and Protective Factors for Adolescent Substance Use (and other Problem Behavior). Alaska Division of Behavioral Health, 2011

თემი/უბანი → პოზიტიური კავშირები ახალგაზრდებსა და უფროსებს შორის → უსაფრთხო, მხარდამჭერი ატმოსფერო სამეზობლოში → ძლიერი სათემო ინფრასტრუქტურა (სერვისების ხელმისაწვდომობა საჭიროებისამებრ) → ადგილობრივ და სახელმწიფო დონეზე ისეთი პოლიტიკისა და პროგრამების არსებობა, რომლებიც მხარს უჭერენ ჯანსაღ ნორმებსა და ბავშვთა/ახალგაზრდულ პროგრამებს → თემის საქმეებში ახალგაზრდების მონაწილეობის შესაძლებლობა და ხელშეწყობა **პიროვნული - თანატოლები** → მნიშვნელოვან აქტივობებში ჩართულობა → ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები და სოციალური კომპეტენცია → კულტურული იდენტობა → პოზიტიური პიროვნული თვისებები → დადებითი თვითშეფასება → თანატოლების დადებითი როლური მოდელები → რელიგიური იდენტობა		**თემი/უბანი** → ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა → ნორმები და ფასეულობები თემში → ცეცხლსასროლი იარაღის ხელმისაწვდომობა → ხშირი გადასვლა და მობილობა → სამეზობლოსადმი არასაკმარისი მიკუთვნებულობის განცდა და თემის დეზორგანიზაცია → სიღარიბე **პიროვნული - თანატოლები** → ბავშვზე ძალადობის (ფიზიკური, სექსუალური) ან სხვა ოჯახური ძალადობის გამოცდილება → კულტურული იდენტობისა და კავშირების დაკარგვა → კონსტიტუციური ფაქტორები → ადრეული და განმეორებადი ანტისოციალური ქცევა → პრობლემური ქცევის მქონე მეგობრები → დადებითი ან არასაკმარისად უარყოფითი დამოკიდებულება პრობლემური ქცევების მიმართ (რისკის ან ზიანის ადეკვატური აღქმის არარსებობა) → ჯგუფის წევრობა, რომლის ქცევაც ითვლება დანაშაულად ან საზოგადოებისთვის მიუღებლად

რისკზე ორიენტირებული პრევენციული მოდელი ეყრდნობა შემდეგ მეთოდოლოგიურ დაშვებებს:

→ ნარკოტიკების მოხმარების რისკი არსებობს ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრების ყველა სფეროში; ამიტომ, თუკი პრევენციული სტრატეგიები მიმართულია მხოლოდ ერთ სფეროში მოქმედ ცალკეულ რისკ-ფაქტორებზე, ამით ნარკოტიკების მოხმარების საბოლოო რისკი მოცემულ პოპულაციაში მნიშვნელოვნად არ შემცირდება;

→ რაც უფრო მეტი რისკ-ფაქტორია სახეზე, მით მეტია ნარკოტიკების მოხმარების რისკი და ეს რისკი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება;

→ ცალკეული რისკ-ფაქტორი ხელს უწყობს სხვადასხვა ქცევითი პრობლემების აღმოცენებას. ჩვეულებრივ, ნარკოტიკების მოხმარება ასოცირებულია სხვა პრობლემურ ქცევებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც რისკ-ფაქტორების ინტენსივობა მცირდება, ეს ხელს უწყობს ბავშვის/მოზარდის დაცვას მრავალგვარი ქცევითი გადახრისაგან.

პრევენციული პროგრამები მიმართული უნდა იყოს "რისკის ფაქტორების" შემცირებისა და "დამცველობითი ფაქტორების" გაძლიერებისკენ. არსებობს მყარი რისკის ფაქტორები, რომელთა შეცვლა შეუძლებელია პრევენციული პროგრამებით, მაგრამ შესაძლებელია ინდივიდზე მათი ზეგავლენის შემცირება მათდამი დამოკიდებულების შეცვლის, მათთან გამკლავების უნარ-ჩვევების სწავლების და საკომპენსაციოდ დაცვითი ფაქტორების გაძლიერების გზით.

2.2. სოციალურ-ეკოლოგიური მიდგომა პრევენციაში

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში დიდი ხანია სარგებლობენ სოციალურ-ეკოლოგიური მოდელით. ამ თეორიული მიდგომის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ჯანსაღი ან არაჯანსაღი ქცევების ჩამოყალიბებას განაპირობებს კონტექსტუალური გარემოს (მაგ., ოჯახი, სკოლა, სამეზობლო) ურთიერთქმედება პიროვნებასთან. [62]

ჩვენი ქცევა გარკვეულ კონტექსტში ხორციელდება. ჩვენს ქცევას განაპირობებს არა მარტო ჩვენთვის დამახასიათებელი თავისებურებები ანდა ის, თუ რას ვფიქრობთ ან რისი გვჯერა, არამედ ჩვენი სხვებთან ურთიერთობა, სხვადასხვა ჯგუფები და ორგანიზაციები, რომელთაც ჩვენ მივეკუთვნებით და უფრო ფართო საზოგადოება, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებენ ეს ორგანიზაციები და ჯგუფები. სოციალურ-ეკოლოგიური მოდელი (სემ) გვიჩვენებს, თუ როგორ ახდენს ინდივიდზე პირდაპირ ზეგავლენას ოჯახი, თანატოლები და საზოგადოება:



სოციალურ-ეკოლოგიური მოდელი მოიცავს რამდენიმე დონეს, რომლებიც გულისხმობს ადამიანის ურთიერთქმედების სხვადასხვა კონტექსტს. ამ მოდელში

[62] Golden SD, Earp JA. Social ecological approaches to individuals and their contexts: twenty years of health education & behavior health promotion interventions. Health Educ. 2012.

ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოზარდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებაზე, გადანაწილებულია ოთხ დონეზე - პიროვნულ, ურთიერთობების, თემის/უბნის და საზოგადოებრივ დონეებზე:

→ პიროვნული: მოიცავს პიროვნების სპეციფიკურ მახასიათებლებს, როგორიცაა ასაკი, განათლების დონე, მატერიალური მდგომარეობა, ჯანმრთელობა და ფსიქოსოციალური თავისებურებები.

→ მიკროსოციალური ურთიერთობების: მოიცავს ინდივიდის უახლოეს სოციალურ წრეს - ოჯახის წევრებს, თანატოლებს, მასწავლებლებს და სხვა ახლობლებს, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ინდივიდის ქცევაზე.

→ თემის/უბნის: მოიცავს იმ ინსტიტუტებს, სადაც ხორციელდება სოციალური ურთიერთობები: სასწავლებელი, სამუშაო ადგილი, თემი/უბანი

→ საზოგადოებრივი: მოიცავს ფართო საზოგადოებრივ ფაქტორებს, როგორიცაა სოციალური და კულტურული ნორმები. ამ დონის შესაბამისი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებია ჯანმრთელობის, ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სოციალური პოლიტიკა, რომლებიც ხელს უწყობს მოსახლეობ ის ეკონომიკურ, სოციალურ კეთილდღეობას ან ჯანმრთელობას[63].

სოციალურ-ეკოლოგიური მოდელის თითოეული დონე შეიძლება განიხილებოდეს, როგორც გავლენის დონე, და ასევე, როგორც პრევენციის საკვანძო სამიზნე.

[63] Building on Strengths: Main Findings on Protective Factors and Programs. SAMHSA's Center for the Application of Prevention Technologies, 2016

III. ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მოხმარების პრევენცია

3.1. პრევენციის არსი

რა არის პრევენციული მუშაობის მიზანი? ზოგადად, პრევენცია წარმოადგენს ღონისძიებათა სისტემას, რომელიც მიმართულია არასასურველი მოვლენის თავიდან აცილებაზე. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციის მიზანია ახალგაზრდების მიერ ცნობიერების შემცვლელი ნივთიერებების მოხმარებაზე უარის თქმა. შეგვიძლია თუ არა იმის გარანტირება, რომ პრევენციის შედეგად ბავშვები არასოდეს მოიხმარენ ნარკოტიკებს? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ მხოლოდ იმის დაშვება შეგვიძლია, რომ ჩვენი მუშაობა შეამცირებს ახალგაზრდების მიერ ლეგალური თუ არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ალბათობას. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ თუკი 10-დან 21 წლამდე ასაკობრივ შუალედში ახალგაზრდა არ დაიწყებს ნარკოტიკების მოხმარებას, იმის ალბათობა, რომ ეს ადამიანი მოგვიანებით წამალდამოკიდებულთა რიცხვში აღმოჩნდება, მინიმალურია.

ფსიქოაქტიური ნივთიერებათა მოხმარების პრევენცია გულისხმობს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს (ნაწილობრივ მაინც) ნარკოტიკების მოხმარების დაწყების თავიდან აცილებას ან გადავადებას, ასევე, მოხმარების და / ან მისი უარყოფითი შედეგების შემცირებას მოსახლეობაში ან მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებში.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია შემოიფარგლებოდა სხვადასხვა საინფორმაციო ბუკლეტებისა და ბროშურების შექმნითა და გავრცელებით, რომლებიც ახალგაზრდებს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე აუწყებდნენ, თუმცა, ამითი ახალგაზრდების ქცევა პრაქტიკულად არ იცვლებოდა. დღეისათვის, პრევენციული მეცნიერება სხვა მიდგომებს გვთავაზობს. ოჯახზე, სკოლასა თუ თემზე მიმართული, მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრევენციული სტრატეგიები ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას უზრუნველყოფენ. აშშ-ში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ პრევენციაზე დახარჯული ყოველი დოლარი მომავალში 10 დოლარს ზოგავს. საუბარია ჯანდაცვის, სოციალურ და დანაშაულთან დაკავშირებულ დანახარჯებზე[64].

ფართე გაგებით, ნივთიერებათა მოხმარების პრევენცია უზრუნველყოფს ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯანსაღ და უსაფრთხო განვითარებას, რათა მათ შეძლონ საკუთარი ნიჭისა და პოტენციალის სრულად რეალიზება.

სამეცნიერო მტკიცებულებების თანახმად, ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენცია, ოჯახის, სკოლისა და სამეზობლო თემის გაძლიერების პარალელურად, უნდა ამკვიდრებდეს ცხოვრების ჯანსაღ წესს და გულისხმობდეს შემდეგს: სკოლამდელ ასაკში, ასაკობრივი განვითარების ხელშეწყობას და ბავშვის ჯანსაღი ცხოვრების სტილით აღზრდას (დღის დაბალანსებულ რეჟიმს, ჯანსაღ საკვებს,

[64] Spoth, R. L., Clair, S., Shin, C., & Redmond, C. (2006). Long-term effects of universal preventive interventions on methamphetamine use among adolescents. Archives of pediatrics & adolescent medicine, 160(9), 876

ფიზიკურ კულტურას, და ა.შ.); ადრეულ სასკოლო ასაკში, ჩამოთვლილის პარალელურად, სწავლის, ემოციური თვითრეგულაციისა და სოციალური უნარ-ჩვევების შემდგომ განვითარებას; ადრეულ მოზარდობაში - ყოველივე ჩამოთვლილთან ერთად, ფსიქოაქტიური საშუალებების (უპირველეს ყოვლისა - ლეგალურის, და შემდგომ - არალეგალურის) მოხმარებასთან და ადიქციური ქცევის სხვა ფორმებთან (მაგ., აზარტული თამაში) დაკავშირებული რისკების გაცნობიერებას და, ქცევის ამ ფორმებზე უარის თქმისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას; გვიანდელ მოზარდობაში - ყოველივე ჩამოთვლილთან ერთად, დელიქვენტური ქცევის შემდგომ პრევენციას. აქედან გამომდინარე, ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენცია არის მოზარდი თაობის ჯანსაღ აღზრდაზე ზრუნვის უწყვეტი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი[65].

3.2. პრევენციის თანამედროვე კლასიფიკაცია

უნივერსალური პრევენცია მიმართულია მთელს მოსახლეობაზე: ეს არის ე.წ. „პრევენცია ყველასთვის“- ვინც არ მოიხმარს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს (ძირითადად, ახალგაზრდობა), რათა არ დაიწყონ მოხმარება, ან გადაუვადდეთ მოხმარების დაწყება.

შერჩევითი (სელექციური) პრევენცია - პრევენციის ფორმა, რომელიც გულისხმობს მოწყვლად და ამის გამო მოხმარების მაღალი რისკის წინაშე მდგომ ჯგუფებთან, ოჯახებთან და სხვადასხვა თემთან მუშაობას.

მიზანმიმართული პრევენცია **-** მუშაობა მათთან, ვინც უკვე მოიხმარს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს, მაგრამ ჯერ არ არის მათზე დამოკიდებული, ან მათთან, ვისაც, ფსიქიკური ან პიროვნული პრობლემების გამო, მოხმარების და დამოკიდებულების განვითარების მაღალი რისკი აქვს.

გარემოზე ორიენტირებული პრევენცია მიმართულია იმ კულტურულ, სოციალურ, მარეგულირებელ და ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდის გადაწყვეტილებაზე, დაიწყოს თუ არა ნივთიერებების მოხმარება.

ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, გარემოზე ორიენტირებული პრევენციული სტრატეგიები მიმართულია სოციალურ ნორმებზე, უნივერსალური პრევენცია ფოკუსირებულია უნარების განვითარებასა და სოციალურ ურთიერთქმედებებზე, სელექციური პრევენცია ორიენტირებულია ცხოვრების პირობებსა და სოციალურ მდგომარეობაზე, ხოლო მიზანმიმართული პრევენცია ხელს უწყობს პიროვნულ პრობლემებთან და ფსიქოპათოლოგიასთან გამკლავებას.

პრევენციული სტრატეგიების ამ კლასიფიკაციამ ჩაანაცვლა ადრე არსებული, სამედიცინო პარადიგმაზე დაფუძნებული პირველადი, მეორადი და მესამეული პრევენციის კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც სასარგებლო იყო პათოლოგიური მდგომარეობის განვითარების აღსაწერად და ითვალისწინებდა დაავადების მიზეზის დაავადების აღმოცენებასთან დამაკავშირებელ მექანიზმებს; მაგრამ ასეთი მიდგომა ნაკლებად გამოდგება ადამიანის რთული ქცევის აღსაწერად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ეს ქცევა არ არის დისფუნქციური ან პათოლოგიური.

[65] ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენციის ეროვნული სტრატეგია 2021-2026

პრევენციის თანამედროვე კლასიფიკაცია დაფუძნებულია მიზნობრივი აუდიტორიის ზოგად მოწყვლადობაზე და იყენებს რისკის შემცირების მოდელს. ამგვარად, უნივერსალურ, შერჩევით და მიზანმიმართულ პრევენციას განასხვავებენ მოწყვლადობის (და რისკის) შეფასების მიხედვით. უნივერსალური პრევენციის შემთხვევაში ზოგადი მოსახლეობის ყველა წევრი ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარების ერთნაირი ზოგადი რისკის ქვეშ იმყოფება, თუმცა, ცალკეული ინდივიდების შემთხვევაში რისკი განსხვავებულია. შერჩევითი პრევენციის დროს, გამოიყენება სოციალური და დემოგრაფიული მაჩვენებლები, რომლებიც დაახლოებით მიანიშნებს მომატებულ მოწყვლადობაზე. ეს საშუალებას იძლევა, ყურადღება გამახვილდეს საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებზე (სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები, კანონთან კონფლიქტში მყოფი ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობები, მოწყვლადი ოჯახები და სხვ.). ეს მაჩვენებლები იმ ჯგუფების გამოვლენის საშუალებას იძლევა, რომლებშიც ნარკოტიკების მოხმარების ალბათობა მაღალია, მაგრამ შეუძლებელია ამ ჯგუფების ცალკეულ წევრთა მოწყვლადობის ხარისხის შეფასება. მიზანმიმართული პრევენციის დროს კი ფსიქოაქტიური ნივთიერების მომხმარებელ ან სხვა ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანს უტარდება სკრინინგი და შეფასება, რომლის საფუძველზეც სპეციალისტს შეუძლია, დასვას ნარკოტიკების მოხმარების მომეტებული რისკის შემცველი პიროვნული აშლილობის ან სხვა ფსიქოპათოლოგიური მდგომარეობის დიაგნოზი.

ეფექტური პრევენციული სტრატეგიები

ყველა პრევენციული ღონისძიება დაფუძნებული უნდა იყოს სამეცნიერო კვლევებით მიღებულ ფაქტობრივ მონაცემებზე. სხვაგვარად, საქმე გვექნება რესურსების, მოტივაციის, დროისა და ენერგიის ფუჭ ხარჯვასთან. უფრო მეტიც, ცუდად დაგეგმილმა და არაკომპეტენტურად განხორციელებულმა პრევენციულმა ჩარევამ, შეიძლება, მოსალოდნელის საპირისპირო შედეგები გამოიწვიოს.

მტკიცებულებებით გამყარებული ეფექტური პრევენციული სტრატეგიები აღწერილია ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის საერთაშორისო სტანდარტებში (UNODC, 2013; UNODC and WHO, 2018).

ეფექტური უნივერსალური, შერჩევითი და მიზანმიმართული პრევენციული სტრატეგიები ბავშვის განვითარების პერიოდების მიხედვით[66]

✓ = უნივერსალური პრევენცია; ✓ = შერჩევითი პრევენცია;
✓ = მიზანმიმართული პრევენცია

	მუცლადყოფნისა და ჩვილობის პერიოდი	სკოლამდელი პერიოდი	უმცროსი სასკოლო პერიოდი - 6-დან 11 წლამდე	უფროსი სასკოლო პერიოდი - 12-დან 17-18 წლამდე
ოჯახი	ორსულებისა და ჩვილების პატრონაჟი ✓		პოზიტიური მშობლობის უნარ-ჩვევების სწავლება ✓ ✓	

[66] ადაპტირებულია ცხრილი 1-დან „Summary of interventions and policies that have been found to yield positive results in preventing substance abuse“. წყარო: International standards on Drug Use Prevention – Second updated version. UNODC, 2019

<table>
<tr><td></td><td>მუშაობა ორსულებთან
✓</td><td></td><td colspan="2"></td></tr>
<tr><td rowspan="4">სკოლა</td><td rowspan="4"></td><td>სოციალური და შემეცნებითი უნარების განვითარება
✓✓</td><td>პიროვნული და სოციალური უნარების განვითარება
✓</td><td>სოციალურ კომპეტენციასა და ზეგავლენაზე დაფუძნებული პროგრამები
✓✓</td></tr>
<tr><td></td><td>სასკოლო გარემოს გაუმჯობესებაზე მიმართული პროგრამები
✓</td><td>მოწყვლად და რისკის მქონე ინდივიდებზე მიმართული პრევენცია
✓</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td colspan="2">სკოლისადმი მიკუთვნებულობის გაძლიერებაზე მიმართული პროგრამები
✓</td></tr>
<tr><td colspan="2">სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით
✓</td></tr>
<tr><td rowspan="3">თემი</td><td colspan="2"></td><td colspan="2">პოლიტიკა თამბაქოსთან და ალკოჰოლთან დაკავშირებით
✓</td></tr>
<tr><td colspan="4">თემზე დაფუძნებული მრავალკომპონენტიანი ინიციატივები
✓</td></tr>
<tr><td colspan="3"></td><td>პრევენცია გასართობ დაწესებულებებში
✓</td></tr>
<tr><td>ჯანდაცვის სექტორი</td><td colspan="2"></td><td colspan="2">სკრინინგი და ხანმოკლე ინტერვენცია[67]
✓</td></tr>
</table>

3.3. ნივთიერებათა მოხმარების პრევენცია საგანმანათლებლო სექტორში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბავშვებსა და ახალგაზრდებს ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების რისკს ფაქტორების ფართე სპექტრი განაპირობებს,

[67] ინტერვენცია – (ჩარევა) გულისხმობს სტრატეგიებს, რომლებიც ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოცენების საპასუხოდ ხორციელდება

დაწყებული მათი ინდივიდუალური თავისებურებებით და დამთავრებული იმ გარემოთი, სადაც ისინი ცხოვრობენ. განათლება - ის პლატფორმაა, რომელიც აერთიანებს ბავშვებსა და ახალგაზრდებს მათი განვითარების კრიტიკულ პერიოდებში და ეხმარება მათ ამ რისკების შეფასებასა და მათთან გამკლავებაში.

შესაბამისად, საგანმანათლებლო სექტორს ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისგან ახალგაზრდა თაობის დაცვაში. ეს ნიშნავს ისეთ საქმიანობებს როგორიცაა: მუშაობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სკოლები 100%-ით იყოს თავისუფალი თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისაგან; მოსწავლეებისთვის ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების სწავლების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო კომპონენტთან ერთად; სკოლის პერსონალის, მშობლებისა და მეურვეების ცოდნისა და უნარების ამაღლება; ადგილობრივი თემის/სამეზობლოს ჩართვა ჯანმრთელობის ხელშემწყობ ღონისძიებებში; თანამშრომლობა სხვა სექტორებთან (ჯანდაცვის, სოციალური და ა.შ.). ყოველივე ეს კომპლექსურ პრევენციულ მიდგომას მოითხოვს.

პრევენციული მეცნიერების თანახმად, ეროვნულ დონეზე განათლების სექტორის ჩართულობა, რომელიც ორიენტირებული იქნება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და მოწყვლადობის ხარისხზე, ყველაზე ეფექტურია ნივთიერებათა მოხმარების პრევენციისა და კონტროლის გრძელვადიანი სტრატეგიის განსახორციელებლად. განათლების სექტორში არსებული სხვადასხვა სუბიექტისა და სისტემების ერთობლიობა ქმნის ნარკოეპიდემიაზე საპასუხო ღონისძიებების "ეკოსისტემას".

ეროვნული საგანმანათლებლო სექტორის საპასუხო ღონისძიებების ეკოსისტემა[68]



[68] Education sector responses to the use of alcohol, tobacco and drugs. UNESCO 2017

ეკოსისტემა უნდა განვიხილოთ, როგორც საგანმანათლებლო სექტორის მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრობლემის საპასუხოდ ორგანიზებული დამცავი ღონისძიებების ერთობლიობა. ეს ღონისძიებებია:

→ ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავება;
→ კურიკულუმი, რომელიც მოიცავს ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ ცოდნისა და უნარების განვითარებაზე დაფუძნებულ სწავლებას;
→ მასწავლებლების, სკოლის სხვა პერსონალის სწავლება და დახმარება;
→ მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრევენციული პროგრამების დანერგვა;
→ სასკოლო გარემოზე მიმართული მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომები, ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის ჩათვლით;
→ სასკოლო ჯანდაცვისა და ფსიქოსოციალური სერვისების მუშაობა, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც პრევენციას, ასევე პრობლემების მქონე მოსწავლეებზე ზრუნვას და მხარდაჭერას;
→ განათლების სექტორში საპასუხო ღონისძიებების მართვა, კოორდინაცია და შეფასება, ბავშვებსა და ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარების გავრცელების მონიტორინგის ჩათვლით.

ერთად გამოყენების შემთხვევაში, ეს ელემენტები დიდი ალბათობით გამოიღებს დადებით შედეგებს არა მარტო მოზარდობის პერიოდში, არამედ დაიცავს მოსწავლეებს ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა სარისკო ქცევებისგან ზრდასრულ ასაკშიც.

მტკიცებულებები მიუთითებს, რომ პრევენცია ეფექტურია, თუ: (1) იწყება ადრეულ ასაკში; (2) ფარავს ყველა ასაკობრივ ჯგუფს; (3) განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კრიტიკულ გარდამავალ პერიოდებზე.

მოწყვლადობის აღმოფხვრა შერჩევითი და მიზანმიმართული პრევენციული მიდგომებით.

ბავშვებთან და ახალგაზრდებთან სამუშაოდ ხშირად რეკომენდებულია უნივერსალური მიდგომები, რადგან უნივერსალური პრევენცია ეხმარება არა მარტო დაბალი ან საშუალო რიკის მქონე ინდივიდებს, არამედ მათაც, ვისაც ნივთიერებათა მოხმარების უფრო მაღალი რისკი აქვთ, თანაც, ამცირებს ამ უკანასკნელთა სტიგმატიზაციის ალბათობას. თუმცა, სპეციფიკური მოწყვლადობის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებზე (მაგ., ბავშვები და მოზარდები, რომელთა მშობლები მოიხმარენ ნარკოტიკებს) ორიენტირებული მიდგომები შეიძლება მიმართული იყოს კონკრეტულ რისკის ფაქტორებზე და, ფრთხილად გამოყენების შემთხვევაში, საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდეს.

შერჩევით და მიზანმიმართულ პრევენციულ მიდგომებთან დაკავშირებით შემდეგი საფრთხეები არსებობს:

1. შერჩევის პროცესში მოსწავლისთვის მასტიგმატიზებელი „იარლიყის მიკერების“ რისკი; ასეთი „ეტიკეტირების“ თავიდან აცილება, როგორც წესი, შესაძლებელია ფრთხილი დაგეგმვით, კონფიდენციალობის მკაცრი დაცვით და ინიციატივის შემუშავებაში სამიზნე აუდიტორიის წარმომადგენლების ჩართვით.
2. ანტისოციალური ქცევის პოტენციალის გაძლიერების საფრთხე, როდესაც უფრო მაღალი რისკის მქონე მოსწავლეები გაერთიანდებიან ახალ ჯგუფებში

(ცნობილია როგორც დევიაციური სწავლება, რომლის მეშვეობითაც თანატოლები აძლიერებენ ერთმანეთის ნორმის დამრღვევ ქცევებს).

მიზანმიმართული პრევენციული ინტერვენციის (ჩარევის) ერთ-ერთი სახე, რომელიც გამიზნულია პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის და რომელმაც მოზარდებში იმედისმომცემი შედეგები აჩვენა, არის ხანმოკლე (ადრეული) ინტერვენცია[69] (Carney, 2012; UNODC, 2013):

→ ის შეიძლება იყოს სკოლის ტიპური რეაქციის (მაგ., გაკიცხვა, ჭკუის სწავლება, სკოლიდან დროებით დათხოვნა ან დასჯის სხვა მეთოდები) ეფექტური დადებითი ალტერნატივა იმ შემთხვევაში, თუკი სკოლის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ მოსწავლეს ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემა აქვს.
→ ის მიზანშეწონილია იმ პირებისთვის (მოზარდებისთვის), რომლებსაც ჯერ არა აქვთ ჩამოყალიბებული დამოკიდებულების დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომატიკა.
→ ის შეიძლება ჩატარდეს როგორც სასკოლო, ასევე სკოლის შემდგომ საათებში, რაც ინტერვენციას ძალიან ხელმისაწვდომს ხდის.
→ მტკიცებულებები იმაზე მიუთითებს, რომ ზოგიერთი ინტერვენცია შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ ჯანდაცვის პროფესიონალების, არამედ გაწვრთნილი სკოლის პერსონალის მიერაც (Conrod et al., 2013; O'Leary-Barrett et al., 2010).

სკრინინგისა და ხანმოკლე ინტერვენციის გასაადვილებლად, ჯანმო-მ შეიმუშავა ASSIST პაკეტი, რომელიც შეიცავს კითხვარს, სახელმძღვანელოს ინსტრუქციებით, როგორ უნდა გამოვიყენოთ კითხვარი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შემთხვევების გამოსავლენად და, ასევე, თვითდახმარების სახელმძღვანელოს ნივთიერების მოხმარების შესამცირებლად ან შესაწყვეტად.

ხანმოკლე ჩარევისთვის ჯანმო-ს მიერ შემუშავებული მეორე ინსტრუმენტია AUDIT. ხანმოკლე ჩარევა შეიძლება ასევე განხორციელდეს ონლაინ ან კომპიუტერის მეშვეობით, და ამ ინსტრუმენტის გამოყენების ეფექტურობის შესაფასებლად უფროსკლასელებზე ჩატარებულმა კვლევებმა დადებითი შედეგები აჩვენა (Champion et al., 2013).

ჯანმოს მიერ შექმნილი ორივე ზემოხსენებული ინსტრუმენტი (ASSIST და AUDIT) უკვე ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე. ევროკავშირის მხრდაჭერით მიმდინარე პროექტის „ზრუნვა, პრევენცია, უფლებები" (პროექტი CPR) ფარგლებში, მოხდა ამ ინსტრუმენტების თარგმნა და ადაპტირება. მათი ნახვა შესაძლებელია ამავე პროექტის ფარგლებში შექმნილ ვებ-პორტალზე (www.cpr.ge).

[69] ჯანმო ხანმოკლე ინტერვენციას განმარტავს, როგორც პრაქტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული რეალური ან პოტენციური პრობლემების აღმოჩენასა და რისკის შემცველი ქცევის შეცვლისკენ მიმართული ინფორმაციისა და რჩევების მიწოდებას.

3.4. სკოლაზე დაფუძნებული პრევენციული განათლება ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით

სკოლაზე დაფუძნებული პრევენციული განათლება შეიძლება განისაზღვროს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამები, პოლიტიკა, პროცედურები და სხვა გამოცდილება, რომლებიც ხელს უწყობენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და ავადმოხმარების თავიდან აცილებას.

ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების განვითარების გარდა, პრევენციული განათლების მეშვეობით ზემოქმედება ხდება იმ ღირებულებებსა და შეხედულებებზე, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდებს, მიიღონ ინფორმირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებით.

ეფექტური პრევენციული განათლების მიზნებია:

1. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების დაწყების თავიდან აცილება ან გადავადება;
2. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელი ახალგაზრდების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა;
3. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირება;
4. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერა.

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პრევენციული განათლება უნდა დაიწყოს დაწყებითი კლასებიდან და უწყვეტად გაგრძელდეს სკოლაში სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში. ის უნდა მოიცავდეს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის გამიზნულ მეთოდოლოგიებს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური სწავლებისთვის, უსაფრთხო და ჯანსაღი სასკოლო გარემოს შექმნას, შესაბამისი ჯანდაცვისა და მხარდამჭერი სერვისების უზრუნველყოფას და, ასევე, ოჯახისა და ადგილობრივი თემის ჩართულობას პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

პრევენციული განათლება ორ საკვანძო კომპონენტს მოიცავს:

1. ინფორმირებისა და უნარ-ჩვევების სწავლების პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია ბავშვებისა და მოზარდების აღჭურვაზე ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციით, სხვადასხვა ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების სწავლებით;

2. უსაფრთხო და მხარდამჭერი სასკოლო გარემო, რომელიც მიიღწევა მკაფიოდ ფორმულირებული პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებითა და განხორციელებით.

ამ ორი საკვანძო მიდგომის შერწყმა კარგ შედეგს იძლევა - უნარ-ჩვევების სწავლება ინფორმირებასთან ერთად და სასკოლო პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით ავსებს ერთმანეთს. როდესაც სკოლის პოლიტიკა ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც საგანმანათლებლო მიზნები უფრო ეფექტურად მიიღწევა, ცოდნისა და უნარების განვითარებაზე მიმართული პროგრამები ხელს უწყობს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის უკეთესად გაგებას და მიღებას, რაც, საბოლოო ჯამში, ორივე მიდგომის ეფექტურად განხორციელების საშუალებას იძლევა.

ამას გარდა, ევროპის ქვეყნებში გამოიყენება ე.წ. ინტეგრირებული პრევენცია - ინტერვენციების ნაკრები, რომელიც მიზნად ისახავს პრევენციასთან დაკავშირებული თემების ჩართვას ყოველდღიური სასკოლო ცხოვრების ყველა აქტივობაში, მაგ. სკოლის პოლიტიკასთან ერთად ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული საკითხების მოქნილი ინტეგრაცია სხვადასხვა საგნის გაკვეთილებში[70].
ორი ათწლეულის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა და შეფასებებმა აჩვენა, თუ რომელი პრევენციული ჩარევები მუშაობს სკოლაში და რომელი არ არის დადასტურებული მტკიცებულებებით:

რა მუშაობს და რა არ მუშაობს სკოლაზე დაფუძნებული პრევენციის დროს[71]

რა მუშაობს	რა არ მუშაობს
მიწოდების ფორმა და სტრუქტურა	
- ინტერაქტიული მეთოდები - მაღალსტრუქტურირებული გაკვეთილები და ჯგუფური მუშაობა - სასწავლო გეგმასთან შესაბამისობა	- დიდაქტიკური მეთოდები, როგორიცაა ლექცია - არასტრუქტურირებული, სპონტანური დისკუსიები - მასწავლებელების ინტუიციასა და მსჯელობაზე მინდობა
- მიეწოდება გაწვრთნილი ფასილიტატორის/ მასწავლებლის მიერ	- არ არის დადასტურებული, თანატოლებით მართული პრევენციული ჩარევა უფრო ეფექტურია, თუ მოზრდილებით მართული
- ხორციელდება ყოველკვირეული 10-15 სესიით	- ნებისმიერი ერთჯერადი ღონისძიება
- მრავალკომპონენტიანი პროგრამები	- პოსტერები და ბუკლეტები
შინაარსი	
- გადაწყვეტილების მიღების, კომუნიკაციისა და პრობლემის გადაჭრის უნარები	- მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შედეგების შესახებ
- პიროვნული და სოციალური უნარები	- ნარკოტიკების ყოფილი მოხმარებლების ჩართვა
- თვითეფექტურობა და თავდაჯერებულობა (ასერტულობა)	- ფოკუსირება მხოლოდ თვითშეფასების ამაღლებაზე
- ანტინარკოტიკული განწყობებისა და ნორმების განმტკიცება	- ტესტირება ნარკოტიკებზე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით
- სასწავლო ჩვევებისა და აკადემიური მიღწევების მხარდაჭერა	- დაშინების ტაქტიკა და საშიში ისტორიები, რომლებიც გაზვიადებულია და და ხშირად ეწინააღმდეგება თავად მოსწავლეებისა და მათი თანატოლების გამოცდილებას

[70] Drugs in focus. Drug prevention in EU schools. EMCDDA
[71] European prevention curriculum. EMCDDA 2019

IV. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა

4.1 სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის არსი და მნიშვნელობა

სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს სკოლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ, შიდასასკოლო მოხმარების დოკუმენტს, რომელიც აწესრიგებს სკოლაში უსაფრთხოების დაგეგმვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების ძირითად წესებსა და პრინციპებს. როგორც სახელმძღვანელოს დასაწყისში აღინიშნა, უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა კომპლექსური პროცესია და სასკოლო ცხოვრების თითოეული ასპექტის მოწესრიგებას მოიაზრებს.[72] აქედან გამომდინარე, სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისად, სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, სასურველია დეტალურად აწესრიგებდეს სკოლაში ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო და დაცული გარემოს უზრუნველყოფის კონკრეტულ სტრატეგიებს. სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი უნდა აერთიანებდეს ყველა ცალკეულ საკითხზე არსებულ პოლიტიკის დოკუმენტს, მათ შორის, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებულ სასკოლო პოლიტიკას და წარმოადგენდეს უნიფიცირებულ დოკუმენტს.

მოცემული სახელმძღვანელოს ფარგლებში, წარმოდგენილი იქნება უსაფრთხო სკოლის შექმნისთვის ორი უმნიშვნელოვანესი საკითხის: სკოლაში ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტისა (მე-5 თავი) და სკოლაში ძალადობრივი და ანტისოციალური ქცევის მართვისა და პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის პროცესში გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი პრინციპები.

4.2 სკოლაში ძალადობრივი და ანტისოციალური ქცევის მართვისა და პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი

სკოლაში ძალადობრივი და ანტისოციალური ქცევის მართვისა და პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის (შემდგომში ძალადობის პრევენციის დოკუმენტი) მიზანია სკოლის უსაფრთხოების მხოლოდ ერთი მიმართულების - ძალადობრივი ფაქტებისა და ანტისოციალური ქცევის შემთხვევების მართვა და შემცირება. მიუხედავად ამისა, დოკუმენტით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულება, გარდა ძალადობრივი ფაქტების შემცირებისა, ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესების პროდუქტიულობის გაზრდასაც.[73]

ძალადობრივი და ანტისოციალური ქცევის მართვისა და პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის მეშვეობით:

---

[72] უსაფრთხო ფიზიკური გარემო; ფიზიკური დაზიანებების პრევენცია; სკოლაში ქიმიური ნივთიერებების შენახვის პოლიტიკა; საკვების ხარისხის უზრუნველყოფა და მონიტორინგი; სკოლამდე უსაფრთხო მისვლა ან ტრანსპორტირება, შშმ მოსწავლეთათვის უსაფრთხოების სტანდარტების უზრუნველყოფა; სასკოლო ჯანდაცვა; კრიზისული სიტუაციების მართვა, ბუნებრივი სტიქიების დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ. დეტალურად იხ. გვერდი7.

[73] UNISDR. (2017),Comprehensive school safety, p. 10.

1. <u>სკოლა:</u>
- ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ ზრუნავს მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალის უსაფრთხოებაზე;
- შეიმუშავებს სკოლაში ანტიძალადობრივი ცნობიერების ამაღლებისა და ძალადობრივი ფაქტების აღკვეთა-პრევენციის სტრატეგიებს.

2. <u>მოსწავლეები:</u>
- ინფორმირებულები არიან სკოლაში არსებული წესებისა და მათი დარღვევის შემთხვევაში გამოსაყენებელი სანქციების შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ სკოლაში არსებული დამხმარე სერვისებით.

3. <u>მშობლები:</u>
- აცნობიერებენ თავიანთ როლს უსაფრთხო სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებაში;
- აცნობიერებენ პოზიტიური აღზრდის მნიშვნელობას;
- ინფორმირებულნი არიან ძალადობის ამოცნობისა და მასზე რეაგირების განხორციელების გზების შესახებ.

4. <u>სკოლის პერსონალი:</u>
- ძალადობის პრევენციისა და მის აღკვეთაში მონაწილეობის მიღების მიზნით აღჭურვილია სათანადო ინსტრუმენტებით და გადაწყვეტილებების მიღების დროს ხელმძღვანელობს ქცევის წესების წინასწარ ჩამოყალიბებული სისტემით;
- აცნობიერებს პოზიტიური სწავლების როლს ჯანსაღი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებაში.

5. <u>სკოლის თემი/დაინტერესებული საზოგადოება:</u>
- ინფორმირებულია ძალადობის პრევენციის პოლიტიკის შესახებ;
- აცნობიერებს საკუთარ როლს უსაფრთხო სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებაში.

4.2.1 უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფის დაკომპლექტება

ძალადობის პრევენციის დოკუმენტის შემუშავებამდე, სკოლამ უნდა დააკომპლექტოს უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფი, რომლის ფუნქციებშიც მოექცევა ძალადობრივი ქმედებების აღკვეთა-პრევენციის ხელშეწყობა, მათ შორის, უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება.

მოქმედი კანონმდებლობა[74] სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვის ფუნქციას აკისრებს სკოლის უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს, თუმცა არსებული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების პრინციპები და საქმიანობის მარეგულირებელი წესები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების ფართო ჩართულობასა და საქმიანობის ეფექტიანობისთვის საკმარისი ბერკეტების შექმნას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია მრჩეველთა საბჭოსგან დამოუკიდებლად შეიქმნას სკოლის

[74] საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“; „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანება.

უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფი ან არსებული საბჭოს დაკომპლექტებისას იქნას გათვალისწინებული შემდეგი რეკომენდაციები:

→ საკოორდინაციო ჯგუფში სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული ჯგუფის ფართო წარმომადგენლობის (მოსწავლეები, მშობლები, სკოლის პერსონალი, სამეზობლო, ადგილობრივი ორგანიზაციები, ადგილობრივი ბიზნესი, ფართო საზოგადოება) უზრუნველყოფა;

→ სკოლის პერსონალის მიერ საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობაში მშობელთა ჩართულობის წახალისება[75], რაც შესაძლოა მიღწეულ იქნეს უსაფრთხოების მიმართულებით სკოლის გეგმის გაცნობით, მშობლებისთვის სადისკუსიო სივრცის შეთავაზებითა და ბავშვის უსაფრთხოების საკითხებში მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფით (მაგალითად: საინფორმაციო ბუკლეტებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცნობით). ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფა მოხდეს არა სიმბოლურად და ფორმალურად, არამედ საბჭოს დაკომპლექტებისას გათვალისწინებული იქნეს თითოეული სუბიექტის უნარები და რესურსები;

→ ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებისა და ბავშვების უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობა საკოორდინაციო ჯგუფში;[76]

→ მანდატურების ჩართვა საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობაში, ვინაიდან ისინი ინფორმირებულები არიან ფიზიკური უსაფრთხოების პრობლემების ამოცნობისა და კონფლიქტური სიტუაციების მართვის გზებზე;

→ ფსიქოლოგის, ექიმის, ექთნისა და სოციალური მუშაკის ჩართვა საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობაში.[77]

→ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის კოორდინატორისა და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვაზე პასუხისმგებელი პირების ჩართვა საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობაში (იხ. მე-5 თავი).

4.2.2 სკოლაში არსებული უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასება

ძალადობისა და სხვა ანტისოციალური ქცევების პრევენციის დოკუმენტის შემუშავებას წინ უნდა უძღოდეს სკოლაში უსაფრთხო და დაცული გარემოს კუთხით არსებული მდგომარეობის სიღრმისეული შესწავლა. ამ მიზნით, საკოორდინაციო საბჭომ უნდა მოიძიოს და შეაფასოს სკოლაში არსებული სტატისტიკური მონაცემები. ასევე, შესაბამისი კითხვარების გამოყენებით, საბჭოს შეუძლია თავად შეაფასოს სკოლაში უსაფრთხოების ზოგადი მდგომარება. მონაცემების დამუშავება უნდა

[75] მოქმედი კანონმდებლობა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს მრჩეველთა საბჭოში მშობელთა მონაწილეობის სავალდებულოობას, როდესაც მშობელი სკოლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეა.
[76] NATIONAL CRIME PREVENTION COUNCIL, (2009). SCHOOL SAFETY AND SECURITY TOOLKIT A Guide for Parents, Schools, and Communities, p. 5.
[77] National Association of School Psychologists. (2015). School violence prevention (Position Statement) pp. 2-3.

მოხდეს პერსონალური მონაცემების დაცვით, მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის.

სკოლაში არსებული უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასება მოითხოვს შემდეგი საკითხების გაანალიზებას:

→ სკოლის ზოგადი, მათ შორის ინფრასტრუქტურული უსაფრთხოების შეფასება. ამ მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შესაბამისი კითხვარი[78] (იხ. დანართი №2);

→ მოსწავლეთა მიერ ჩადენილი დარღვევების ოდენობისა და სახების განსაზღვრა. ამ მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ცხრილი (იხ. დანართი №3). ცხრილით გათვალისწინებული დარღვევების დიდი ნაწილის თაობაზე მონაცემები შესაძლოა, მოპოვებულ იქნეს მანდატურის/უფლებამოსილი პირის ყოველწლიური სტატისტიკური ინფორმაციიდან, ხოლო დარღვევების იმ ნაწილზე, რომელზეც არ არსებობს სტატისტიკა, მიზანშეწონილია, უახლოს მომავალში დაიწყოს მონაცემების აღრიცხვა;

→ სკოლის პერსონალის მიერ ჩადენილი დარღვევების ოდენობისა და სახეების განსაზღვრა. ამისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შესაბამისი ცხრილი (იხ. დანართი №4);

→ სკოლაში დაფიქსირებული დარღვევების შედეგად პოლიციის ინფორმირებულობის ხარისხსის შეფასება. ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ შესაბამისი ცხრილი (იხ. დანართი №5);

→ ძალადობის ყველაზე გავრცელებული სახის იდენტიფიცირება და ძალადობრივი ქმედების ჩამდენი პირისა და მსხვერპლის განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით. შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ შესაბამისი ცხრილით[79] (დანართი №6);

→ მოსწავლეთა გამოკითხვა, წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით. კითხვარით უნდა შეფასდეს მოსწავლეთა განწყობები სკოლაში უსაფრთხოებისა და დაცულობის თაობაზე. კითხვარი უნდა შედგეს სკოლის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. სახელმძღვანელოდ, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დანართ №10-ში[80] მითითებული კითხვარი, რომელშიც, საჭიროებისამებრ შეიძლება შეიცვალოს; დაემატოს ან მოაკლდეს კითხვები.

გარდა დანართების სახით წარმოდგენილი ინფორმაციისა, ძალადობრივი ფაქტებისა და მოსწავლეების ანტისოციალური ქცევის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი სტატისტიკური ინფორმაცია:[81]

→ ძალადობის გამო სკოლიდან გარიცხული მოსწავლეების რაოდენობა;

→ იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს სკოლაში არსებული

[78] National Crime Prevention Council, (2009) School security and safety toolkit: A guide for Parents, schools, and communities, pp. 37-41.

[79] საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი. (2008), ეროვნული კვლევა სკოლებში ძალადობის შესახებ, გვ. 12.

[80] იხ. National Crime Prevention Council, (2009) School security and safety toolkit: A guide for Parents, schools, and communities, pp. 31-32.

[81] World Health Organization, (2019). School-based violence prevention: a practical handbook, p. 17.

დამხმარე სერვისებით (ექთნის, ექიმის, სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის მომსახურება)

→ იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც განმეორებით ჩაიდინეს ძალადობა.[82]

4.3 ძალადობრივი და ანტისოციალური ქცევის მართვისა და პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტის სტრუქტურა

იმის გათვალისწინებით, რომ ძალადობრივი და ანტისოციალური ქცევის მართვისა და პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი უნდა პასუხობდეს კონკრეტული სკოლის თავისებურებებსა და საჭიროებებს, სხვადასხვა სკოლის პოლიტიკის დოკუმენტი შესაძლოა განსხვავებული იყოს, თუმცა, არსებობს ფუნდამენტური ელემენტები, რომელიც საერთო იქნება ძალადობის პრევენციის დოკუმენტებისთვის.

ძალადობრივი და ანტისოციალური ქცევის მართვისა და პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

1. სკოლის მოკლე აღწერა

ძალადობის პრევენციის დოკუმენტის თავფურცელზე (პირველ გვერდზე) მითითებული უნდა იყოს:

→ სკოლის დასახელება (ნომერი) და მისამართი;

→ სკოლის მოკლე აღწერა (სართულების რაოდენობა, საკლასო ოთახების რაოდენობა, მოსწავლეთა, მასწავლებელთა, სპეციალურ მასწავლებელთა, მანდატურთა, ფსიქოლოგთა და სოციალურ მუშაკთა რაოდენობა)

→ დოკუმენტის გავრცელების არეალი (ადრესატთა წრე და ტერიტორიული გავრცელების არეალი);

→ დოკუმენტის შექმნის თარიღი;

→ დოკუმენტის გადასინჯვის თარიღი.

2. პრეამბულა და მიზნები [83]

ძალადობის პრევენციის დოკუმენტის დასაწყისში გაცხადებული უნდა იყოს დოკუმენტის მიღების მიზეზები, სკოლის მიზნები და საქმიანობის ძირითადი პრინციპები.

პრეამბულა შეიძლება ჩამოყალიბებული იყოს შემდეგი სახით:
„(სკოლის ნომერი ან სახელწოდება) სკოლის საზოგადოება, ვაცნობიერებთ რა ძალადობრივი ფაქტებისა და ანტისოციალური ქცევის შეუთავსებლობას ჯანსაღ და უსაფრთხო სასწავლო გარემოსთან, პოზიტიური სწავლებისა და აღზრდის მნიშვნელობას, სკოლის პერსონალის როლს და ვალდებულებებს სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ვამტკიცებთ ძალადობრივი და ანტისოციალური ქცევის მართვისა და პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტს.“

---

[82] World Health Organization, (2019). School-based violence prevention: a practical handbook pp. 18-24.
[83] California Department of Education Safe Schools and Violence Prevention Center, (2002). Safe Schools: A Planning Guide for Action Workbook, pp. 4-5.

3. სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ქმედებების ჩამონათვალი

ძალადობის პრევენციის დოკუმენტში უნდა განისაზღვროს იმ **ქმედებათა და დარღვევათა ჩამონათვალი,** რომლებიც აკრძალულია სკოლის ტერიტორიაზე (სკოლის შენობა და შიდა ეზო). აგრეთვე განისაზღვროს კონკრეტული ქმედების შინაარსი, რათა მოსწავლეთათვის, მშობლებისთვისა და მასწავლებლებისთვის თვალსაჩინო იყოს სკოლაში აკრძალულ ქმედებათა შინაარსი. ამასთან, ამომწურავად მიეთითოს კონკრეტული დარღვევისთვის დაწესებული შესაბამისი სანქციის ფორმა და შინაარსი. დარღვევათა ნუსხა შესაძლოა გადმოტანილ იქნეს სკოლის შინაგანაწესიდან, თუმცა, ჩამონათვალში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ დარღვევებზე, რომლებიც წარმოადგენენ ძალადობრივ ან ანტისოციალურ ქმედებებს, ან სასკოლო უსაფრთხოებისთვის მეტად ყურადსაღებ დარღვევებს. შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ დანართ № 8-ში მითითებული ჩამონათვალით.

4. საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობის პრინციპები

ძალადობის პრევენციის დოკუმენტში უნდა განისაზღვროს საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი წესები:

→ განისაზღვროს საკოორდინაციო ჯგუფში შემავალ პირთა სასურველი რიცხოვნობა, ასევე, დაკონკრეტდეს ჯგუფში შემავალ სუბიექტთა სტატუსი და თითოეული რგოლის წარმომადგენელთა სასურველი რაოდენობა (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე, მანდატური/უფლებამოსილი პირი, დირექცია და ა.შ);

→ განისაზღვროს საკოორდინაციო ჯგუფის შეკრების სასურველი ინტენსივობა. (სასურველია, საბჭო იკრიბებოდეს რეგულარულად, თვეში ერთხელ);

→ გადანაწილდეს საკოორდინაციო ჯგუფში შემავალი პირების ფუნქციები და ვალდებულებები. (მაგალითად: შეირჩეს ერთი მშობელი, რომელსაც დაევალება საკოორდინაციო ჯგუფის არაწევრი მშობლების ინფორმირება განსახორციელებელი აქტივობების შესახებ; საბჭოს ერთ-ერთი წევრის ფუნქციად განისაზღვროს ადგილობრივი ბიზნესის და თემის/ქალაქის ორგანიზაციებთან კომუნიკაციის დამყარება; განისაზღვროს პირი, რომელიც განახორციელებს საკოორდინაციო ჯგუფის შეკრებასთან დაკავშირებული ფორმალური საკითხების დაგეგმვას (წევრებთან კომუნიკაცია, ხელსაყრელი დროის შერჩევა, დღის წესრიგის წარდგენა და ა.შ));

→ განისაზღვროს საკოორდინაციო ჯგუფში გადაწყვეტილებების მიღების პრინციპები. მაგალითად, ხმის მიცემის პროცედურა და წესი. აუცილებელია საბჭოს შეხვედრებზე მოსწავლეებისთვის განსახილველ თითოეულ საკითხზე თავიანთი შეხედულებების დაფიქსირების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.[84]

5. ანონიმური შეტყობინების მექანიზმის დანერგვა

სკოლაში განხორციელებული ძალადობის/ბულინგის ლატენტურობასა და მასზე

[84] The National Crime Prevention Council, (2009). SCHOOL SAFETY AND SECURITY TOOLKIT A Guide for Parents, Schools, and Communities, p. 6.

შესაბამისად რეაგირების შეუძლებლობას ხშირად ხელს უწყობს თვითმხილველი პირების შიში, რომ ძალადობის ფაქტის გახმაურების შემთხვევაში, მათაც საფრთხე დაემუქრებათ. სწორედ ამიტომ რეკომენდირებულია სკოლაში ანონიმური ყუთების განთავსება, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები საკუთარი ვინაობის მითითების გარეშე ისაუბრებენ სკოლაში არსებულ პრობლემებზე. აღნიშნული მექანიზმი ასევე მნიშვნელოვანი იქნება სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლებისთვის, ანონიმურობის დაცვით, კონკრეტული საკითხის გაჟღერებისთვის. ამასთან, ანონიმურობის უზრუნველსაყოფად, სკოლაში განთავსებული სამეთვალყურეო კამერები, არ უნდა იყოს გამოყენებული ანონიმური შეტყობინების ავტორთა იდენტიფიცირების მიზნებისთვის.[85]

სკოლის პოლიტიკის დოკუმენტში უნდა გაიწეროს:

→ ანონიმური ყუთების გახსნის სიხშირე (სასურველია, ყუთი გაიხსნას ყოველკვირეულად);
→ ყუთის გახსნასა და შეტყობინებათა განხილვაზე პასუხისმგებელი პირები.

უმჯობესია, რომ შესული შეტყობინებების განხილვა განხორციელდეს ისეთი კოლეგიური ორგანოს მიერ, როგორიც იქნება საკოორდინაციო ჯგუფი. სკოლა უფლებამოსილია, განსაზღვროს შეტყობინების სხვა, ალტერნატიული მექანიზმიც, მაგალითად, ანონიმური ელექტრონული შეტყობინების სისტემა და განსაზღვროს ელექტრონული გზით შესული წერილების გაცნობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა.

6. ძალადობის პრევენციის მიზნით განსახორციელებელი არაკურიკულარული ღონისძიებები

ვინაიდან ძალადობრივი ფაქტების პრევენციის საუკეთესო საშუალება ანტიძალადობრივი ცნობიერების ამაღლებაა, სკოლის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლეებისთვის, მათი მშობლებისა და სკოლის პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება პოზიტიური აღზრდის შესახებ, აგრეთვე განუმარტოს თითოეულ ჯგუფს თავიანთი უფლებები და ვალდებულებები.[86]

ძალადობის პრევენციის კუთხით სკოლის აღმზრდელობითი ფუნქცია შემდეგი ამოცანების განხორციელებას მოიცავს:

→ მრავალფეროვანი სასკოლო პროგრამის შემუშავება. დოკუმენტში უნდა მიეთითოს ამგვარი პროგრამების სავარაუდო ჩამონათვალი (კონკურსები, საინფორმაციო შეხვედრები, სტუმრის მოწვევა, მრგვალი მაგიდა, ასაკთან და ინტერესებთან შესაბამისი ინტელექტუალური ან სპორტული თამაშები და ა.შ).

→ მნიშვნელოვანია მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობა, განსაკუთრებით, ქიმიური და ქცევითი დამოკიდებულების პრევენცია.

→ მნიშვნელოვანია პედაგოგების გადამზადება ძალადობის ფორმების და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით;

[85] World Health Organization, (2019). School-based violence prevention: a practical handbook p. 21.
[86] UNESCO International Institute for Capacity-Building in Africa (2017) School safety manual: tools for teachers; p. 48.

დოკუმენტში შესაძლოა განისაზღვროს მასწავლებელთა გადამზადების ინტენსივობა, და ის კონკრეტული საკითხები, რომელშიც მასწავლებლები შესაძლებლობების ზრდას საჭიროებენ (მაგ: ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების ეტაპები, ბავშვთა უფლებები, პოზიტიური აღზრდის მეთოდები და ა.შ).[87]

→ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით დანერგილი პროგრამების ჩამონათვალი. როგორებიცაა, სასკოლო მედიაცია, აღდგენითი მართლმსაჯულება[88] და ა.შ.

7. ძალადობის ფაქტებსა და ანტისოციალურ ქცევაზე სკოლის პერსონალისა და თვითმხილველი პირების მიერ რეაგირების ზომების განსაზღვრა;

ძალადობის პრევენციის დოკუმენტით უნდა იყოს მოწესრიგებული ძალადობის ინციდენტის დაფიქსირების შემთხვევაში სკოლის პერსონალის თითოეული რგოლის (მასწავლებელი, დირექტორი, ფსიქოლოგი, მანდატური/უფლებამოსილი პირი) განსახორციელებელი ღონისძებების დეტალური ჩამონათვალი.

ძალადობის პრევენციის დოკუმენტში, გარდა ნორმატიული აქტით გაწერილი სამართლებრივი რეაგირების ზომებისა, აღწერილი უნდა იყოს სკოლის პერსონალის მსხვერპლთან და ძალადობის ინიციატორ მოსწავლესთან მუშაობის წესები. მაგალითის სახით იხილეთ მასწავლებლის მიერ განსახორციელებელი მოქმედებების ჩამონათვალი სკოლაში ფიზიკური/ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში.

[87] მაგალითისთვის იხილეთ: ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, (2016), დამხმარე სახელმძღვანელო ბავშვის უფლებათა კონვენციის სწავლებისთვის"; ბეკმენი. ე., ტრაფორდი, ბ., (2013), სკოლის დემოკრატიული მმართველობა: ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pMkfnb, წვდომის თარიღი: 25.08.2022.

[88] მაგალითისთვის იხილეთ: ერცენი, ი., ჯავახიშვილი, დ., ჯავახიშვილი, ლ. (2020) აღდგენითი მართლსაჯულების სახელმძღვანელო საუნივერსიტეტო და პროფესიული სწავლებისათვის. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3pKt7JZ, წვდომის თარიღი: 25.08.2022.

ფაქტი: ფიზიკური/ფსქიოლოგიური ძალადობა

სუბიექტი: მასწავლებელი

განსახორციელებელი მოქმედებების ჩამონათვალი:

1. მომხდარი ძალადობის/ბულინგის შემთხვევის განხილვა. (ინციდენტის განხილვის დროს გასათვალისწინებელი პრინციპების მითითებით:

    - მოსწავლის სურვილის შემთხვევაში ინციდენტის განხილვას უნდა დაესწროს დაზარალებულის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;
    - თავიდან უნდა იქნეს აცილებული დაზარალებულისთვის ინციდენტის განმეორებითი მოყოლის მოთხოვნის შემთხვევები;
    - ნებისმიერი პირისთვის (მათ შორის ფსიქოლოგი, სოც. მუშაკი) ინფორმაციის გადაცემისთვის უნდა არსებობდეს სუბიექტის თანხმობა).

2. მოსწავლესთან ერთად მისი უსაფრთხოების ინდივიდუალური გეგმის შედგენა;

3. დაზარალებულის სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით მისი ჩართვა მრავალფეროვან სასკოლო აქტივობებში (მაგ: პოსტერების მომზადება, პრეზენტაციები და სხვა);

4. ძალადობის შემდეგ მსხვერპლის ქცევაზე დაკვირვება;

5. მშობლებთან დაკავშირება და გატარებული ზომების შესახებ მათი ინფორმირება.

8. საგანმანათლებლო პროგრამა/კურიკულუმი

ძალადობის პრევენციის დოკუმენტით უნდა განისაზღვროს სკოლის მიერ განსახორციელებელი **საგანმანათლებლო** პროგრამების ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება ატარებდეს როგორც ზოგად-პრევენციულ (სკოლის მოსწავლეებში ანტიძალადობრივი ცნობიერების ჩამოყალიბება), ისე სპეციალურ-პრევენციულ (სკოლის წესების დამრღვევი მოსწავლის მიერ განმეორებითი დარღვევის თავიდან აცილება) ხასიათს[89]. გთავაზობთ ცხრილს, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის აღსაწერად.

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**მიზანი**	**პროგრამის მოკლე აღწერა**	**ასაკობრივი ჯგუფი, რომელზეც გათვლილია პროგრამა**	**უნარები, რომლის განვითარებასაც ხელს შეუწყობს პროგრამა**	**პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები**

[89] World Health Organization, (2019). School-based violence prevention: a practical handbook pp. 24-34.

9. სასკოლო უსაფრთხოების კუთხით არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის გზები

სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, იმ ბარიერის/ბარიერების განსაზღვრა, რამაც შეიძლება გაართულოს პრობლემების გადაჭრა, ბარიერების გადალახვის გზის დასახვა, შემდეგ კი დაგეგმვის ეტაპი, რომელიც აერთიანებს: განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალს, ვადის განსაზღვრასა და შედეგის შეფასებას. პროცესის გამარტივებისთვის, წარმოგიდგენთ ცხრილს (დანართი № 9),[90] რომელიც რეკომენდირებულია, თითოეულ პრობლემასთან მიმართებით შეივსოს, აგრეთვე მისი შევსების ნიმუშს კონკრეტული მაგალითის საფუძველზე.

პრობლემა	**ბარიერი პრობლემის გადაჭრისას**	**ბარიერის გადალახვის მეთოდი**	**განმახორციელე-ბელი სუბიექტები**	**ვადა**	**შედეგი**
ძალადობის მსხვერპლ და თვითმხილველ მოსწავლეებს აქვთ ძალადობის ფაქტის შესახებ საუბრის შიში.	თვითმხილველი მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში თავადაც გახდებიან ძალადობის მსხვერპლნი.	სკოლაში ანონიმური ყუთების განთავსება, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეები საკუთარი ვინაობის მითითების გარეშე ისაუბრებენ განხორციელებულ ძალადობრივ ფაქტებსა და სკოლაში არსებულ პრობლემებზე.	დირექციის დავალებით სკოლის ტექნიკური პერსონალი სკოლის დერეფანში დადგამს ანონიმური წერილების ყუთს, რომლის შემოწმებაც მოხდება ყოველი სასწავლო დღის ბოლოს.	3 თვე	გაიზრდება ძალადობრივი ფაქტების შეტყობინების მაჩვენებლები და შეცირდება ძალადობის ლატენტურობა.

იმის გათვალისწინებით, რომ ძალადობის პრევენციის დოკუმენტი სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის შემადგენელი ზოგადი სახელმძღვანელო დოკუმენტია, ასეთი კონკრეტული და დროში გაწერილი სტრატეგიები შეიძლება შემუშავდეს სკოლის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში, რომელიც ძალადობის პრევენციის დოკუმენტის საფუძველზე მომზადდება.

10. . შედეგების შეფასება, გამოვლენილი ტენდენციების მიხედვით უსაფრთხოების დოკუმენტის გადასინჯვა

უსაფრთხოების დოკუმენტში უნდა გაიწეროს პერსონალის ვალდებულება, მონიტორინგი განახორციელოს უსაფრთხოების წესების დაცვაზე, აგრეთვე საკოორდინაციო ჯგუფის მიერ უსაფრთხოების დოკუმენტის გადასინჯვის ვალდებულება (არაუგვიანეს 2 წელიწადში ერთხელ).[91] გარდა ამისა, მნიშვნელოვანია უსაფრთხოების პოლიტიკის განხილვის მიზნით, რეგულარული ღონისძიებების ჩატარებაც, სადაც მოხდება დაინტერესებული პირებისთვის მიღწეული შედეგებისა და სამომავლო გეგმების გაცნობა.

გარდა ჩამოთვლილი კრიტერიუმებისა, სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის

[90] NATIONAL CRIME PREVENTION COUNCIL. (2009), SCHOOL SAFETY AND SECURITY TOOLKIT A Guide for Parents, Schools and Communities, p. 17, p. 42.
[91] California Department of Education. Safe Schools and Violence Prevention Center, Office of the Attorney General. Crime and Violence Prevention Center (2002) Safe Schools: A Planning Guide for Action Workbook - p. 11.

დოკუმენტით შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს ანტიძალდობრივი ცნობიერების ამაღლებასა და სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

11. პრევენციის დოკუმენტის დანართები:

ძალადობის პრევენციის დოკუმენტს უნდა ახლდეს უსაფრთხოების საკითხებზე არსებული მდომარეობის შეფასებისა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირების დამხმარე კითხვარები ან/და ცხრილები დანართების სახით.

V. სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით

5.1. რას ნიშნავს სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით

სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით - ეს არის დოკუმენტი (სკოლის კოდექსი), რომელშიც მკაფიოდ არის ფორმულირებული სკოლის პოზიცია ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან მიმართებაში, განმარტებულია წესები, ძირითადი პრინციპები, რეგულაციები, პოლიტიკის რეალიზაციის საშუალებები.

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკა სკოლის უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის ნაწილია. ყოვლისმომცველი პოლიტიკის დოკუმენტი, მკაფიოდ გაწერილი წესებისა და რეგულაციების გარდა, უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო სტრატეგიას ამ სფეროში, ასევე, უნდა განსაზღვრავდეს ადრეულ ჩარევასთან, საკონსულტაციო/სამკურნალო მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებებში გადამისამართებასთან და დისციპლინურ ზომებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკის შექმნა სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისა და სკოლაში გრძელვადიანი, კომპლექსური პრევენციული ღონისძიებების გატარების საშუალებას იძლევა, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს უსაფრთხო და პროდუქტიული სასწავლო გარემოს შექმნას.

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკის სარგებელი. ამ პოლიტიკის მეშვეობით:

1. *სკოლა:*

→ ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ ზრუნავს მოსწავლეებისა და საზოგადოების კეთილდღეობაზე;

→ შეიმუშავებს და ახორციელებს ორგანიზებულ და თანამიმდევრულ მიდგომას ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვის დროს.

2. *მოსწავლეებმა:*

→ კარგად იციან სკოლის პოზიცია ნარკოტიკებთან დაკავშირებით;

→ გაფრთხილებულნი არიან მოსალოდნელი შედეგების შესახებ პოლიტიკით განსაზღვრული ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

3. *სკოლის ადმინისტრაციას და პერსონალს:*

→ გააჩნია დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მათ მოქმედებას ფსიქოაქტიურ ნივთიარებებთან დაკავშირებულ სიტუაციებში;

→ აღჭურვილია სათანადო ინსტრუმენტებით და გადაწყვეტილებების მიღების დროს ხელმძღვანელობს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ღირებულებებისა და ქცევის წესების წინასწარ ჩამოყალიბებული სისტემით.

4. *მშობლებმა:*

→ იციან სკოლის პოზიცია ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით;
→ ინფორმირებულნი არიან ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების შემთხვევაში სკოლის მიერ განხორციელებული საპასუხო ღონისძიებების შესახებ.

5. სკოლის გარემომცველი საზოგადოება:
→ ინფორმირებულია სკოლის პოლიტიკის შესახებ;
→ აცნობიერებს საკუთარ როლს ჯანსაღი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებაში.

5.2 პოლიტიკის დოკუმენტის ფორმატი

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით უნდა ასახავდეს კონკრეტული სკოლის თავისებურებებსა და საჭიროებებს და ცალკეული სკოლის პოლიტიკის დოკუმენტი განსხვავებული იქნება; თუმცა, პოლიტიკის ფუნდამენტური ელემენტები შეიძლება მსგავსი იყოს.

ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალი მიუთითებს იმაზე, თუ რა ნაწილებისგან უნდა შედგებოდეს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის დოკუმენტი და რატომ.

გარეკანი

გარეკანზე (პირველ გვერდზე) მითითებული უნდა იყოს სკოლის დასახელება, სკოლის მოკლე აღწერა, პოლიტიკის შექმნის თარიღი შემდგომი გადასინჯვის სავარაუდო თარიღის მითითებით.

რას ვგულისხმობთ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებში?

დოკუმენტში უნდა იყოს არასანქცირებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ჩამონათვალი. ჩვენ ვცხოვრობთ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელ საზოგადოებაში და ამაზე თვალს ვერ დავხუჭავთ. სკოლის პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს ნებისმიერ ფსიქოაქტიურ ნივთიერებაზე, ანუ ნივთიერებაზე, რომელსაც საკმარისი დოზით მიღების შემთხვევაში შეუძლია შეცვალოს ფსიქიკური და ფიზიოლოგიური პროცესები. ეს მოიცავს ლეგალურ ნივთიერებებს, როგორიცაა ალკოჰოლი ან თამბაქო, არალეგალურ ნარკოტიკებს (ანუ მათ, რომელთა წარმოება, გაყიდვა ან გამოყენება აკრძალულია ან შეზღუდულია ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო და ეროვნული კანონებითა და ხელშეკრულებებით), აქროლად ნივთიერებებს (ბენზინი, წებო, აეროზოლები და საყოფაცხოვრებო ქიმიის სხვა მსგავსი პროდუქტები), ურეცეპტოდ და რეცეპტით გაცემულ ფსიქოატროპულ მედიკამენტებს და ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს (ე.წ. „ბიონარკოტიკები“). ცხადად უნდა მივუთითოთ იმ ნივთიერებათა დიაპაზონი, რომლებზეც იქნება პოლიტიკა მიმართული.

პოლიტიკის შექმნის პროცესი

ეს ნაწილი მოიცავს საკონსულტაციო პროცესის მოკლე აღწერას და სახელდება პოლიტიკის შექმნაზე პასუხისმგებელი ჯგუფის წევრები. სკოლის პოლიტიკის შექმნის პროცესში ჩართული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების შემადგენელი ყველა რგოლის წარმომადგენელი.

სკოლის პოლიტიკის დანიშნულება

იწერება პოლიტიკის მიზნები და ამოცანები, ღირებულებები და ნორმები; პოლიტიკის მასშტაბი - დოკუმენტში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული სკოლის გეოგრაფიული საზღვრები და დროის მონაკვეთი - სად და რა დროს არის სკოლა პასუხისმგებელი (მხოლოდ სკოლის ფარგლებში, სკოლის გარეთ, გასვლითი ღონისძიებების დროს, მხოლოდ სასკოლო დროს და ა.შ.).

საგანმანათლებლო პროგრამა/კურიკულუმი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მოკლე აღწერა - რომელ ასაკობრივ ჯგუფზეა მიმართული, რა სახის ინფორმირებას და/ან უნარების განვითარებას ითვალისწინებს, როგორ განხორციელდება პროგრამა, რა რესურსებს მოითხოვს მისი განხორციელება და ა.შ.

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის კოორდინატორი

სკოლაში უნდა იყოს დასახელებული პირი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ სკოლის პოლიტიკის განხორციელებას. სასურველია, მითითებული იყოს მისი პოზიცია და არა კონკრეტული სახელი და გვარი და გაწერილი უნდა იყოს მისი მოვალეობები

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვაზე პასუხისმგებელი პირი

სკოლაში ასევე უნდა იყოს დასახელებული პირი, რომელიც პასუხისმგებელია ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვაზე.

სასურველია, ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის კოორდინატორი და ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვაზე პასუხისმგებელი პირი იყვნენ სკოლის უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფის წევრები, ასეთი ჯგუფის არსებობის შემთხვევაში (იხ. მე-4 თავი).

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული ინციდენტების მართვა

ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული ინციდენტების მართვის პროცედურები შეიძლება სკოლის პოლიტიკის დოკუმენტშივე იყოს გაწერილი, ან დაიწეროს ცალკე, როგორც პოლიტიკის დოკუმენტის დანართი. ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა რეაგირებდეს სკოლა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ინციდენტებზე, ერთი მხრივ, სკოლის პერსონალს იცავს სპონტანური, ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისა და ქმედებებისაგან, ხოლო მეორე მხრივ, ქცევის მკაფიო საზღვრებს ადგენს მოსწავლეებისთვის.

კონფიდენციალობის დაცვა

ვინაიდან სკოლის პერსონალი ვერ მისცემს მოსწავლეებს აბსოლუტური კონფიდენციალობის გარანტიებს, კონფიდენციალობის საზღვრები ძალიან ზუსტად უნდა განიმარტოს. პერსონალმაც და მოსწავლეებმაც უნდა იცოდნენ ეს საზღვრები და ჰქონდეთ ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომელთა დროსაც მათ მოუწევთ კონფიდენციალობის დარღვევა.

სხვა ორგანიზაციებთან/უწყებებთან თანამშრომლობა

სკოლა ადგილობრივი თემის ნაწილია და ბევრ ორგანიზაციასთან თუ უწყებასთან აქვს ფორმალური და არაფორმალური კავშირები. ეს კავშირები შეიძლება გამოყენებული იქნას სკოლის პოლიტიკის განხორციელების გასაუმჯობესებლად. მეორე მხრივ, სკოლას უნდა ჰქონდეს პროცედურები სკოლაში მომსმვლელებისთვის, სტუმრებისთვის. მაგ., სკოლის პერსონალმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ სტუმარი მარტო არ დარჩეს ბავშვებთან.

მშობლებთან ან ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან მუშაობა

პირველ რიგში, მოსწავლეთა მშობლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის არსებობის შესახებ. ამას გარდა, პოლიტიკის დოკუმენტში უნდა ჩაიწეროს, თუკი სკოლას აქვს მშობლებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამები ან თემზე ორიენტირებული პრევენციული პროგრამები ფსიქოაქტიურ ნითიერებებთან დაკავშირებით.

მონიტორინგი, შეფასება და გადასინჯვა

როგორც საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე სკოლის პოლიტიკა უნდა გადაიხედოს რეგულარულად, გარკვეული ინტერვალებით, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი შესაბამისი და აქტუალურია. რეკომენდებულია, რომ პოლიტიკის დოკუმენტის გადახედვა მოხდეს ყოველ 2-3 წელიწადში.

ინსტრუქცია ნახმარი ნემსების/შპრიცების შეგროვებისა და მათთან უსაფრთხო მოპყრობის და შესახებ

სკოლის ტერიტორიაზე ნახმარი ნემსის/შპრიცის ან სხვა დაბინძურებული ბასრი ან მჩხვლეტავი ინსტრუმენტის აღმოჩენის ალბათობა არსებობს. ამიტომ, სკოლას უნდა ჰქონდეს შემუშავებული პროცედურები ასეთი ტიპის შემთხვევებთან გასამკლავებლად და ეს პროცედურები გაწერილი უნდა იყოს სკოლის პოლიტიკის დოკუმენტში.

კავშირი სკოლის სხვა პოლიტიკასთან

სკოლაში არსებული ყველა პოლიტიკა უნდა ავსებდეს ერთმანეთს. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებულ პოლიტიკას შეიძლება ჰქონდეს გავლენა სხვა საკითხებთან დაკავშირებულ პოლიტიკაზე, როგორიცაა ქცევა და დისციპლინა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, უსაფრთხოება, მოსწავლეებისთვის მედიკამენტების მიცემა და ა.შ.

პოლიტიკის გავრცელება

სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის წარმომადგენლებმა უნდა იცოდნენ პოლიტიკის შესახებ. მშობლებს/მეურვეებს უნდა ჰქონდეთ წვდომა პოლიტიკაზე. მათ ასევე უნდა აცნობონ, პოლიტიკაც და საგანმანათლებლო პროგრამაც ექვემდებარება შემდგომ განხილვას და გადასინჯვას და ამ პროცესში შეიძლება ჩაერთონ.

პერსონალის ქცევა

დოკუმენტი, ასევე, უნდა მოიცავდეს რეგულაციებს სკოლის პერსონალის ქცევასთან დაკავშირებით ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან მიმართებით. შესაძლებელია, რომ სკოლამ დოკუმენტში ჩაწეროს ასევე, როგორ მოიქცევა თანამშრომლის მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმოხმარების შემთხვევაში.

დანართები

შესაძლოა, დოკუმენტს თან ახლდეს დანართები საკანონმდებლო ან მარეგულირებელი დოკუმენტების, პროგრამის/მასალების მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების, სასარგებლო კონტაქტების ან დამხმარე მასალების სახით.

VI. ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტის მართვა

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტი არის შემთხვევა, როდესაც ადგილი აქვს სკოლის ტერიტორიაზე არასანქცირებული ფსიქოაქტიური ნივთიერების შემოტანას ან მოხმარებას, ან არსებობს ინფორმაცია ასეთი ფაქტების შესახებ. ეს შეიძლება იყოს შემთხვევა, რომელიც საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას (მაგალითად, თუ მოსწავლე, სკოლის თანამშრომელი ან სტუმარი რაიმე ნივთიერების ზემოქმედების ქვეშაა ან არსებობს ვარაუდი, რომ აქვს რაიმე ნივთიერება) ან საჭიროებს დაზუსტებას და მონიტორინგს (მაგალითად, არსებობს ინფორმაცია, რომ მოსწავლე სკოლის გარეთ მოიხმარს ან ავრცელებს ნარკოტიკულ საშუალებას).

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ინციდენტებად შეიძლება ჩაითვალოს:

- → სკოლის ტერიტორიაზე არასანქცირებული ნივთიერებების მოხმარება
- → სკოლის ტერიტორიის გარეთ სასკოლო ღონისძიებაზე არასანქცირებული ნივთიერებების მოხმარება
- → ინდივიდის მიერ არასანქცირებული ნივთიერების მოხმარების აღიარება
- → ვარაუდი, რომ მოსწავლეს მიღებული აქვს ფსიქოაქტიური ნივთიერება
- → სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირის მიერ არასანქცირებული ნივთიერების ფლობა
- → სკოლის ტერიტორიაზე არასანქცირებული ნივთიერებების გავრცელება
- → სკოლის ტერიტორიის გარეთ სასკოლო ღონისძიებაზე არასანქცირებული ნივთიერებების გავრცელება
- → სკოლის ტერიტორიაზე ან შემოგარენში არასანქცირებული ნივთიერებების დამალვა/შენახვა
- → სკოლის ტერიტორიაზე არასანქცირებული ნივთიერების მოხმარების ატრიბუტების ქონა (მაგალითად, სანთებელა, ნემსი/შპრიცი, შესაყნოსი და მოსაწევი მილები)
- → სკოლის ტერიტორიაზე ფსიქოაქტიური ნივთიერების ან მისი მოხმარებისთვის საჭირო ატრიბუტების აღმოჩენა
- → ინფორმაცია მოსწავლეების მიერ არასანქცირებული ნივთიერების მოხმარების ან ფლობის შესახებ
- → არასანქცირებული ნივთიერებების მოხმარების წახალისება, მომხიბლავად წარმოჩენა

არასანქცირებული ნივთიერებები

არასანქცირებულ ნივთიერებებში იგულისხმება ფსიქოაქტიური ნივთიერებები, რომელთა მოხმარება, ფლობა, შენახვა, გაყიდვა არ არის ნებადართული კანონის, სკოლის ხელმძღვანელობის ან სასკოლო პოლიტიკის მიერ. ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნება როგორც კანონით აკრძალული, ასევე ლეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებები (თამბაქო, ალკოჰოლი, აქროლადი ნივთიერებები, ფსიქოტროპული მედიკამენტები). ინფორმაცია ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ იხილეთ დანართში 1.

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირების პრინციპები:

სკოლის უმთავრესი საზრუნავია მოსწავლეების კეთილდღეობა. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა უსაფრთხოება. პრიორიტეტი ენიჭება პიროვნების საჭიროებებს, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას.

- → ინციდენტში ჩართულ მოსწავლეს სკოლამ დროულად უნდა აღმოუჩინოს სათანადო დახმარება და მხარდაჭერა.

- → ინციდენტზე ეფექტური და სწრაფი რეაგირებისთვის სკოლას უნდა ჰქონდეს წინასწარ შემუშავებული მკაფიო პროცედურები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასა ან შენახვასთან დაკავშირებით.

- → არასანქცირებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირების ღონისძიებები არ უნდა უწყობდეს ხელს ნარკოტიკების მოხმარებაში შემჩნეული პირების მარგინალიზაციას და საზოგადოებისაგან გარიყვას;

- → ნეგატიური ქცევებზე რეაგირება სკოლამ უნდა გამოიყენოს, როგორც პოზიტიური ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა.

- → არალეგალური ნარკოტიკების შენახვასთან, გავრცელებასთან ან მოხმარებასთან დაკავშირებული ღონისძიებები უნდა ხორციელდებოდეს სამართლიანობის პრინციპების დაცვით.

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირების წესები

- → საპასუხო გადაწყვეტილების მიღებამდე ყველა სიტუაცია უნდა იყოს საგულდაგულოდ განხილული და შეფასებული
- → ყველა შემთხვევა უნდა ეცნობოს სკოლის დირექციას/უსაფრთხოების საბჭოს ან უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფს
- → ყველა შემთხვევა უნდა ეცნობოს მშობელს/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს
- → განხილულ უნდა იქნას სხვა სამსახურების ჩართვის საჭიროება
- → ყველა ინციდენტზე უნდა შედგეს ოქმი
- → ინციდენტში მონაწილე მოსწავლე უნდა გაიგზავნოს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში

არასანქცირებულ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ინციდენტზე რეაგირების ნაბიჯები

ზოგიერთი ფსიქოაქტიური ნივთიერების (ალკოჰოლი, ფსიქოტრიპული მედიკამენტები, ნარკოტიკული საშუალებები) ზემოქმედება მნიშვნელოვნად ცვლის ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობას და ქცევას. ეს ცვლილებებია:

- → არაადეკვატური, თავშეუკავებელი ქცევა
- → ეიფორია, ბევრი ლაპარაკი, დემონსტრატიულობა
- → ატაქსია (არაკოორდინირებული მოძრაობები, ბარბაცით სიარული)

→ არალოგიკური აზრები/მსჯელობა
→ მეხსიერების ჩავარდნები
→ ლუღლუღით საუბარი
→ აბნევა და დეზორიენტაცია
→ მოთენთილობა და ძილიანობა
→ ღებინება
→ უმიზეზო აგრესია.

თუ სკოლის პერსონალიდან ვინმეს აქვს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოსწავლე იმყოფება ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, მიჰყევით შემდეგ რეკომენდაციებს:

→ შეინარჩუნეთ სიმშვიდე, შეაფასეთ მოსწავლის მდგომარეობა.
→ გაიყვანეთ ცალკე, არ დატოვოთ უმეთვალყუროდ.
→ შეატყობინეთ მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს

თუ მოსწავლე უგონო მდგომარეობაშია, აქვს სუნთქვის გაძნელება, დეზორიენტირებულია, აბნეულია ან იცით, რომ მიიღო რომელიმე საშიში ტოქსიკური ნივთიერება:

→ გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება და შეატყობინეთ მშობელს/მეურვეს.
→ დააწვინეთ გვერდზე, შეუხსენით მჭიდრო ტანსაცმელი.
→ ეცადეთ დაადგინოთ, რა მიიღო მოსწავლემ და სავარაუდო ნივთიერებები გაატანეთ სასწრაფო დახმარების ბრიგადას.
→ ღებინების შემთხვევაში მოაგროვეთ და სასწრაფო დახმარების ბრიგადას გაატანეთ პირნაღები მასა ანალიზისთვის.
→ თუ მოსწავლე უკონტროლოდ იქცევა და ქმნის სკოლაში არეულობას ან ავლენს საფრთხის შემცველ ქცევას, საჭიროა პოლიციის გამოძახება.

თუ სკოლის პერსონალიდან ვინმეს აქვს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოსწავლე მოიხმარს ან მოსწავლე აღიარებს, რომ მოიხმარს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს:

→ გაესაუბრეთ მოსწავლეს;
→ შეატყობინეთ სკოლის ადმინისტრაციას, ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის კოორდინატორს და ინციდენტების მართვაზე პასუხისმგებელ პირს;
→ შეატყობინეთ მოსწავლის მშობლებს/მეურვეს;
→ საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლესა და მის მშობლებს შესთავაზეთ დახმარება, გაგზავნეთ მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში კონსულტაციის მისაღებად.

თუ არსებობს ინფორმაცია, რომ მოსწავლეს აქვს ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერება (ექიმის დანიშნულების გარეშე) ან ავრცელებს ამგვარ ნივთიერებებს სკოლის ტერიტორიაზე:

→ თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოსწავლეს აქვს არასანქცირებული ნივთიერება, მანდატურს/უფლებამოსილ პირს არ აქვს უფლება, გაჩხრიკოს მოსწავლე, მაგრამ უნდა განუმარტოს, რომ მოსწავლეს აქვს ნივთიერების ნებაყოფლობითი გადაცემის შესაძლებლობა და სთხოვოს, საკუთარი ნებით ამოაბრუნოს ჯიბეები და ჩანთა.

- → მოსწავლეს უნდა ჩამოერთვას ნივთიერება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წ. 29 იანვრის ბრძანების (ბრძანება N 06/ნ) შესაბამისად და წესების დაცვით და მოთავსდეს უსაფრთხო და დაცულ ადგილას, სანამ გადაეცემა პოლიციას;
- → თუ მოსწავლე უარს ამბობს ნივთიერების გადაცემაზე, სკოლა აფრთხილებს მოსალოდნელი პროცედურების შესახებ და ატყობინებს მანდატურის სამსახურს და ელოდება შემდგომ მითითებებს და იწყებს განცალკევების პროცედურას, ზემოთ აღნიშნული ბრძანების 32-ე მუხლის მიხედვით.
- → უარის შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი, რომ მოსწავლეს აქვს არალეგალური ნარკოტიკული ნივთიერება, სკოლა ვალდებულია, დაუკავშირდეს 112-ს, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, შესაბამის რესურს-ცენტრს.

თუ მოსწავლეს აღმოაჩნდა ალკოჰოლური სასმელი, თამბაქო ან მოსაწევი ატრიბუტები, საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაწარმი, ხდება მათი კონფისკაცია და გადაეცემა მშობელს/მეურვეს.

დათვალიერებისას, მანდატური/უფლებამოსილი პირი ვალდებულია:
ა) იმოქმედოს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და მოსწავლის ღირსების სრული დაცვით;

ბ) იყოს თავაზიანი, მომთმენი, იმოქმედოს მშვიდად და ისაუბროს მოსწავლისათვის გასაგებ ენაზე;

გ) მოსწავლეს არ შეუზღუდოს იმ ნივთებით სარგებლობა, რომლებიც არ აფერხებს დათვალიერების მიმდინარეობას, ასევე, არ ჩამოართვას ის ნივთები, რომლებიც არ წარმოადგენდა დათვალიერების განხორციელების მიზანს;

დ) დათვალიერება არ ჩაატაროს ჯგუფურად.

თუ არის საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ გარეშე პირი სკოლის ტერიტორიაზე ყიდის ნარკოტიკს:
- → შეატყობინეთ სკოლის ადმინისტრაციას, ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის კოორდინატორს და ინციდენტების მართვაზე პასუხისმგებელ პირს;
- → ეჭვის დადასტურების შემთხვევაში შეატყობინეთ მანდატურის სამსახურს და 112-ს

თუ სკოლის ტერიტორიაზე აღმოჩნდა საეჭვო ნივთიერება
- → შეძლებისდაგვარად შემოსაზღვრეთ ის ადგილი, სადაც ნაპოვნია ნივთიერება;
- → განარიდეთ მოსწავლეები და სხვა პირები ამ ადგილს;
- → შეატყობინეთ მანდატურის სამსახურს და 112-ს
- → ინციდენტთან დაკავშირებით უნდა შედგეს ოქმი.

თუ სკოლაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდა ნახმარი ნემსები/შპრიცები
- → სკოლამ უზრუნველყოს ყველა მოსწავლის ინფორმირება, რომ ნემსის/შპრიცის აღმოჩენის შემთხვევაში, არ შეეხოს მათ და სასწრაფოდ შეატყობინონ პირველივე შემხვედრ სკოლის თანამშრომელს.

→ აუცილებელია სკოლის ადმინისტრაციისა და ინციდენტების მართვაზე პასუხისმგებელი პირის ინფორმირება და ნემსის/შპრიცის პოვნის ადგილის იზოლირება;
→ იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ნახმარი შპრიცების არსებობა მოსწავლეებს საფრთხეს უქმნის, სასურველია, სკოლას ჰქონდეს სპეციალური უსაფრთხო ყუთები და სკოლის ადმინისტრაცია პერიოდულად ახდენდეს ამ ტერიტორიის დასუფთავებას.
→ ნახმარი ნემსები და შპრიცები უნდა აიღოს ინციდენტებზე პასუხისმგებელმა პირმა ფრთხილად, ხელთათმანებით, მოათავსოს მყარ თავდახურულ კონტეინერში (არ შეიძლება მათი პოლიეთილენის პარკში ჩაყრა) და ისე გადააგდეოს. დაუშვებელია გაუვნებელყოფის პროცესში სკოლის მოსწავლეების ჩართვა.

თუ სკოლის თანამშრომელი, სტუმარი ან მოსწავლის მშობელი სკოლის ტერიტორიაზე ჩართულია ნარკოტიკთან დაკავშირებულ ინციდენტში,

→ მასზე ვრცელდება სკოლის ნარკოპოლიტიკით განსაზღვრული პროცედურები. საფრთხის შემცველი ქცევის შემთხვევაში - პოლიციის გამოძახება.

თუ სკოლაში მივიდა მშობელი არაფხიზელ მდგომარეობაში,

→ სკოლის პერსონალმა უნდა უზრუნველყოს მშვიდ ატმოსფეროში მასთან ურთიერთობა;
→ თუ მშობელი მოსულია ბავშვის წასაყვანად, უნდა იზრუნოთ ალტერნატიულ გზებზე ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ნებისმიერი გადაწყვეტილების ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ბავშვის უსაფრთხოება.
→ ყველა ასეთი შემთხვევა უნდა იყოს აღრიცხული და თუ ხშირად მეორდება ან ბავშვი მშობლის მხრიდან განიცდის ძალადობას, სკოლამ უნდა შეატყობინოს შესაბამის სამსახურებს.

თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოსწავლე ჩართულია ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ინციდენტში სკოლის გარეთ, მაგრამ სასკოლო საათებში:

შეატყობინეთ ინციდენტების მართვაზე პასუხისმგებელ პირს, დამრიგებელს და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და მოსწავლეს შესთავაზეთ ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის სერვისები.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის პოლიტიკა ითვალისწინებს ინციდენტზე რეაგირების კონკრეტულ ზომებს, ყველა ინციდენტი განხილულ უნდა იქნას, როგორც ინდივიდუალური შემთხვევა სხვადასხვა გარემოების გათვალისწინებით. ეს გარემოებებია - რა ასაკისაა ინციდენტის მონაწილე, არის თუ არა ეს მისთვის პირველი შემთხვევა, ხომ არ იყო ზეწოლა ან იძულება სხვა მოსწავლეების მხრიდან, ინციდენტში მონაწილობდა მხოლოდ ერთი მოსწავლე თუ ჯგუფი. გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს მოსწავლეზე ზრუნვის პრინციპიდან გამომდინარე და მკაცრი სანქციები მიღებულ იქნას უკიდურეს შემთხვევებში.

კონფიდენციალობა

ინციდენტში მონაწილე პირებმა უნდა იცოდნენ, რომ სკოლის პოლიტიკის თანახმად, ინციდენტის შესახებ უნდა ეცნობოს დირექციას და მოსწავლის მშობელს/მეურვეს, ხოლო თუ ინციდენტი დაკავშირებულია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებთან, უნდა ეცნობოს პოლიციასაც. ამიტომ სკოლის თანამშრომელი, რომლისთვისაც ცნობილი გახდა ინციდენტის შესახებ, არ უნდა შეპირდეს მოსწავლეს სრულ კონფიდენციალობას და აუხსნას, რატომ არის მნიშვნელოვანი ინციდენტის გამხელა.

აუცილებელია, ინციდენტზე პასუხისმგებელმა პირებმა ყველა შემთხვევაში მოამზადონ წერილობითი ანგარიში ინციდენტის შესახებ, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ინციდენტის ხასიათი, მასში ჩართული პირები და განხორციელებული ღონისძიებები. ინციდენტის აღრიცხვის ფორმის ნიმუში იხილეთ დანართში 11.

ინციდენტის განხილვა

ნარკოტიკებთან დაკავშირებული სერიოზული ინციდენტის შემდეგ სკოლაში უნდა მოეწყოს მისი განხილვა. განხილვაში მონაწილეობენ ინციდენტის მართვაზე პასუხისმგებელი პირები, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფის წევრები. ინციდენტის დაწვრილებით ანალიზთან ერთად უნდა მოხდეს შეთანხმება ინციდენტის მონაწილე პირებისთვის სანქციების დაწესებაზე, შემდგომი ინციდენტების პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებებზე, სკოლის პოლიტიკაში ცვლილებების საჭიროებაზე.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან კონტაქტი

თუკი ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინციდენტი ცნობილი გახდება მედიისთვის, მოსწავლეების უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, ჟურნალისტებთან ურთიერთობისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- → უმჯობესია, სკოლის პერსონალიდან შეირჩეს ერთი ადამიანი, ვინც პასუხისმგებელი იქნება მედიის წარმომადგენლებთან ურთიერთობაზე და სკოლის ადმინისტრაციის სახელით მიაწვდის ჟურნალისტებს ინფორმაციას.

- → უმჯობესია, წინასწარ მომზადდეს მოკლე და მკაფიო წერილობითი შეტყობინება მედიისათვის; უნდა ვერიდოთ დამატებით კომენტარებს და სატელეფონო ინტერვიუს;

- → დაუშვებელია ინციდენტში მონაწილე პირების ვინაობის დასახელება და ინციდენტის კონკრეტული დეტალების გახმაურება;

სკოლებში ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების აღმოცენების ალბათობის შემცირებაზე მიმართული ღონისძიებები

1. გაავრცელეთ ინფორმაცია ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სასკოლო პოლიტიკის შესახებ

სასკოლო საზოგადოებას მიაწოდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიუღებელია სკოლის ტერიტორიაზე ფსიქოაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, ამ ნივთიერებების მოხმარება, შენახვა, გაყიდვა და ამ წესების დარღვევას სერიოზული შედეგები მოყვება

2. შეიმუშავეთ ინტერვენციული ღონისძიებების ფორმატი

მკაფიოდ განსაზღვრეთ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვის პროცედურები და თანამიმდევრულად და სამართლიანად განახორციელეთ ისინი

3. ხელი შეუწყვეთ უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას

შექმენით უსაფრთხო და მზრუნველი სასკოლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ფსიქაოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების გამოვლენას და კონფიდენციალობის დაცვას

4. შეძლებისდაგვარად, ხელი შეუწყვეთ რეინტეგრაციას

მაქსიმალურად ეცადეთ, ხელი შეუწყოთ პრობლემური მოსწავლეების რეინტეგრაციას, სთხოვეთ დახმარება თემის წარმომადგენლებსა და სპეციალისტებს

5. განახორციელეთ სასკოლო საზოგადოებისა და თემის ინფორმირება ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვის შესახებ

სასკოლო საზოგადოებას მიაწოდეთ ამომწურავი ინფორმაცია ინციდენტების მართვის პროცედურებისა და სტანდარტების შესახებ

6. არ შეასუსტოთ ძალისხმევა

უზრუნველყავით შესაბამისი პრობლემების გამოვლენისა და დაძლევის პროცესის მუდმივობა

7. პოლიტიკის შეფასება და გაუმჯობესება

რეგულარულად მოახდინეთ პოლიტიკისა და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვის პროცედურების გადახედვა და შეიტანეთ შესაბამისი ცვლილებები

VII. როგორ შევიმუშავოთ სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით - სახელმძღვანელო სკოლებისთვის

7.1 ფსიქოაქტიურ ნივთიერებებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შექმნის პროცესი

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკა ასახავს სასკოლო ეთოსის ღირებულებებათა სისტემას და აყალიბებს იმ პროცედურებსა და სტანდარტებს, რომლებიც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; მისი შექმნის პროცესი რამდენიმე ეტაპისაგან შედგება:

მოსამზადებელი ეტაპი

ნაბიჯი 1. - სასკოლო საზოგადოების შეხვედრის ორგანიზება

თუ სკოლის დირექცია დაინტერესებულია ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სასკოლო პოლიტიკის შექმნით, სასურველია, წინასწარ გაიაროს კონსულტაციები სპეციალისტებთან, რის შემდეგაც მან უნდა დაანახოს სასკოლო საზოგადოებას ამ პოლიტიკის შექმნის საჭიროება, უნდა აჩვენოს მათი მონაწილეობის დადებითი მხარეები.

შეხვედრას ორგანიზებას უკეთებს სკოლის დირექცია; სასურველია, ამ შეხვედრას ესწრებოდნენ სკოლის მანდატური/უფლებამოსილი პირი, სკოლის დირექციის, სამეურვეო საბჭოს, პედკოლექტივის, მშობელთა, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და დისციპლინური კომიტეტის, ასევე ადგილობრივი თემის წარმომადგენლები.

შეკრება შეიძლება წარმართოს სკოლის ხელმძღვანელობის წარმომადგენელმა ან ამ შეკრებისთვის სპეციალურად მოწვეულმა სტუმარმა.

სასკოლო საზოგადოების შეხვედრაზე განიხილავენ შემდეგ საკითხებს:

1. ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სასკოლო პოლიტიკის საჭიროება
2. უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა
3. სკოლის ხელმძღვანელობის როლის განსაზღვრა

1. ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სასკოლო პოლიტიკის საჭიროება

სასკოლო პოლიტიკის საჭიროების დასაბუთების დროს შეიძლება გამოყენებული იყოს შემდეგი არგუმენტები:

→ პოლიტიკა ხელს შეუწყობს სკოლაში ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნას სკოლის პერსონალისთვის, მოსწავლეებისთვის და სტუმრებისთვის.

→ სკოლაში ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო და დაცული გარემოს უზრუნველყოფა, გარდა ძალადობრივი და ანტისოციალური ქცევების შემცირებისა, ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროცესების პროდუქტიულობის გაზრდასაც.

→ სკოლა ორიენტირებული იქნება ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე

→ პოლიტიკა ხელს შეუწყობს პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის გულახდილობის და ნდობის ატმოსფეროს დამკვიდრებას, თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარებას

→ პოლიტიკა საშუალებას მოგვცემს, წინასწარ განვაზღვროთ, რა შედეგს გვინდა მივაღწიოთ, ნათლად ჩამოვაყალიბოთ სკოლის მომავალი მიზნები და შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

2. უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა

უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფი იღებს პასუხისმგებლობას ძალადობრივი და ანტისოციალური ქცევების, მათ შორის, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების აღკვეთა-პრევენციის ხელშეწყობაზე, ასევე, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაზე. სასურველია, ჯგუფი შედგებოდეს 7-9 ადამიანისაგან და, შეძლებისდაგვარად, ჯგუფის შემადგენლობაში ჩავრთოთ:

- → სკოლის მანდატური/უფლებამოსილი პირი
- → სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან მომუშავე პედაგოგები
- → სკოლის ადმინისტრაციის, სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის წარმომადგენლები
- → სკოლის ფსიქოლოგი/სამედიცინო პერსონალი
- → მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი და არაწევრი მოსწავლეები
- → მოწვეული სპეციალისტები/მშობლები
- → ადგილობრივი თემის/სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები
- → წარმატებული სკოლადამთავრებულები

საკოორდინაციო ჯგუფის *ამოცანებია:*

- → სკოლის საჭიროებების დადგენა და შეფასება
- → სასკოლო საზოგადოების ინფორმირება
- → თემის ინფორმირება და პროცესში ჩართვა
- → მოწვეული სპეციალისტების შერჩევა
- → მედიასთან ურთიერთობა
- → რესურსების შერჩევა და შეფასება
- → სკოლის პოლიტიკის დებულების შემუშავება და განხორციელების უზრუნველყოფა
- → პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება
- → მუშაობის მონიტორინგი

3. როგორ შევქმნათ უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფი? (ჯგუფის შექმნის პროცედურა)

ჯგუფი უნდა იყოს შექმნილი პარიტეტულ საწყისებზე - საკოორდინაციო ჯგუფში უნდა შედიოდეს სასკოლო საზოგადოების შემადგენელი ყველა რგოლის წარმომადგენელი. ჯგუფის წევრობის კანდიდატების შერჩევის წესს განსაზღვრავს სკოლის ხელმძღვანელობა (მაგ.: ხდება სასკოლო საზოგადოების წინასწარი ინფორმირება ასეთი ჯგუფის შექმნის შესახებ და სთხოვენ, ყუთში ჩაყარონ ბარათები სავარაუდო კანდიდატურების მითითებით). დასახელებული კანდიდატებიდან საკოორდინაციო ჯგუფის არჩევა ხდება სასკოლო საზოგადოების შეკრებაზე ფარული კენჭისყრით.

სასურველია, ჯგუფის ყოველი წევრი აკმაყოფილებდეს შემდეგ *მოთხოვნებს:*

- → სურვილი აქვს და შესწევს უნარი, აიღოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა
- → დაინტერესებულია ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებით
- → სარგებლობს ნდობითა და პატივისცემით როგორც უფროსებში, ასევე მოსწავლეებში
- → წარმოადგენს დადებით როლურ მოდელს – მისდევს ცხოვრების ჯანსაღ წესს

უნდა შემუშავდეს საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობის ფორმატი (დებულება), რომელშიც გათვალისწინებული იქნება შემდეგი საკითხები:

1. რა სიხშირით უნდა მოიწვიონ შეხვედრები (სკოლის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნამდე და პოლიტიკის განხორციელების პროცესში), სად, როდის (იქნება თუ არა ფიქსირებული დრო)
2. არის თუ არა დამოუკიდებელი კონსულტანტის ან ექსპერტის მოწვევის საჭიროება
3. როგორ იღებენ გადაწყვეტილებებს (კონსენსუსით, კონსენსუსს მინუს ერთი, ხმათა უბრალო უმრავლესობით, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით)
4. ჯგუფის ურთიერთობა სკოლის ხელმძღვანელობასთან, სასკოლო საზოგადოებასთან
5. ანგარიშგება (როდის, ვისთან, რა ფორმით)
6. კონფიდენციალობის საზღვრები
7. თითოეული წევრის პასუხისმგებლობა და ფუნქციები
8. ჯგუფის ფუნქციონირების ვადები, წევრების შეცვლის პროცედურა

4. სკოლის ხელმძღვანელობის როლის განსაზღვრა

ნაბიჯი 2. - ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის კოორდინატორისა და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვაზე პასუხისმგებელი პირის არჩევა

სკოლაში უნდა იყოს დასახელებული პირი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ სკოლის პოლიტიკის განხორციელებას. ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის კოორდინატორის მოვალეობებია:

→ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის პროცესის კოორდინირება;
→ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სასკოლო პოლიტიკის განხორციელების მეთვალყურეობა და შეფასება;
→ საგანმანათლებლო პროგრამის/კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგი;
→ სკოლის პოლიტკის დოკუმენტის პერიოდული გადახედვის კოორიდინირება

სკოლაში ასევე უნდა იყოს დასახელებული პირი, რომელიც პასუხისმგებელია ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვაზე. ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობებია:

→ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირების პროცედურების გაცნობა სკოლის პერსონალისთვის;
→ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვა;
→ ინციდენტის სრულ ამოწურვამდე პროცესის წარმართვის უზრუნველყოფა;
→ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის კოორდინატორთან ერთად ინტერვენციული პროცედურების ჩატარება (კონსულტირება, გადამისამართება)

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის კოორდინატორისა და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვაზე პასუხისმგებელი პირი უნდა იყვნენ უსაფრთხოების

საკოორდინაციო ჯგუფის წევრები. ასევე, სასურველია, რომ რომელიმე მათგანი მაინც იყოს უსაფრთხოების მრჩველთა საბჭოს წევრი.

ნაბიჯი 3. – სკოლის პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა

უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფი, ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის კოორდინატორისა და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად, ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

1. უსაფრთხოებასთან და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით სკოლის გამოცდილების და წინაპირობის შეფასება

ჯგუფმა უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები:

→ აქვს თუ არა სკოლას რაიმე გამოცდილება ამ მიმართულებით მუშაობაში (ჩატარებული კვლევები, ღონისძიებები და სხვ.). ჩატარებული სამუშაოს პლუსები და მინუსები

→ რისი გაკეთება უნდოდათ ამ მიმართულებით და ვერ განხორციელდა (რატომ?)

→ რა ცოდნა/კომპეტენცია არსებობს სკოლაში ამ საკითხებზე

→ ადრე მიუმართავთ თუ არა სპეციალისტებისთვის დახმარებისათვის

→ ჰქონიათ თუ არა ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები, როგორ რეაგირებდნენ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ ინციდენტებზე; რა შედეგები მოიტანა (პლუსები და მინუსები)

2. სიტუაციის ანალიზი და სკოლის საჭიროებების შეფასება

სიტუაციის ანალიზისათვის საჭიროა:

1. სკოლის გარემოცვის აღწერა: სკოლის ტერიტორია (შემოღობილია თუ არა, რამდენად დაცულია), რამდენად უსაფრთხოა სკოლასთან მისასვლელი გზები; სკოლის მიმდებარე სივრცე (ჯიხურები, სადაც იყიდება სიგარეტი და სასმელი; რამდენად დაცულია სახლების სადარბაზოები და სარდაფები; არის თუ არა კლუბები, დისკოთეკები, სპორტული ნაგებობები, ტოტალიზატორი/კაზინო და სხვა გასართობი დაწესებულებები, არის თუ არა უბანში მიტოვებული შენობები), არის თუ არა ახალგაზრდებისათვის თავისუფალი დროის სოციალურად მისაღები ფორმით გატარების საშუალებები; სად იკრიბებიან მოსწავლეები შესვენებებზე.

2. სკოლის აღწერა: მოსწავლეების, პედაგოგების, მშობლების, არასრული ოჯახების რაოდენობა; არის თუ არა სკოლაში სპორტული დარბაზი, კლუბები, საბჭოები, წრეები; როგორია მშობლების აქტივობა/ჩართულობა სასკოლო საქმიანობაში; არიან თუ არა მოსწავლეები, რომლებიც შემჩნეული არიან თამბაქოს, ალკოჰოლის, ნარკოტიკების მოხმარებაში; ძალადობასა და სხვა ანტისოციალურ ქცევებში (ბულინგი/კიბერბულინგი, ქურდობა, დაშინება, აზარტული თამაშები, დანის ან სხვა ცივი იარაღის ტარება და სხვ.) ტარდება თუ არა სკოლაში კონკურსები, დისკუსიები, კონფერენციები და რამდენად არიან ჩართული მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები. აქვთ თუ არა სკოლის პედაგოგებს სპეციალური მომზადება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების პროფილაქტიკური

ღონისძიებების ჩასატარებლად; არის თუ არა სკოლაში ფსიქოაქტიურ ნივთიერებების მოსმარებასა და ანტისოციალურ ქცევებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო ან სხვა სახის პრევენციული პროგრამები?

3. ადგილობრივ თემში/უბანში არსებული ორგანიზაციები: ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პროფილაქტიკის სპეციალიზებული სამსახური; ნარკოლოგიური სამსახური; უბნის ინსპექტორი; პედიატრი და მოზარდთა ექიმი; საზოგადოებრივი ორგანიზაციები; ეკლესია; მოსწავლეთა მშობლებს ან სკოლადამთავრებულებს შორის არიან თუ არა ცნობილი გავლენიანი პოლიტიკური ან საზოგადოებრივი მოღვაწეები, ახალგაზრდული ლიდერები და ა.შ.

4. თემში/უბანში ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და დანაშაულთან დაკავშირებული სიტუაციის აღწერა: ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა; ადგილები, სადაც მოიხმარენ ნარკოტიკებს; ადგილები, სადაც იკრიბებიან ნარკოტიკების მომხმარებლები ან კრიმინალისკენ მიდრეკილი პირები; ადგილები, სადაც ყრია შპრიცები; არიან თუ არა ნარკოტიკების გამსაღებლები; როგორია კრიმინოგენული ვითარება.

5. სკოლასა და თემში არსებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების რისკ- და დამცავი ფაქტორების შეფასება – ხდება სკოლის აღწერის საფუძველზე. რისკისა და დამცავი ფაქტორების აღწერა იხილეთ ამ გზამკვლევის მე-2 თავში.

სკოლის ზოგადი უსაფრთხოება შეგიძლიათ, შეაფასოთ დანართ 2-ში წარმოდგენილი კითხვარის მეშვეობით. სიტუაციის ანალიზისა და სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვის საფუძველზე (რომელიც ხორციელდება სხვადასხვა მეთოდიკით - სპეციალური კითხვარებით, ინტერვიუს მეთოდით, ფოკუს-ჯგუფის მეთოდით) ხდება სკოლის საჭიროებების შეფასება, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა ის მყარი ორიენტირები, რომელსაც დაეყრდნობა სკოლის პოლიტიკა.

ანალიზისა და შეფასების საფუძველზე შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები და მოხდება

3. სკოლის პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა

ნაბიჯი 4. - სკოლის პოლიტიკის დოკუმენტის ფორმატის შემუშავება

დოკუმენტის ფორმატის შექმნაში ჯგუფს დაეხმარება პასუხების გაცემა ქვემოთ მოცემულ კითხვებზე:

1. რატომ უნდა ჰქონდეს ყველა სკოლას საკუთარი პოლიტიკა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით?

2. ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სასკოლო პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი შეიქმნება, თუ ცალ-ცალკე შემუშავდება სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკისა და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტები?

3. როგორ იქნება ჩართული პოლიტიკის შექმნის პროცესში სკოლის პერსონალი, მშობლები და მოსწავლეები (ვაწყობთ კონსულტაციებს, მრგვალ მაგიდებს, შეხვედრებს, გამოკითხვებს და ა.შ.)?

4. ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სასკოლო პოლიტიკა თანაბრად შეეხება თუ არა სკოლის პერსონალს და მოსწავლეებს? სტუმრებს?

5. სასკოლო პოლიტიკით და ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ნორმები მხოლოდ სკოლის ტერიტორიაზე იმოქმედებს, თუ მიმდებარე ტერიტორიაზეც?

6. სასკოლო პოლიტიკით და ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ნორმები ძალაშია თუ არა სკოლის მიერ ორგანიზებული სკოლის ტერიტორიის გარეთ ჩატარებული ღონისძიებების ჩატარების დროს?

7. რა ნორმატიული და კონცეფციური დოკუმენტები გვჭირდება პოლიტიკის დოკუმენტის შესაქმნელად?

8. ვაპირებთ თუ არა ძალადობის პრევენციის მიზნით განსახორციელებელი არაკურიკულარული ღონისძიებების განხორციელებას?გვექნება თუ არა ძალადობის პრევენციის საგანმანათლებლო პროგრამა/კურიკულუმი?

9. მოიცავს თუ არა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული პოლიტიკა ლეგალურ და არალეგალურ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს? ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს? მედიკამენტებს?

10. გვექნება თუ არა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინფორმირებისა და უნარ-ჩვევების სწავლების პროგრამა? სკოლის პოლიტიკა ორივეს მოიცავს? (მაგ.: სასკოლო პრევენციულ პროგრამებსაც განვახორციელებთ და ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვასაც?)

11. გვჭირდება თუ არა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის კოორდინატორი? ვინ იქნება პასუხისმგებელი ინციდენტების მართვაზე?

12. გვჭირდება თუ არა კონსულტაციები სხვადასხვა ინსტიტუციების წარმომადგენლებთან (განათლების, ჯანდაცვის სამინისტროები, საპატრიარქო, მუნიციპალიტეტი და სხვა)?

13. გვჭირდება თუ არა პოლიტიკის შექმნის პროცესში სპეციალისტების ჩართვა?

14. სასკოლო საზოგადოებას ექნება თუ არა საშუალება, გაეცნოს დოკუმენტის პილოტურ ვარიანტს? რა ფორმით მოხდება ეს?

15. კიდევ ვის შეიძლება გავაცნოთ დოკუმენტის პილოტური ვარიანტი განსახილველად (მაგ.: ექსპერტები, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, დაინტერესებული პირები)?

16. როგორ მოხდება სასკოლო საზოგადოების ახალი წევრების ინფორმირება და ჩართვა?

17. როდის და როგორ მოხდება ნარკოტიკებთან დაკავშირებული სასკოლო პოლიტიკის გადასინჯვა? ვის მიერ?

18. სკოლის ბიუჯეტის დაგეგმვისას უნდა იყოს თუ არა გათვალისწინებული თანხები პოლიტიკის განხორციელების ფინანსური მხარდაჭერისათვის?

ნაბიჯი 5. – რესურსების მოძიება

1. სკოლაში და სკოლის გარეთ არსებული რესურსების შეფასება (იგულისხმება ინტელექტუალური, ტექნიკური, მატერიალური რესურსები)

→ სასკოლო საზოგადოებაში და თემში იმ პირების მოძიება, ვინც შეიძლება დაგვეხმაროს
→ ამ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება (სხვა ქვეყნების გამოცდილება, ანალოგიური პროგრამების გაცნობა, საინფორმაციო ბანკის შექმნა)
→ მატერიალური რესურსების, ფონდების მოძიება
→ პოპულარული/"რეიტინგული" ადამიანების (მათ შორის, მასწავლებლების და მოსწავლეების) ჩართვა
→ მუნიციპალიტეტის, სამინისტროების (განათლების, ჯანდაცვის და სხვ), ბიზნესწრეების წარმომადგენელთა დაინტერესება და ჩართვა

2. კონსულტანტების შერჩევა და მოწვევა (მაგ.: ნარკოლოგი, პრევენტოლოგი, ფსიქოლოგი, იურისტი და ა.შ.)

3. სკოლის პოლიტიკის დიკუმენტის შესაქმნელად საჭირო მასალების შეგროვება
უნდა გადაიხედოს შემდეგი მასალა:
→ სახელმწიფო დოკუმენტები
→ სხვა სკოლების პოლიტიკის დოკუმენტები
→ პოლიტიკის შექმნის სახელმძღვანელო და მასალები
→ კანონმდებლობა

ნაბიჯი 6. პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიის განსაზღვრა

1. მონიტორინგის პროცედურის შემუშავება
საკოორდინაციო ჯგუფი თანხმდება შემდეგ სკითხებზე: ვინ იქნება მონიტორინგის განმახორციელებელი (მაგ.: სამეურვეო საბჭო თავის თავზე იღებს მონიტორინგის განხორციელების ფუნქციას ან ქმნის მონიტორინგის ჯგუფს, რომელიც სასკოლო საზოგადოებას წარუდგენს მონიტორინგის შედეგებს); რა ფორმით და სიხშირით ხორციელდება მონიტორინგი; რა ფასდება მონიტორინგის დროს

2. წარმატების ინდიკატორების განსაზღვრა

3. ინდიკატორების შეფასების ინსტრუმენტების მოძიება

პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის ეტაპი

ნაბიჯი 7. - დოკუმენტის პილოტური (სასინჯი) ვარიანტის შემუშავება
შესრულებული სამუშაოს საფუძველზე ჯგუფი ქმნის დოკუმენტის პილოტურ ვარიანტს.

ნაბიჯი 8. - პილოტური ვარიანტის გავრცელება სასკოლო საზოგადოებაში და უკუკავშირის მიღება
პილოტური ვარიანტის გავრცელება მოხდება ნაბიჯი 4–ის N 17 და 18 პუნქტებით მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

ნაბიჯი 9. - სკოლის პოლიტიკის დებულების საბოლოო ვერსიის შექმნა

პოლიტიკის განხორციელების ეტაპი

ნაბიჯი 10. - სასკოლო და სკოლის გარეშე საზოგადოების ინფორმირება პოლიტიკის ამოქმედების შესახებ (ამოქმედების ზუსტი თარიღის მითითებით)

ნაბიჯი 11. - სასკოლო საზოგადოებისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება პოლიტიკის პროცედურებისა და სტანდარტების შესახებ

ნაბიჯი 12. - სკოლის პერსონალის უზრუნველყოფა შესაბამისი მასალებით და ტრენინგებით

პოლიტიკის შეფასება

ნაბიჯი 13. - პოლიტიკის რეგულარული გადახედვა და შეფასება

ნაბიჯი 14. - მონიტორინგის სისტემის ამოქმედება

ნაბიჯი 15. - შეფასების შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება

ნაბიჯი 16. - პრევენციული პროგრამის ეფექტურობის შეფასება კვლევების საფუძველზე

ნაბიჯი 17. - შეფასების შედეგების გავრცელება

VIII. გამოყენებული ლიტერატურა

სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა

1. გაეროს 1989 წლის ბავშვის უფლებათა კონვენცია.

2. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“.

3. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №141/ნ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

4. მანდატურის სამსახურის 21/07/2022 წლის ნრ. MES 6 22 0000828469 წერილი.

5. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №06/ნ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №57/ნ „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, 2019-2020 წლებში მიღწეული პროგრესი და 2021 წლის განვითარების გეგმა.

7. მანდატურის სამსახურის 21/07/2022 წლის ნრ. MES 6 22 0000828469 წერილი.

8. ბრძანება №40/ნ / №18 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცების შესახებ.“

9. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი. (2008), ეროვნული კვლევა სკოლებში ძალადობის შესახებ, გვ. 12.

10. სოფიო გორგოძე კრებულში უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაწილეობის გარეშე (2011).

11. Office of the Special Representative of the Secretary-General on Violence Against Children, (2016), Tackling violence in Schools: A global perspective Bridging the gap between standards and practice, foreword.

12. UNICEF (2018), An everyday lesson: End Violence in schools.

13. A global initiative working to end all forms of violence against children in and through school.

14. World Vision, (2020), “OUR research, OUR rights: Ending violence against children through the lens of child researchers from Bosnia and Herzegovina, Brazil, Indonesia, Nicaragua, Romania and Sierra Leone. Pinheiro, Paulo Sérgio, (2006) UN World Report on Violence Against Children.

15. Office of the Special Representative of the Secretary-General on Violence Against Children, (2016).

16. Ending the Torment: Tackling bullying from the schoolyard to cyberspace, p. 101.

17. UNICEF (2018), An everyday lesson, End Violence in schools, p. 3.

18. UNESCO International Institute for Capacity-Building in Africa, (2017). School Safety Manual – Tools for teachers.

19. Thapa, A., Cohen, J., Guffey, S., & Higgins-D’Alessandro, A. (2013). A review of school climate research. Review of educational research, 83(3), 357-385.

20. Frumkin, H., Geller, R. J., Rubin, I. L., & Nodvin, J. (Eds.). (2006). *Safe and healthy school environments*. Oxford University Press, 251-269.

21. Unicef, (2009), Child-friendly schools’ manual, Chapter 3.

22. World Health Organization (2019), School-based violence prevention, a practical handbook, p. 3; ასევე იხილეთ.: Office of the Special Representative of the Secretary-General on Violence Against Children, (2016), Tackling violence in Schools: A global perspective Bridging the gap between standards and practice.

23. Office of the Special Representative of the Secretary-General on Violence Against Children, (2016), Tackling violence in Schools: A global perspective Bridging the gap between standards and practice .

24. UNESCO International Institute for Capacity-Building in Africa, (2017), School Safety Manual – Tools for teachers.

25. Thapa, A., Cohen, J., Guffey, S., & Higgins-D’Alessandro, A. (2013). A review of school climate research. Review of educational research, 83(3), 357-385.

26. World Health Organization (2019), School-based violence prevention: a practical handbook.

27. Pinheiro, Paulo Sérgio, (2006), UN World Report on Violence Against Children .

28. UNISDR. (2017),Comprehensive school safety, p. 10.
29. NATIONAL CRIME PREVENTION COUNCIL, (2009). SCHOOL SAFETY AND SECURITY TOOLKIT A Guide for Parents, Schools, and Communities.

30. National Association of School Psychologists. (2015). School violence prevention (Position Statement).

31. World Health Organization, (2019). School-based violence prevention: a practical handbook.

32. California Department of Education Safe Schools and Violence Prevention Center, (2002). Safe Schools: A Planning Guide for Action Workbook.

33. The National Crime Prevention Council, (2009). SCHOOL SAFETY AND SECURITY TOOLKIT A Guide for Parents, Schools, and Communities.

34. UNESCO International Institute for Capacity-Building in Africa (2017) School safety manual: tools for teachers.

სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით

1. ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის პროექტი. (2019). ESPAD საქართველო.

2. სირბილაძე თ., ჯავახიშვილი მ., კობაიძე მ., ჭიჭინაძე თ., ბენაშვილი მ. (2019). ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების კვლევა საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში. თბილისი, საზოგადოებრივი გაერთიანება ბემონი.

3. აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით მოზარდების ცოდნის, შეხედულებებისა და პრაქტიკის კვლევა. (2022). გაეროს ბავშვთა ფონდი, კვლევითი კომპანია ანოვა, აზარტული თამაშების კვლევის და ლუდომანიის პრევენციის ცენტრი.

4. ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენციის ეროვნული სტრატეგია 2021-2026

5. International standards on Drug Use Prevention – Second updated version. (2019). UNODC, WHO.

6. European prevention curriculum. (2019). EMCDDA.

7. European drug prevention quality standards (2011). EMCDDA.

8. Education sector responses to the use of alcohol, tobacco and drugs. (2017). UNESCO

9. Canadian Standards for Youth Substance Abuse Prevention. (2010). Canadian Centre on Substance Abuse (CCSA).

10. CICAD Hemispheric Guidelines on School-Based Prevention. (2005). Inter-American Drug Abuse Control Commission – CICAD.

11. Hawkins, J. D., Catalano, R. F., et al. (2015). Unleashing the Power of Prevention. National Academy of Sciences.

12. Jai K. Das, M.D., etal., (2016). Interventions for Adolescent Substance Abuse: An Overview of Systematic Reviews

13. Montana Prevention Needs Assessment Survey. (2016). Montana Department of Public Health and Human Services.

14. Drugs in focus. Drug prevention in EU schools. (2002) EMCDDA

15. Kipke M, ed. (1999). Risks and Opportunities: Synthesis of Studies on Adolescence. Washington, DC: National Academies Press.

16. B. K. Elizabeth Kim, Sabrina Oesterle, Richard F. Catalano, and J. David Hawkins. (2015). Change in Protective Factors Across Adolescent Development. J Appl Dev Psychol.

17. Risk and Protective Factors for Adolescent Substance Use (and other Problem Behavior). (2011). Alaska Division of Behavioral Health.

18. Golden SD, Earp JA. Social ecological approaches to individuals and their contexts: twenty years of health education & behavior health promotion interventions. (2012). Health Educ.

19. Building on Strengths: Main Findings on Protective Factors and Programs. (2016). SAMHSA's Center for the Application of Prevention Technologies.

20. Spoth, R. L., Clair, S., Shin, C., & Redmond, C. (2006). Long-term effects of universal preventive interventions on methamphetamine use among adolescents. Archives of pediatrics & adolescent medicine, 160(9), 876.

21. School-based Education for Drug Abuse Prevention. (2002). UNODC.

22. Preventing Drug Use among Children and Adolescents. (2002). NIDA.

23. Emily A. Hennessy and Emily E. Tanner-Smith. (2015). Effectiveness of brief school-based interventions for adolescents: A meta-analysis of alcohol use prevention programs. Prev Sci. 16(3): 463–474.

24. Guidelines for Developing a School Substance Use Policy. (2005). US Department of Education and Science.

25. Tracy Evans-Whipp et al., (2004). A review of school drug policies and their impact on youth substance use. HEALTH PROMOTION INTERNATIONAL Vol. 19. No. 2.

26. School drug education guidelines. (2010). Government of Western Australia, School Drug Education and Road Aware.

27. DfE and ACPO drug advice for schools. Advice for local authorities, headteachers, school staff and governing bodies. (2012). Department for Education and the Association of Chief Police Officers.

28. Drug Education and Responding to Drug and Alcohol Related Incidents. (2020). Derbyshire Drug and Alcohol Action Team.

29. Your substance abuse policy. A Comprehensive Guide for Schools. (2010). Office of Substance Abuse. Department of Health and Human Services.

30. School Substance Use Policy Development Guide. Department of Health and Human Services.

31. Rodney Skager. (2013) A Reality-Based Approach to Drug Education and School Discipline. Frug Policy Alliance.

32. Guidelines for the management of incidents of drug misuse in schools. (2003). Highland Council Education, Culture and Sport Service.

33. Drugs in Schools: Procedures for managing drug related incidents. (2012). NSW Department of Education. Learning Improvement Directorate.

34. Sandy Garrett. Safe Schools Guide. (2005). Oklahoma State Department of Education.

35. Creating Safe and Drug-Free Schools. An Action Guide. (2002). U.S. Department of Education.

36. By Jeffrey Sprague, Ph.D., and Hill Walker, Ph.D. (2005). Creating Schoolwide Prevention and Intervention Strategies. SAFE AND DRUG-FREE SCHOOLS PROGRAM U.S. DEPARTMENT OF EDUCATION.

37. School Policies and Legal Issues Supporting Safe Schools. (2005). SAFE AND DRUG-FREE SCHOOLS PROGRAM U.S. DEPARTMENT OF EDUCATION.

38. Guidelines on Managing Safety, Health and Welfare in Primary Schools. (2013). Health and Safety Authority. Ireland Department of Education and Skills.

IX. დანართები

დანართი 1. ტერმინთა განმარტება

ცნს (*CNS)* - ცენტრალური ნერვული სისტემა (*Central Nervous System*) - ადამიანისა და ცხოველის ნერვული სისტემის ცენტრალური ნაწილი, რომელიც ადამიანსა და ძუძუმწოვრებში წარმოდგენილია თავისა და ზურგის ტვინით.

ფსიქოაქტიური ნივთიერება (*Psychoactive Substance*) – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და იწვევს მისი ფსიქიკური მდგომარეობის ცვლილებას. სამედიცინო პოზიციებიდან, ფსიქოაქტივობა შეიძლება გამოიხატოს ამ ნივთიერებების ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე (ცნს) განსაკუთრებული ზემოქმედებით – მასტიმულირებელი, ამგზნები, დამამშვიდებელი, ძილის მომგვრელი, ჰალუცინაციების გამომწვევი და ა.შ. ეფექტებით. ამგვარად, ფსიქოაქტიური ნივთიერებები არის კრებითი სახელწოდება, რომელიც შეიცავს ცნს-ზე სპეციფიკურად მოქმედ ნივთიერებათა დიდ ჯგუფს (ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები).

ლეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერება (*Legal psychoactive substance*) – ლეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების შექმნა, წარმოება, შენახვა, შეძენა, გასაღება, მოხმარება ნებადართულია კანონით. ასეთებია: ალკოჰოლი და მისი შემცველი პროდუქტები, ნიკოტინი და მისი შემცველი პროდუქტები, კოფეინი და მისი შემცველი პროდუქტები, ზოგიერთი ფსიქოტროპული მედიკამენტი, აქროლადი გამხსნელები (საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაწარმი).

არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერება (*Illegal psychoactive substance*) - ბევრი ფსიქოაქტიური ნივთიერების წარმოება, გავრცელება, გაყიდვა ან არასამედიცინო მიზნით მოხმარება კონტროლირდება ან იკრძალება. არალეგალურ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს აქვთ ხელმისაწვდომობის შეზღუდვის სხვადასხვა ხარისხი, რაც დაფუძნებულია ჯანმრთელობასთან და მათ თერაპიულ სარგებელთან დაკავშირებულ რისკებზე და კლასიფიცირებულია სპეციალური სიების იერარქიის მიხედვით როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

საერთაშორისო კონვენციები ნარკოტიკებთან დაკავშირებით (*International Drug Conventions*) – საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც ეხება ფსიქოაქტიური ნივთიერებების წარმოებასა და გავრცელებას. პირველი შეთანხმება, რომელიც ეხებოდა საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს, იყო 1912 წლის ჰააგის კონვენცია. ამ კონვენციისა და შემდგომი საერთაშორისო შეთანხმებების ძირითადი დებულებების საფუძველზე, შეიქმნა *გაეროს 1961 წლის ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ ერთიანი კონვენცია* (*Single Convention on Narcotic Drugs*, 1961). მოგვიანებით, დაემატა *1971 წლის კონვენცია ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ* (*Convention on Psychotropic Substances*, 1971) და *1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ* (*Convention against the Illicit Traffic in Narcotic Drugs and Psychotropic Substances*, 1988). ამუამად მოქმედი ეს სამი კონვენცია ქმნის ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების

საერთაშორისო კონტროლის სამართლებრივ ბაზისს. საქართველოში რატიფიცირებულია გაეროს სამივე კონვენცია.

სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება (*A substance subject to special control*) – ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული ყველა ნივთიერება, ფარმაცევტული პროდუქტი, მცენარეული მასალა და ნარევი, რომლებიც შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა ჩამონათვალში (I, II, III და IV სიაში); ეს სიები შექმნილია გაეროს კონვენციებს თანდართული სიების საფუძველზე.

ფსიქოტროპული ნივთიერებები (*Psychotropic Substances*) - ფსიქოაქტიური ნივთიერებები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ უმაღლეს ფსიქიკურ პროცესებზე და ხშირად გამოიყენება მედიცინაში ფსიქიკური დაავადებების სამკურნალოდ. თავდაპირველად, ტერმინი "ფსიქოტროპული ნივთიერებები", "ფსიქოტროპული პრეპარატები" არსებობდა მხოლოდ წმინდა პროფესიული, ანუ სამედიცინო და ფარმაკოლოგიური პოზიციებიდან - ეს არის სამედიცინო პრეპარატები, რომლებიც ფსიქიკურ პროცესებზე ახდენენ სპეციფიკურ თერაპიულ ან პროფილაქტიკურ ზემოქმედებას. 1971 წლიდან, ფსიქოტროპული პრეპარატების შესახებ ახალი საერთაშორისო კონვენციის მიღების შემდეგ, ამ ტერმინმა იურიდიული ელფერიც შეიძინა და, საერთაშორისო კონტროლის კონტექსტში, ფსიქოტროპული ნივთიერებად მიიჩნევა ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც შეტანილია `ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ გაეროს 1971 წლის კონვენციის თანდართულ სიებში.

ნარკოტიკი (*Drug*) – ეს ტერმინი, ძირითადად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში გამოიყენება. ინგლისურენოვან ლიტერატურაში, ტერმინით "ნარკოტიკი" (*Narcotic*) მხოლოდ ნარკოტიკულ ანალგეტიკებს (ტკივილგამაყუჩებელი ნარკოტიკები) აღნიშნავენ. სამედიცინო თვალსაზრისით, ნარკოტიკი არის ფსიქოაქტიური ნივთიერება, რომელიც იწვევს მიჩვევას და დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და რომლის სისტემატურ მოხმარებას შედეგად მოყვება უარყოფითი სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური შედეგები. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ნარკოტიკი არის "ქიმიური ნივთიერება ან ნივთიერებათა ნარევი, რომელიც განსხვავდება ადამიანის ნორმალური ცხოველმყოფელობისათვის აუცილებელი ნივთიერებებისაგან (მაგ., საკვები) და რომლის მიღებაც იწვევს ორგანიზმის ფუნქციონირებისა და სტრუქტურის შეცვლას". იურიდიული თვალსაზრისით, ტერმინით "ნარკოტიკული საშუალება" აღინიშნება ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნებისმიერი ნივთიერება და მცენარეული მასალა, რომელიც შეტანილია `ნარკოტიკული საშუალებების შესახებ გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენციის თანდართულ სიებში.

პრეკურსორი (*Precursor*) – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, რომელიც არ წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებასა და ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მაგრამ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების დამზადებისას.

ცნს დეპრესანტი (*CNS Depressant*) – ნივთიერება, რომელსაც ახასიათებს შემაკავებელი მოქმედება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, თრგუნავს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, მათ შორის, რეფლექსურ ფუნქციებს. ცნს-ის დეპრესანტებს მიეკუთვნება შემდეგი ფიქოაქტიური ნივთიერებები: ალკოჰოლი, სხვადასხვა საძილე და დამამშვიდებელი საშუალებები, ნარკოტიკულად მოქმედი აქროლადი

ნივთიერებები – ინჰალანტები (გამხსნელები და აირები), ნარკოტიკული ანალგეტიკები.

ნარკოტიკული ანალგეტიკი, ტკივილგამაყუჩებელი ნარკოტიკი (*Narcotic Analgesic Drug*) – ცნს დეპრესანტების ჯგუფში შემავალი ტკივილის შემცირების ან მოხსნის უნარის მქონე ნივთიერება, რომელსაც მიჩვევის პოტენციალი გააჩნია. ამ ჯგუფის პრეპარატებს მიეკუთვნება ოპიუმი, რომელიც მიიღება უშუალოდ საძილე ყაყაჩოსგან (*Papaver Somniferum*) და ოპიუმისაგან მიღებული ალკალოიდები – მორფინი, კოდეინი, და მათი მსგავსი ალკალოიდები (ოპიატები), ოპიუმის მსგავსი თვისებების მქონე სინთეზური ნაერთები (ოპიოიდები) – ჰეროინი, პრომედოლი, ბუპრენორფინი (სუბუტექსი), მეთადონი და სხვ.

ცნს სტიმულანტი (*CNS Stimulant)* – ნივთიერება, რომელსაც ახასიათებს გამააქტივებელი, მასტიმულირებელი მოქმედება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, იწვევს ენერგიის მოზღვავების შეგრძნებას, სიფხიზლის დონის მომატებას. ცნს-ის სტიმულანტებს (მათ ფსიქოსტიმულანტებსაც უწოდებენ) მიეკუთვნება შემდეგი ფიქოაქტიური ნივთიერებები: კოკაინი, ამფეტამინები და ამფეტამინის რიგის სხვა პრეპარატები, კოფეინი, ნიკოტინი, ანაბოლური სტეროიდები, აგრეთვე კუსტარულად დამზადებული ამფეტამინისმაგვარი ნივთიერებები.

ჰალუცინოგენი (*Hallucinogen*) - ნივთიერება, რომელიც ცნს-ზე ზემოქმედების გზით იწვევს გუნებ-განწყობის ცვლილებას და აღქმის გაუკუღმართებას ილუზიებისა და ჰალუცინაციების წარმოქმნით. ამ ჯგუფის ნივთიერებები იწვევს ფსიქიკის ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ფსიქოზურ მდგომარეობებს მოგვაგონებენ და მიეკუთვნება შემდეგი ფიქოაქტიური ნივთიერებები: კანაბისი (კანაფი, ჰაშიში, მარიხუანა), ლიზერგინის მჟავას დიეთილამიდი (*LSD*) და სხვა სინთეზური ჰალუცინოგენები (ფენციკლიდინი – *PCP*), ჰალუცინოგენური სოკოები, ჰალუცინოგენური ამფეტამინები ("ექსტაზი"), მესკალინი (შეიცავს მექსიკური კაქტუსი პეიოტი) და სხვ.

ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, აფნ (*New Psychoactive Substance, NPS*) - ახალი ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერება, რომელიც არ არის განსაზღვრული „ნარკოტიკულ საშუალებათა შესახებ" 1961 წლის ერთიანი კონვენციითა და „ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1971 წლის კონვენციით, მაგრამ ისეთივე საფრთხის შემცველია მოსახლეობისთვის, როგორც ამ კონვენციებით განსაზღვრული ნივთიერებები. აფნ ძალიან მრავალფეროვანია მათი ქიმიური შემადგენლობისა და ცნს-ზე ზემოქმედების მიხედვით. დღეისათვის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები ახდენენ ტრადიციულ ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა 6 ძირითადი ჯგუფის ეფექტების იმიტირებას: 1. ოპიოიდების (მაგ., ჰეროინის და მორფინის); 2. კანაფის პრეპარატების; 3. დისოციაციური ნივთიერებების (მაგ, ფენციკლიდინის და კეტამინის)[92]; 4. კლასიკური ჰალუცინოგენების (მაგ., ლიზერგინის მჟავას დიეთილამიდი, LSD); 5. საძილე/დამამშვიდებელი საშუალებების (მაგ, დიაზეპამის); 6. ცნს სტიმულანტების (მაგ, კოკაინის, ამფეტამინების, ექსტაზის). აფნ გამოყენების ძირითადი საფრთხეები დაკავშირებული მათ ბრმად მოხმარებასთან: უცნობია შემადგენლობა; უცნობია დოზირება; უცნობია ეფექტები; მწარმოებლები მუდმივად ცვლიან ნატკოტიკის ქიმიურ

[92] დისოციაციური ნივთიერებები (Dissociatives) - ჰალუცინოგენების კლასს მიკუთვნებულ ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა ჯგუფია, რომლებიც ცვლიან გარემომცველი სამყაროს აღქმას და იწვევენ ცნობიერების ნორმალური ფუნქციონირების დარღვევას. ისინი ამახინჯებენ ხმის და ვიზუალური გამოსახულების აღქმის ხასიათს და იწვევენ გაუცხოების განცდას, რეალობისგან მოწყვეტას - დისოციაციურობას.

შემადგენლობას. ეს კი, გარდა იმისა, რომ ცვლის ნარკოტიკის ეფექტს, აძნელებს მისგან გამოწვეული გართულებების მკურნალობას.

დანართი 2. სკოლის ზოგადი უსაფრთხოების შემოწმების კრიტერიუმები[93]

შესაბამისი კითხვის გასწვრის მონიშნეთ: √- (კი) ; X- (არა); 0- (საჭიროებს გაუმჯობესებას)

1.	არის თუ არა სკოლის პერსონალი გადამზადებული პოზიტიური სწავლებისა და სასკოლო უსაფრთხოების საკითხებზე?	
2.	არის თუ არა სკოლის შენობის ყველა სართულზე ვიდეოკამერა?	
3.	არის თუ არა სკოლის შენობა ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის?	
4.	არის თუ არა უზრუნველყოფილი სკოლის შენობაში განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება?	
	გამართულია თუ არა სკოლის პერსონალისა და მოსწავლეებისთვის სასმელი წყლის მიწოდების პროცესი	
6.	აქვს თუ არა სკოლას უსაფრთხო ეზო?	
6.	დაცულია თუ არა ქიმიური საშუალებების, აალებადი ნივთიერებებისა და ბასრი საგნების შენახვის უსაფრთხოების წესები?	
7.	არის თუ არა სკოლაში შესაკეთებელი/გამოსაცვლელი ინვენტარი?	
8.	დაცულია თუ არა საკვების უსაფრთხოება კაფეტერიაში?	
9.	უსაფრთხოდ იკეტება თუ არა სკოლის ყველა ფანჯარა ?	
10.	აქვს თუ არა სკოლას შენობაში შემსვლელი და გამსვლელი ვიზიტორების აღრიცხვის ეფექტიანი სისტემა	
11.	შეესაბამება თუ არა სკოლის საპირფარეშოებში არსებული მდგომარეობა უსაფრთხოებისა და ჰიგიენურ სტანდარტებს	
12.	აქვს თუ არა სკოლას უსაფრთხო სპორტული მოედანი	

[93] New Jersey Department of Education, (2011). School Safety and Security Plan Review Checklist, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3wzxQCd; ასევე იხილეთ, National Crime Prevention Council, (2009) School security and safety toolkit: A guide for Parents, schools, and communities, pp. 37-41

13.	აქვს თუ არა სკოლას უსაფრთხო სპორტული დარბაზი	

დანართი 3. მოსწავლის მიერ განხორციელებული დარღვევები[94]

	დარღვევის ტიპი	**რაოდენობა (წლის განმავლობაში)**
1.	სუიციდური აზრი/ქცევა	
2.	თვითდაზიანება	
3.	ფეთქებადი ნივთიერება	
4.	აკრძალული ნივთების (აზარტული თამაშების ატრიბუტები, თამბაქოს ნაწარმი/ელექტროსიგარეტი, სანთებელა, ლითონის სხვა საფრთხისშემცველი ნივთები გარდა ცივი იარაღისა) ტარება	
5.	მაღალი რისკის შემცველი აკრძალული ნივთების (ელექტროშოკი, პნევმატური იარაღი, ბასრი საგანი, სავარაუდო ცივი იარაღი)	
6.	ალკოჰოლის შეტანა/მოხმარება, რეალიზაცია ან მისი ზემოქმედების ქვეშ სკოლაში გამოცხადება	
7.	მოსწავლის მიერ სავარაუდო არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული საშუალება და სხვა.) სკოლაში შეტანა, მოხმარება, რეალიზაცია ან მისი ზემოქმედების ქვეშ სკოლაში გამოცხადება	
8.	თანხის / სხვა ნივთის უნებართვო აღება/იძულებით გამორთმევა, შეგროვება	
9.	სასკოლო ინვენტარის დაზიანება/განადგურება	
10.	მოსწავლეზე ძალადობა	
11.	სკოლის პერსონალზე ძალადობა	
12.	კიბერბულინგი	

[94] მანდატურის სამსახურის სტატისტიკა სკოლაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ.

13.	მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია	
13.	სკოლის პერსონალის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია	
14.	მოსწავლის დისციპლინური დარღვევები (დაგვიანება, საგაკვეთილო პროცესის თვითნებურად მიტოვება და სხვა)	
15	სხვა დარღვევები.	

დანართი 4. სკოლის პერსონალის მიერ განხორციელებული დარღვევები

	დარღვევის ტიპი	**დამრღვევი სუბიექტი [95](ტექნიკური/ ადმინისტრაციული/ აკადემიური პერსონალი**	**რაოდენობა (წლის განმავლობაში)**
1.	აკრძალული ნივთების (აზარტული თამაშების ატრიბუტების, თამბაქოს ნაწარმი/ელექტროსიგარეტი, სანთებელა, ლითონის სხვა საფრთხისშემცველი ნივთები გარდა ცივი იარაღისა) ტარება		
2.	მაღალი რისკის მქონე აკრძალული ნივთების (ელექტროშოკი, პნევმატური იარაღი, ბასრი საგანი, სავარაუდო ცივი იარაღი)		
3.	სკოლაში ალკოჰოლის შეტანა/მოხმარება, რეალიზაცია ან მისი ზემოქმედების ქვეშ სკოლაში გამოცხადება		
4.	პედაგოგის/სკოლის სხვა თანამშრომლის მიერ სავარაუდო არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ნარკოტიკული საშუალება,		

[95] მიუთითეთ მხოლოდ ფრჩხილებში მოცემული ფორმით.
ტექნიკური პერსონალი-მაგ: დამლაგებელი, კაფეტერიის თანამშრომლები; ადმინისტრაციული პერსონალი - მაგ.: დირექცია; მანდატური/უფლებამოსილი პირი; აკადემიური პერსონალი: მასწავლებლები.

	ფსიქოტროპული საშუალება და სხვა.) სკოლაში შეტანა, მოხმარება, რეალიზაცია ან მისი ზემოქმედების ქვეშ სკოლაში გამოცხადება		
5.	მოსწავლის მიმართ დისკრიმინაცია		
6.	მოსწავლის მიმართ ძალადობა		
7.	სკოლის პერსონალის მიმართ განხორციელებული ძალადობა		
8.	არაეთიკური ქმედება		
9.	სხვა დარღვევები		

დანართი 5. სკოლაში დაფიქსირებული დარღვევების შედეგად პოლიციის ინფორმირება[96]

	დარღვევის ტიპი	*დამრღვევი სუბიექტი*	*პოლიციისთვის მიმართვის რაოდენობა (წლის განმავლობაში)*
1.	აკრძალული ნივთების (აზარტული თამაშების ატრიბუტები, თამბაქოს ნაწარმი/ელექტროსიგარეტი, სანთებელა, ლითონის სხვა საფრთხისშემცველი ნივთები გარდა ცივი იარაღისა) ტარება		
2.	სკოლაში ალკოჰოლის შეტანა/მოხმარება, რეალიზაცია ან მისი ზეგავლენის ქვეშ სკოლაში გამოცხადება		
3.	მოსწავლის მიერ სავარაუდო არალეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერებების (ნარკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული საშუალება და სხვა.) სკოლაში შეტანა, მოხმარება, რეალიზაცია ან მისი ზეგავლენის ქვეშ სკოლაში გამოცხადება და სხვა		
4.	არაეთიკური ქმედება		
5.	თანხის / სხვა ნივთის უნებართვო აღება/იძულებით გამორთმევა, შეგროვება		
6.	დესტრუქციული ქცევა		
7.	მაღალი რისკის მქონე აკრძალული ნივთების (ელექტროშოკი, პნევმატური იარაღი, ბასრი საგანი, სავარაუდო ცივი იარაღი)		
8.	ფიზიკური შეურაცხყოფა		
9.	თვითდაზიანება		

[96] მანდატურის სამსახურის სტატისტიკა -„სკოლებში დაფიქსირებული დარღვევების შედეგად პოლიციის ინფორმირებულობა“

10.	სუიციდის მცდელობა სკოლის ტერიტორიაზე		
11.	სასკოლო ინვენტარის დაზიანება		
12.	სახიფათო ინტერნეტ-თამაშები		
13.	სიტყვიერი შეურაცხყოფა		
14.	სკოლაში მომხდარი სხვა ფაქტები		

დანართი 6. ძალადობის სახე, ძალადობრივი ქმედების ჩამდენი პირისა და მსხვერპლის განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით[97]

	რაოდენობა (წლის განმავლობაში)	**ძალადობის ჩამდენი პირის სქესი**	**ძალადობის ჩამდენი პირის ასაკობრივი ჯგუფი [98]**	**მსხვერპლის სქესი**	**მსხვერპლის ასაკობრივი ჯგუფი**
ფიზიკური ძალადობა					
ფსიქოლოგიური ძალადობა					
სექსუალური ძალადობა					
ეკონომიკური ძალადობა					
ბულინგი/ კიბერბულინგი					

დანართი 7. ძალადობრივი ქმედების მსხვერპლი არასრულწლოვნების სავარაუდო სიმპტომები

→ ფიზიკური ნიშნები: სისხლჩაქცევები, ნაკაწრები, ჭრილობები;
→ სკოლაში სიარულის ან სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის შიში;
→ სისტემატური შფოთვა ან/და ნერვიულობა;
→ მეგობრების ვიწრო წრე;
→ ტანსაცმლის, ელექტრონული მოწყობილობების ან სხვა პირადი ნივთების დაკარგვა ან განადგურება;
→ დაბალი აკადემიური მოსწრება;
→ უფროსებთან ახლოს ყოფნის მცდელობა;
→ ძილის დარღვევა ან კოშმარები;
→ ტელეფონთან/კომპიუტერთან გარკვეული დროის გატარების შემდეგ გონივრული მიზეზის გარეშე მომეტებული აგრესიულობა/ჩაკეტილობა;

[97] საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი. (2008), ეროვნული კვლევა სკოლებში ძალადობის შესახებ, გვ. 12.
[98] მიუთითეთ დაწყებითი, საბაზო ან საშუალო საფეხური.

→ თანხის ხშირად დაკარგვა;
→ ახალი ფობიების მძიმე ფორმით გამოვლენა;[99]
→ კონცენტრაციის პრობლემები;
→ ნივთების სისტემატური განადგურება;
→ წონის სწრაფი ცვლილება;
→ ამინდის შეუსაბამო ტანსაცმლის ტარება (მაგ: ზაფხულში გრძელი სახელოები, ტრავმების დასაფარად).

დანართი 8. განსაკუთრებით საყურადღებო ძალადობრივი ქმედებების/ ანტისოციალური ქცევის ჩამონათვალი (შესაძლოა, დაემატოს სხვა ქმედებებიც)[100]

→ ფიზიკური/ფსიქოლოგიური/სექსუალური/ეკონომიკური ძალადობა:
→ ნებისმიერი სახის ძალადობის მუქარა;
→ რასისტული ან სექსისტური კომენტარები;
→ სხვა მოსწავლის ან სკოლის ინვენტარის განზრახ დაზიანება/ განადგურება/მოპარვა;
→ სკოლის წესების სიტემატური დარღვევა;
→ ყვირილი, აგრესიული ტონით საუბარი;
→ სისტემატური ტყუილი;
→ სკოლაში აკრძალული ნივთების (თამბაქოს ნაწარმი, ალკოჰოლური სასმელები, ასაფეთქებელი ან/და მომწამვლელი ნივთიერებები, ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული წამლები ექიმის დანიშნულების გარეშე და სხვა) ტარება;
→ სკოლის შენობაში ან ეზოში ალკოჰოლური / ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში ყოფნა;
→ სკოლაში ცივი იარაღის ტარება.

[99] Stanford Medicine, Signs & Symptoms of Abuse/Neglect. ხელმისაწვდომია: https://childabuse.stanford.edu/screening/signs.html, წვდომის თარიღი: 25.08.2022.
[100] World Health Organization, (2019). SCHOOL-BASED VIOLENCE PREVENTION a practical handbook, p.41.

დანართი 9. პრობლემების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრის დამხმარე ცხრილი[101]

პრობლემა	ბარიერი პრობლემების გადაჭრისას	ბარიერის გადალახვის მეთოდი	განმახორციელებელი სუბიექტები	ვადა	შედეგი

[101] NATIONAL CRIME PREVENTION COUNCIL. (2009), SCHOOL SAFETY AND SECURITY TOOLKIT A Guide for Parents, Schools and Communities, p. 17, p. 42.

დანართი 10. სკოლაში უსაფრთხოებისა და დაცულობის კითხვარის მაგალითი (მოსწავლეთათვის)

(შეგიძლიათ დაამატოთ ან ამოაკლოთ კონკრეტული კითხვები, სკოლის სპეციფიფიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე)

ზოგადად, რამდენად უსაფრთხოდ გრძნობთ თავს სკოლაში ?

- სრულიად უსაფრთხოდ ☐
- ძირითადად უსაფრთხოდ ☐
- მეტნაკლებად უსაფრთხოდ ☐
- არც ისე უსაფრთხოდ ☐
- არ ვგრძნობ თავს უსაფრთხოდ ☐

გთხოვთ, მონიშნოთ ის სივრცეები, სადაც თავს არ გრძნობთ ძირითადად უსაფრთხოდ?

- ცარიელ საკლასო ოთახში ☐
- დერეფნებში ☐
- საპირფარეშოში ☐
- სკოლის ეზოში / სპორტულ მოედანზე ☐
- ბუფეტში ☐
- კიბეებზე ☐
- სპორტულ დარბაზში / გასახდელში ☐
- სამასწავლებლოში ☐

გთხოვთ, მონიშნოთ დროის ის პერიოდი, როდესაც თავს არ გრძნობთ საკმარისად უსაფრთხოდ?

- სკოლის გახსნამდე ☐
- საგაკვეთილო პროცესისას ☐
- ქამის/წახემსების დროს ☐
- სასკოლო ღონისძიებების შემდგომ ☐
- კლასიდან კლასში გადანაცვლების დროს ☐
- არასაგაკვეთილო ღონისძიებების დროს ☐
- გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ☐

წარმოგიდგენთ დარღვევათა სიას. გთხოვთ, თითოეულ დარღვევასთან დაკავშირებით მიუთითითეთ, თუ მითითებული დარღვევები რამდენად აქტუალური/პრობლემური იყო თქვენს სკოლაში ბოლო სასწავლო წლის მანძილზე. მონიშნეთ შესაბამისი ველი.

	კი	არა	ნაწი-ლობრივ
პირადი ნივთების ქურდობა	☐	☐	☐
სასკოლო ნივთების ქურდობა	☐	☐	☐
სასკოლო ნივთების შეგნებული დაზიანება / ვანდალიზმი	☐	☐	☐
ბულინგი / დაშინება	☐	☐	☐
ფიზიკური კონფლიქტი (რომელსაც არ მოჰყოლია მძიმე შედეგი)	☐	☐	☐
ფიზიკური კონფლიქტი (რომელსაც მოჰყვა მძიმე შედეგი)	☐	☐	☐

ნარკოტიკული და სხვა ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარება ან გაყიდვა			
უპატივცემულობა მოსწავლეთა შორის			
მოსწავლეთა მიერ უფროსების უპატივცემულობა			
მოსწავლეთა არაშესაფერისი ქცევა სასკოლო ან სკოლის შემდგომი აქტივობებისას			
მოსწავლეთა არაშესაფერისი ქცევა სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე			
ვიზიტორთა სკოლაში უკონტროლო შესვლა-გამოსვლა			

აქვს თუ არა თქვენს სკოლას მოსწავლეთა ქცევის კოდექსი ან შინაგანაწესი?

☐ დიახ ☐ არ ვიცი ☐ არა

დადებითი პასუხის შემთხვევაში, აცნობენ თუ არა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აღნიშნულ ქცევის კოდექსს (შინაგანაწესს) წლის განმავლობაში რამდენჯერმე.

☐ დიახ ☐ არ ვიცი ☐ არა

ე.წ ქცევის კოდექსის (შინაგანაწესის) არსებობის შემთხვევაში, გათვალისწინებულია თუ არა ქცევის კოდექსში დისციპლინური ან სხვა სახის სანქციები სკოლაში ჩადენილი დარღვევებისთვის?

☐ დიახ ☐ არ ვიცი ☐ არა

თქვენი აზრით, ხორციელდება თუ არა ამ წესებისა და სანქციების აღსრულება სამართლიანად?

☐ დიახ ☐ არ ვიცი ☐ არა

ახდენს თუ არა თქვენი სკოლა მოსწავლეთა შორის პოზიტიური ქცევის წახალისებას?

☐ დიახ ☐ არ ვიცი ☐ არა

იმ შემთხვევაში, თუ გაიგებდით, რომ სკოლაში არსებობს ძალადობის საფრთხე, ვის მიმართავდით რეაგირებისთვის ან დასახმარებლად? შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე ვარიანტი.

☐ დირექტორს/მის მოადგილეს ☐ მასწავლებელს ☐ სკოლის სხვა თანამშრომელს

☐ ადმინისტრაციის თანამშრომელს ☐ მანდატურს ☐ ალბათ არავის ვეტყოდი

იმ შემთხვევაში, თუ გინდათ, რომ თქვენი, ან სხვა მოსწავლის პირადი უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით მიმართოთ სკოლის პერსონალს, რამდენად გგონიათ, რომ აღნიშნულმა პირმა იცის, თუ როგორ და რა გზით შეუძლია თქვენი დახმარება ?

☐ დარწმუნებული ვარ ☐ მეტწილად დარწმუნებული ვარ ☐ თითქმის არ ვარ დარწმუნებული ☐ არ ვარ დარწმუნებული

იციან თუ არა თქვენმა მასწავლებლებმა საკლასო ოთახში ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნისა და შენარჩუნების მეთოდები?

- ☐ ყველა მასწავლებელი ფლობს ამ მეთოდებს
- ☐ მხოლოს ზოგიერთი მასწავლებელი ფლობს ამ მეთოდებს
- ☐ მასწავლებელთა უმრავლესობა ფლობს ამ მეთოდებს
- ☐ მასწავლებელთა უმრავლესობა არ ფლობს ამ მეთოდებს

არის თუ არა თქვენს სკოლაში დანერგილი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე შემოთავაზება/პროგრამა?

- ☐ თანატოლთა მედიაციის ტრენინგი
- ☐ ტრენინგი მშობლებისთვის
- ☐ ბრაზის მართვის კურსი მოსწავლეთათვის
- ☐ მშობელთა ჩართულობა და ინფორმირებულობა უსაფრთხოების საკითხებში
- ☐ საკლასო ოთახის მართვის ტრენინგი მასწავლებლებისთვის
- ☐ სკოლის შემდგომი პროგრამები მოსწავლეებისთვის
- ☐ სწრაფი გასაუბრება/კონსულტაცია საჭიროების მქონე მოსწავლესთან
- ☐ არ ვიცი

მიგაჩნიათ თუ არა, რომ მანდატური/მანდატურები ზრუნავენ თქვენს სკოლაში უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაზე?

- ☐ დიახ, ყველა მათგანი
- ☐ არ ვიცი
- ☐ მხოლოდ ნაწილი
- ☐ არა

რომელ კლასში ხარ? _____

მიუთითე შენი სქესი: _____

დანართი 11. ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტის აღრიცხვის ფორმის ნიმუში

<table>
<tr><td colspan="2">სკოლის დასახელება

ინციდენტის თარიღი

ინციდენტის დრო

აღრიცხვის ფორმა შეავსო:</td><td colspan="2">ინციდენტი დაფიქსირდა:

☐ სკოლის ტერიტორიაზე

☐ სკოლის ტერიტორიის გარეთ</td></tr>
<tr><td colspan="4">ინციდენტის სახე:</td></tr>
<tr><td>☐</td><td>სკოლის ტერიტორიაზე არასანქცირებული ნივთიერებების მოხმარება</td><td>☐</td><td>სკოლის ტერიტორიის გარეთ სასკოლო ღონისძიებაზე არასანქცირებული ნივთიერებების გავრცელება</td></tr>
<tr><td>☐</td><td>სკოლის ტერიტორიის გარეთ სასკოლო ღონისძიებაზე არასანქცირებული ნივთიერებების მოხმარება</td><td>☐</td><td>სკოლის ტერიტორიაზე ან შემოგარენში არასანქცირებული ნივთიერებების დამალვა/შენახვა</td></tr>
<tr><td>☐</td><td>ინდივიდის მიერ არასანქცირებული ნივთიერების მოხმარების აღიარება</td><td>☐</td><td>სკოლის ტერიტორიაზე არასანქცირებული ნივთიერების მოხმარების ატრიბუტების ქონა (მაგალითად, სანთებელა, ნემსი/შპრიცი, შესაყნოსი და მოსაწევი მილები)</td></tr>
<tr><td>☐</td><td>ვარაუდი, რომ მოსწავლეს მიღებული აქვს ფსიქოაქტიური ნივთიერება</td><td>☐</td><td>სკოლის ტერიტორიაზე ფსიქოაქტიური ნივთიერების ან მისი მოხმარებისთვის საჭირო ატრიბუტების აღმოჩენა</td></tr>
<tr><td>☐</td><td>სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირის მიერ არასანქცირებული ნივთიერების ფლობა</td><td>☐</td><td>ინფორმაცია მოსწავლეების მიერ არასანქცირებული ნივთიერების მოხმარების ან ფლობის შესახებ</td></tr>
<tr><td>☐</td><td>სკოლის ტერიტორიაზე არასანქცირებული ნივთიერებების გავრცელება</td><td>☐</td><td>სხვა (მიუთითეთ)</td></tr>
<tr><td colspan="4">ინციდენტში ჩართული პირი/პირები (თუკი მისი ვინაობა ცნობილია):

☐ მოსწავლე ☐ მშობელი/მეურვე

☐ სკოლის პერსონალი ☐ სხვა (მიუთითეთ)</td></tr>
<tr><td colspan="4">ინციდენტში ჩართული პირის/პირების ვინაობა:</td></tr>
<tr><td colspan="2">სახელი, გვარი

ასაკი

სქესი ☐ მდედრობითი ☐ მამრობითი

☐ მონიშნეთ, თუკი ინციდენტის მონაწილე პირი ადრეც იყო შემჩნეული მსგავს ქმედებაში</td><td></td><td>სახელი, გვარი

ასაკი

სქესი ☐ მდედრობითი ☐ მამრობითი

☐ მონიშნეთ, თუკი ინციდენტის მონაწილე პირი ადრეც იყო შემჩნეული მსგავს ქმედებაში</td></tr>
<tr><td colspan="4">ინციდენტის/სიტუაციის მოკლე აღწერა</td></tr>
</table>

სკოლის პერსონალიდან ვის ეცნობა ინციდენტის შესახებ:	**თუ ინციდენტში მოსწავლე იყო ჩართული, მშობლის/მეურვის ვინაობა, ვისაც ეცნობა ინციდენტის შესახებ:**
საჭირო გახდა თუ არა გადაუდებელი დახმარება? ☐ კი ☐ არა ვინ აღმოუჩინა გადაუდებელი დახმარება? **საჭირო გახდა თუ არა სასწრაფო დახმარების ბრიგადის გამოძახება?** ☐ კი ☐ არა თუ კი, ვინ გამოიძახა გამოძახების დრო **რა სახის გადაუდებელი დახმარება ჩატარდა**	
ინციდენტზე რეაგირების მოკლე აღწერა	
დამატებითი კომენტარები	

დანართი 12. სკოლის პოლიტიკის დოკუმენტის ფორმატი და ნიმუშები

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკის დოკუმენტის ფორმატი

სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით უნდა შეიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

თავფურცელი

დოკუმენტის თავფურცელზე (პირველ გვერდზე) მითითებული უნდა იყოს:

- → სკოლის დასახელება (ნომერი) და მისამართი;
- → სკოლის მოკლე აღწერა (სართულების რაოდენობა, საკლასო ოთახების რაოდენობა, მოსწავლეთა, მასწავლებელთა, სპეციალურ მასწავლებელთა, მანდატურთა, ფსიქოლოგთა და სოციალურ მუშაკთა რაოდენობა)
- → დოკუმენტის გავრცელების არეალი (*ადრესატთა წრე* - მაგ., მიმართულია მოსწავლეებზე, სკოლის პერსონალზე, სკოლის სტუმრებზე თუ ყველაზე ერთად და *ტერიტორიული გავრცელების არეალი და დროის მონაკვეთი* - სად და რა დროს არის სკოლა პასუხისმგებელი (მხოლოდ სკოლის ფარგლებში, სკოლის გარეთ, გასვლითი ღონისძიებების დროს, მხოლოდ სასკოლო დროს და ა.შ.;
- → დოკუმენტის შექმნის თარიღი;
- → დოკუმენტის გადასინჯვის თარიღი.

პოლიტიკის დანიშნულება

დოკუმენტის დასაწყისში გაცხადებული უნდა იყოს დოკუმენტის მიღების მიზეზები, სკოლის მიზნები და ამოცანები, ღირებულებები და ნორმები; საქმიანობის ძირითადი პრინციპები.

პოლიტიკის შექმნის პროცესი

ეს ნაწილი მოიცავს საკონსულტაციო პროცესის მოკლე აღწერას და სახელდება პოლიტიკის შექმნაზე პასუხისმგებელი ჯგუფის წევრები. სკოლის პოლიტიკის შექმნის პროცესში ჩართული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოების შემადგენელი ყველა რგოლის წარმომადგენელი.

არასანქცირებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ჩამონათვალი

დოკუმენტში უნდა იყოს არასანქცირებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების ჩამონათვალი. ცხადად უნდა მივუთითოთ იმ ნივთიერებათა დიაპაზონი, რომლებზეც იქნება პოლიტიკა მიმართული.

სკოლის ტერიტორიაზე აკრძალული ძალადობრივი და ანტისოციალური ქმედებების ჩამონათვალი

დოკუმენტში უნდა განისაზღვროს იმ **ქმედებათა და დარღვევათა ჩამონათვალი,** რომლებიც აკრძალულია სკოლის ტერიტორიაზე (სკოლის შენობა და შიდა ეზო). აგრეთვე, განისაზღვროს კონკრეტული ქმედების შინაარსი, რათა მოსწავლეთათვის, მშობლებისთვისა და მასწავლებლებისთვის თვალსაჩინო იყოს სკოლაში აკრძალულ ქმედებათა შინაარსი. ამასთან, ამომწურავად მიეთითოს კონკრეტული დარღვევისთვის დაწესებული შესაბამისი სანქციის ფორმა და შინაარსი.

უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობის პრინციპები

პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებამდე, სკოლამ უნდა დააკომპლექტოს უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფი, რომლის ფუნქციებშიც მოექცევა ძალადობრივი ქმედებების აღკვეთა-პრევენციის ხელშეწყობა, მათ შორის, უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება. დოკუმენტში უნდა განისაზღვროს საკოორდინაციო ჯგუფის საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი წესები: განისაზღვროს საკოორდინაციო ჯგუფში შემავალ პირთა სასურველი რიცხოვნობა, ასევე, დაკონკრეტდეს ჯგუფში შემავალ სუბიექტთა სტატუსი და თითოეული რგოლის წარმომადგენელთა სასურველი რაოდენობა (მასწავლებელი, მშობელი, მოსწავლე, მანდატური/უფლებამოსილი პირი, დირექცია და ა.შ); განისაზღვროს საკოორდინაციო ჯგუფის შეკრების სასურველი ინტენსივობა; გადანაწილდეს საკოორდინაციო ჯგუფში შემავალი პირების ფუნქციები და ვალდებულებები.

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის კოორდინატორი

სკოლაში უნდა იყოს დასახელებული პირი, რომელიც ზედამხედველობს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ სკოლის პოლიტიკის განხორციელებას. სასურველია, მითითებული იყოს მისი პოზიცია და არა კონკრეტული სახელი და გვარი და გაწერილი უნდა იყოს მისი მოვალეობები

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვაზე პასუხისმგებელი პირი

სკოლაში ასევე უნდა იყოს დასახელებული პირი, რომელიც პასუხისმგებელია ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვაზე.

სასურველია, ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის კოორდინატორი და ნარკოტიკებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვაზე

პასუხისმგებელი პირი იყვნენ სკოლის უსაფრთხოების საკოორდინაციო ჯგუფის წევრები, ასეთი ჯგუფის არსებობის შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამა/კურიკულუმი

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისა და ძალადობრივი და ანტისოციალური ქცევების საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი - მათი სახელწოდება, მიზანი, მოკლე აღწერა - რომელ ასაკობრივ ჯგუფზეა თითოეული პროგრამა მიმართული, რა სახის ინფორმირებას და/ან უნარების განვითარებას ითვალისწინებს, როგორ განხორციელდება პროგრამა, რა რესურსებს მოითხოვს მისი განხორციელება და ა.შ.

ასევე, პოლირიკის დოკუმენტში უნდა ჩაიწეროს ძალადობის პრევენციის მიზნით განსახორციელებელი არაკურიკულარული ღონისძიებები.

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული ინციდენტების მართვა

ნივთიერებათა მოხმარებასთან დაკავშირებული ინციდენტების მართვის პროცედურები შეიძლება სკოლის პოლიტიკის დოკუმენტშივე იყოს გაწერილი, ან დაიწეროს ცალკე, როგორც პოლიტიკის დოკუმენტის დანართი.

კონფიდენციალობის დაცვა

ვინაიდან სკოლის პერსონალი ვერ მისცემს მოსწავლეებს აბსოლუტური კონფიდენციალობის გარანტიებს, კონფიდენციალობის საზღვრები ძალიან ზუსტად უნდა განიმარტოს. პერსონალმაც და მოსწავლეებმაც უნდა იცოდნენ ეს საზღვრები და ჰქონდეთ ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომელთა დროსაც მათ მოუწევთ კონფიდენციალობის დარღვევა.

პერსონალის ქცევა

დოკუმენტი, ასევე, უნდა მოიცავდეს რეგულაციებს სკოლის პერსონალის ქცევასთან დაკავშირებით ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან მიმართებით. შესაძლებელია, რომ სკოლამ დოკუმენტში ჩაწეროს ასევე, როგორ მოიქცევა თანამშრომლის მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმოხმარების ან ძალადობრივი ქცევის შემთხვევაში.

სხვა ორგანიზაციებთან/უწყებებთან თანამშრომლობა

სკოლა ადგილობრივი თემის ნაწილია და ბევრ ორგანიზაციასთან თუ უწყებასთან აქვს ფორმალური და არაფორმალური კავშირები. ეს კავშირები შეიძლება გამოყენებული იქნას სკოლის პოლიტიკის განხორციელების გასაუმჯობესებლად. მეორე მხრივ, სკოლას უნდა ჰქონდეს პროცედურები სკოლაში მომსმვლელებისთვის, სტუმრებისთვის. მაგ., სკოლის პერსონალმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ სტუმარი მარტო არ დარჩეს ბავშვებთან.

მშობლებთან ან ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან მუშაობა

პირველ რიგში, მოსწავლეთა მშობლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის არსებობის შესახებ. ამას გარდა, პოლიტიკის დოკუმენტში უნდა ჩაიწეროს, თუკი სკოლას აქვს მშობლებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამები ან თემზე ორიენტირებული პრევენციული პროგრამები ფსიქოაქტიურ ნითიერებებთან და ძალდობასთან დაკავშირებით.

მონიტორინგი, შეფასება და გადასინჯვა

როგორც საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე სკოლის პოლიტიკა უნდა გადაიხედოს რეგულარულად, გარკვეული ინტერვალებით, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი შესაბამისი და აქტუალურია. რეკომენდებულია, რომ პოლიტიკის დოკუმენტის გადახედვა მოხდეს ყოველ 2-3 წელიწადში.

კავშირი სკოლის სხვა პოლიტიკასთან

სკოლაში არსებული ყველა პოლიტიკა უნდა ავსებდეს ერთმანეთს. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პოლიტიკას შეიძლება ჰქონდეს გავლენა სხვა საკითხებთან დაკავშირებულ პოლიტიკაზე, როგორიცაა ქცევა და დისციპლინა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, მოსწავლეებისთვის მედიკამენტების მიცემა და ა.შ.

სპეციფიკური საგანმანათლებლო საჭიროებები

უნდა დაიწეროს, რა სჭირდება სკოლას ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოლიტიკის განსახორციელებლად, მაგ., საგანმანათლებლო მასალები, ტრენინგები და სხვ.

პოლიტიკის გავრცელება

დიკუმენტში უნდა ჩაიწეროს, რა გზებით და ფორმებით აპირებს სკოლა პოლიტიკის დოკუმენტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას საკოლო და სკოლის გარეთა საზოგადოებაში.

დანართები

შესაძლოა, დოკუმენტს თან ახლდეს დანართები საკანონმდებლო ან მარეგულირებელი დოკუმენტების, პროგრამის/მასალების მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების, სასარგებლო კონტაქტების ან დამხმარე მასალების სახით.

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული სკოლის პოლიტიკის ნიმუშები

1. ინგლისის საგრაფო Northumberland

შესავალი

- ვის მიერ შემუშავდა ეს პოლიტიკა (პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები და სხვ)
- რას ეყრდნობა და რას ითვალისწინებს ეს პოლიტიკა (ქვეყნის კანონმდებლობა, სკოლის დისციპლინური პოლიტიკა და სხვ)
- რა ფორმით უნდა გავრცელდეს ინფორმაცია პოლიტიკის შესახებ (სკოლის პერსონალისთვის ასლის დარიგება, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის განკუთვნილი ინფორმაციის სკოლის ვებგვერდზე განთავსება და სხვ)
- პოლიტიკის ძალაში შესვლის თარიღი
- პოლიტიკის გადახედვის თარიღი

ტერმინების განმარტება

ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით სკოლის პოლიტიკის მიზანი და ამოცანები

პოლიტიკის მოქმედების არეალი (სასკოლო ღონისძიებები სკოლის ტერიტორიის გარეთ, სკოლის ტერიტორია არასასწავლო პერიოდში)

ფუნქციები და პასუხისმგებლობა (სკოლის თანამშრომლები - პედაგოგები და სხვა პერსონალი, მშობლები)

პრევენციული განათლების პროგრამა მოსწავლეთათვის (მიზნები და ამოცანები, მეთოდოლოგია, რესურსები)

სკოლის პერსონალის სწავლება და მხარდაჭერა (სკოლის ყველა თანამშრომლის ინფორმირება ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ და ინციდენტზე რეაგირების წესების შესახებ)

შეფასება და გადახედვა (პოლიტიკის შეფასების კრიტერიუმები, ინციდენტის აღრიცხვის ფორმები, შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები)

ინციდენტზე რეაგირება (რა ღონისძიებებს მიმართავს სკოლა ამა თუ იმ ნივთიერების აღმოჩენის, მოსწავლის ან თანამშრომლის მიერ არასანქცირებული ნივთიერების მოხმარების შემთხვევაში)

სერვისები და ორგანიზაციები (საკონსულტაციო ცენტრები ან სათემო ორგანიზაციები, სადაც სკოლა მიავლენს პრობლემის მქონე მოსწავლეს და მის მშობლებს კვალიფიციური დახმარების მისაღებად ან სოციალური მხარდაჭერისთვის)

კონფიდენციალობის საზღვრები (ფსიქოაქტიურ ნივთიერებასთან დაკავშირებული ინციდენტის შემთხვევაში რა ფარგლებში შეიძლება კონფიდენციალობის დაცვა)

მედიასთან ურთიერთობა (ინციდენტთან დაკავშირებით მედიასთან ურთიერთობის წესები)

პოლიტიკის გადახედვა (პოლიტიკის შეფასების წესები და პასუხისმგებელი პირები)

პოლიტიკის გადახედვის თარიღი

ხელმოწერები (სკოლის დირექტორი, უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარე)

2. Stoke Primary School

1. **შესავალი -** პოლიტიკის საჭიროება, ტერმინების განმარტება, რას ეფუძნება სასწავლო პროგრამა (ეროვნული სასწალო გეგმა, უსაფრთხო სკოლის პროგრმა, სკოლაში დისციპლინის პოლიტიკა და სხვ), პოლიტიკის მოქმედების არეალი (სკოლის ტერიტორია, სასკოლო ღონისძიებები სკოლის გარეთ)
2. **მიზანი და მოცანები**

3. **პერსონალის შერჩევა და მომზადება -** პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების შერჩევა და სასწავლო პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების კვალიფიკაციაზე სრუნვა.
4. **კურიკულუმის სტრუქტურა-** სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა და ძირითადი თემები, დამოუკიდებელი სასწავლო კურსია თუ ინტეგრირებულია სხვადასხვა საგანში.
5. **კურიკულუმის განხორციელება -** რომელ საფეხურზე რა თემები განიხილება, მუშაობის რა ფორმები და მეთოდები გამოიყენება,
6. **რესურსები -** განახლებადი და კურიკულუმის შესაბამისი ინფორმციის წყაროების ჩამონათვალი
7. **თანამშრომლობა** - რა ფორმით მოხდება სასკოლო პოლიტიკის განხორციელების საქმეში თანამშრომლობა მშობლებთან, მეურვეებთან.
8. **თანასწორობის უზრუნველყოფა** - რა სახის დამატებითი მუშაობაა საჭირო პრობლემების მქონე მოსწავლეებთან.
9. **კურიკულუმის მონიტორინგი, შეფასება და ცვლილებების შეტანა -** მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ კურიკულუმის განხორციელების, სწავლების სტანდარტების, რესურსების ადეკატურობის, მიღწეული შედეგების დასახულ მიზნებთან შესაბამისობის მონიტორინგი, შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება.
10. **ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული ინციდენტების მართვა -** ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ინციდენტებზე რეაგირბის მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროცედურები
11. **დისციპლინა და მოსწავლეთა მხარდაჭერა -** ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებულ ინციდენტში მონაწილე მოსწავლის მიმართ სანქციებზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.
12. **საეჭვო ნივთიერების კონფისკაცია და განკარგვა/გადაცემა -** საეჭვო ნივთიერების შენახვის და პოლიციისთვის გადაცემის წესის დაწვრილებითი აღწერა.
13. **თამბაქოს მოწევა -** წესები თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებით (რა ტერიტორიაზე და ვისზე ვრცელდება მოწევის აკრძალვა)
14. **პოლიტიკის მონიტორინგი** - რა პერიოდულობით ხდება სკოლის პოლიტიკის მონიტორინგი და მასში ცვლილებების შეტანა.

3. კლარმონტის სკოლა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

მიზანი

პოზიცია - რა არის სკოლისთვის მიუღებელი (არასანქცირებული ნივთიერებების და ნივთების ჩამონათვალი)

პროცედურა - ფსიქოაქტიურ ნივთიერებასთან დაკავშირებულ ინციდენტზე რეაგირების პროცედურის დაწვრელებით აღწერა

მოსწავლისა და მისი ნივთების ჩხრეკის პროცედურა - ფსიქოაქტიურ ნივთიერებასთან დაკავშირებულ ინციდენტისას მოსწავლისა და მისი ნივთების ჩხრეკის პროცედურის დაწვრილებით აღწერა

კონფიდენციალობა - კონფიდენციალობის საზღვრების განმარტება

ალკოჰოლი და თამბაქო - სკოლის პოლიტიკა და წესები ალკოჰოლისა და თამბაქოს მოხმარების შესახებ სკოლის ტერიტორიაზე და სკოლის გარეთ სასკოლო ღონისძიებებზე.

ექიმის მიერ დანიშნული წამლები - წესები იმ შემთხვევისთვის, თუ მოსწავლემ სკოლის საათებში უნდა მიიღოს ექიმის მიერ დანიშნული წამალი.

პრევენციული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიზანია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული საფრთხეების გაცნობიერება და პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარება.

მშობლებთან ურთიერთობა - რას თავაზობს სკოლა მშობლებს იმისთვის, რომ მოსწავლეებმა მეტი იცოდნენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შედეგებზე და შეძლონ გაუმკლავდნენ არასასურველ ზეგავლენას